# კვალი ნათელი

# ქეთევან დავითაშვილი

ხაშური
2023

ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

# კვალი ნათელი -

# ქეთევან დავითაშვილი

ხაშური
2023

წიგნი ეძღვნება საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს, ცნობილ ხაშურელ პედაგოგს ქეთევან ალექსანდრეს ასულ დავითაშვილს.

იგი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის #1 საბავშვო სახლს და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზდის კეთილშობილურ საქმეში. მაშინ ხაშურში სახალხო განათლების არაერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი და გამორჩეული მასწავლებელი მოღვაწეობდა. საშა ხუროძე, გიორგი ტაბატაძე, თამარ ცინცაბაძე, დავით კაკიაშვილი, სანდრო ნოზაძე... მარტო ეს სახელებიც კმარა, მაგრამ ქეთევან დავითაშვილის მოღვაწეობა და საქმიანობა მათგან სრულიად განსხვავებული იყო. მას მუშაობა უხდებოდა მშობლიურ ალერსს მოკლებულ ბავშვებთან. თუ როგორ შემლო ეს ქეთევან დავითაშვილმა, წინამდებარე წიგნით გავეცნობით.

შეადგინა **ელენე ნოზაძემ**

რედაქტორი **მაყვალა ხაჩიძე**

ISBN 978-9941-9871-4-4

ქეთევან ალექსანდრეს ასული დავითაშვილი (1909 - 1987)

# სხვათა დედა

ქეთევან დავითაშვილი …
ვისთვის დედა იყო ...
ვისთვის მეორე დედა ...
ვისთვის დეიდა ქეთო ...
ვისთვის დირექტორი ...
ვისთვის ქეთო მასწავლებელი ...
ვისთვის ქალბატონი ქეთევანი ...

და მაინც იგი დედა იყო. დედა იყო არა მარტო თავისი შვილებისთვის, არამედ სხვათა შვილებისთვისაც. ასე მიიჩნევდნენ მისი აღსაზრდელები, თუ აღზრდილები, რადგან იგი საოცარ მზრუნველობასა და სიყვარულს იჩენდა მათ მიმართ, უკლებლივ ყველას უნაწილებდა დედობრივ სითბოს, ეს ქართველი იქნებოდა თუ რუსი, ჩინელი თუ ოსი, უკრაინელი თუ სომეხი... აღსაზრდელები შინაგანად გრძობდნენ და განიცდიდნენ მის დედობრივ ზრუნვას. ძნელია ბავშვს მოაჩვენო შენი კეთილგანწყობა, იგი უმალვე გრძნობს, რამდენად გულწრფელი ხარ მასთან ურთიერთობაში.

ქალბატონ ქეთევანის გულწრფელობაში ეჭვი, რომ ვერ შეჰქონდათ მის აღსაზრდელებს, კარგად ჩანს მათ შემდგომ დამოკიდებულებაში, როცა ისინი, უკვე ზრდასრულები ურთიერთობდნენ მასთან. ეს, რომ ასე არ ყოფილიყო, აბა რას უნდა მივაწეროთ ჩინელი თუ ვიეტნამელი ვან - ხუნ - ძინის ბაგეებს მოწყვეტილი სიტყვები - ,,საყვარელო დედიკო“. ასე შენს დედას თუ მიმართავ მხოლოდ. სხვას რატომ მიმართავ ამ სიტყვებით, თუ მასში მართლა ვერა გრძნობ დედობრივ სიყვარულს... ან ვალია ზემლიანიკოვა რატომ ეტყოდა, - ,,საყვარელო ქეთო მასწავლებელოს“, თუ მასში მასზე მუდმივად მოფიქრალ ადამიანს ვერ დაინახავდა. ან აღსაზრელთა ერთი ნაწილის მიერ მისთვის განკუთვნილ წერილში რომ არის ნათქვამი - ,,მადლობა ჩვენზე ზრუნვისათვის, მადლობა თქვენს თბილსა და მადლიან კალთას, თქვენს მზრუნველ გულს...“ რომ არა, მართლაც, ქალბატონ

ქეთევანს შეფარებულები, როგორ იგრძნობდნენ მისი კალთის მადლსა და სითბოს...

„სამარადისოდ დაუვიწყარო, მშობლიურო ქეთო მასწავლებელო“...

უამრავი ამონარიდის მოტანა შეიძლება ბარათებიდან ასე სათუთად, რომ შემოუნახავს ქეთევან დავითაშვილის ოჯახს, მის შვილებსა და შვილიშვილებს...

ძნელია ახლა ამ გადასახედიდან, როცა რადიკალურად შეიცვალა ცხვრების წესი და რიგი, იგრძნო ყველაფერი ის, რასაც აღზრდილები ლაპარაკობენ თავიანთ დედაზე, თუ მეორე დედაზე, საყვარელ დედიკოზე თუ საყვარელ ქეთო მაწავლებელზე...

არადა ეს ყველაფერი იყო და მისი ერთ-ერთი შემოქმედი ქალბატონი ქეთევან დავითაშვილია. ისიც უნდა ვთქვათ, რომ მან ბავშვთა სახლში თანამშრომელთა საოცარი ბირთვი შეკრა და მათთან ერთად ქმნიდა და აყალიბებდა ქვეყნის მომავალ მოქალაქეებს.

ნახევარი საუკუნე, დაარსებიდან მთელი არსებობის მანძილზე ხელმძღვანელობდა იგი ხაშურის რკინიგზის ბავშვთა სახლს.

გასული საუკუნის ხაშურში, ყველაზე მადლიანი მასწავლებელი და უამრავი ბავშვის დედა, ვის ხელშიც თაობებმა გაიარა - ასე წარმოგვიდგება ოცდამეერთე საუკუნეში ქალბატონი ქეთევან დავითაშვილი.

არადა თითქოს დიდი დრო გავიდა, მაგრამ დღესაც სიყვარულით იხსენებენ მისი აღზრდილები და ახლობლები ...

ეს წიგნიც ამის დასტურია.

**თამაზ ლაცაბიძე,**
ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო
გაერთიანების მმართველი

14 ივლისი,
2023 წელი

## ქეთევან ალექსანდრეს ასული დავითაშვილი-
## დამსახურებული მასწავლებელი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 6 მაისის ბრძანებულებით **ქეთევან ალექსანდრეს ასულ დავითაშვილს** მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

**გაზეთი „კომუნისტი“ გამოცემის 41-ე წელი, N-103 (12017).**
**1961 წლის 6 მაისი.**

## ქეთევან დავითაშვილს ულოცავენ საქართველოს დამსახურებული პედაგოგის საპატიო წოდების მინიჭებას

*ა/კ რკინიგზის სამმართველოს სასწავლო დაწესებულების განყოფილების მუშაკების კოლექტივის სახელით გილოცავთ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭებას, გისურვებთ ჯანმრთელობას და კიდევ უფრო მეტ ენერგიას ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმიანობაში.*

ა/კ რკინიგზის სამმართველოს სასწავლო დაწესებულების განყოფილების უფროსი - სმირნოვი

ა/კ რკინიგზის სამმართველოს სასწავლო დაწესებულების განყოფილების პარტორგანიზაციის მდივანი - კუზნეცოვი

ა/კ რკინიგზის სამმართველოს სასწავლო დაწესებულების განყოფილების ადგილკომის თავმჯდომარე - რევია

**10 მაისი 1961 წელი.**

ხაშური, რკ/გზის საბავშვო სახლი - დავითაშვილს
თბილისი 12 / 115 18 16 16 53

*პატივცემულო ქეთევან, გილოცავთ უმაღლეს ჯილდოს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას ნანავა მამულაშვილი*

ხაშური რკ/გზის ბინა - დავითაშვილს
თბილისი 8/ 247 20 7 2011

*გილოცავთ საპატიო წოდების მონიჭებას, გისურვებთ მეტ წარმატებებს და კარგად ყოფნას. გკოცნით ელიკო (ლიტა) შუბკინა.*

ხაშური რკ/გზის ბავშვთა სახლი ქეთევან დავითაშვილს
თბილისი 4/ 5102 17 8 1112

*გილოცავთ დამსახურებული პედაგოგის წოდების მონიჭებას, გისურვებთ მომავალ შემოქმედებით წარმატებას მიშიკო, გურამი.*

ხაშური ბავშვთა სახლი ქეთევან დავითაშვილს
თბილისი 26/ 23 11 12 1142

*გილოცავთ დამსახურებული პედაგოგის სახელს ვალიკო, ციალა.*

ხაშური პირველი საბავშვო სახლი, დავითაშვილს
თბილისი 9/ 113 12 8 1930

*მოგილოცავთ დამსახურებული მასწავლებლის წოდებას ომარი, ვასილი*

ხაშური, ბავშვთა სახლის დირექტორს ქეთევან დავითაშვილს
კასპი 112 21 10 1315

*გილოცავთ დამსახურებული ჯილდოს მიღებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, რომ კიდევ ბევრი ახალგაზრდა გაგეზარდოთ ჩვეული ენერგიით ლილი წერეთელაშვილი*

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი დიმიტრი ალექსანდრეს ძე მაჩაბელი

*პატივცემულო ქეთევან! მოგილოცავთ „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ წოდების მონიჭებას. იდღეგრძელეთ ხანგრძლივად, ჯანმრთელად, რომ მოუაროთ იმ აღსაზრდელებს, რომლის პასუხისმგებლობა და მათი აღზრდა თქვენს ნიჭზედ არის დამყარებული.*

*პატივისცემით ბაბალე, დიმიტრი. 10/ V- 61 წელი.*

ხაშური საბავშვო სახლი N 1 დავითაშვილს
თბილისი 25 / 38 23 8 1351

*გილოცავთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მონიჭებას. გისურვებთ წარმატებებს საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში, გისურვებთ ჯანმრთელ, ხანგრძლივ სიცოცხლეს - ნაზი ჭანკოტაძე.*

# წერილები

**პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე**

## კვალი განათლებული

ქალბატონ ქეთევან დავითაშვილის შესახებ საუბარი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში იყო ქ. ხაშურის რკინიგზის N 1 ბავშვთა სახლის დირექტორი, უაღრესად რთული და საპასუხისმგებლოა. სირთულეც და პასუხისმგებლობაც იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელია, ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცე იმ პიროვნების დამსახურება, რომელიც ბავშვთა სახლს, განსაკუთრებული მნივნელობის მქონე ამ დაწესებულებას, ხელმძღვანელობდა. მისი პასუხისმგებლობა ძალიან დიდი იყო, იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვთა სახლში ძირითადად ის მოსწავლეები იყვნენ, რომელთაც მშობლები არ ჰყავდათ. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მხოლოდ დედა ან მამა ჰყავდათ, მაგრამ მათ შესაძლებლობა არ ჰქონდათ, საკუთარ ჭერქვეშ აღეზარდათ თავისი შვილები.თუმცა, გამონაკლისის სახით, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც დედ-მამა ჰყავდათ, მაგრამ, სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, ისინი იძულებულნი იყვნენ, ბავშვთა სახლში მიეყვანათ თავიანთი შვილები.

პირადად მე ბავშვთა სახლში ჩემი სკოლის დირექტორმა, ანატოლი ჯიოშვილმა მიმიყვანა მამის გარდაცვალების შემდეგ. დედა უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. იქ განვლილი წლები დიდ გამოცდილებად იქცა ჩემთვის. დღევანდელი გადასახედიდან ახლა უფრო მეტად ვაფასებ დირექტორის დამსახურებას, რომელიც ნამდვილ დედობას გვიწევდა და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ თბილი და მზრუნველი გარემო გვქონოდა. ეს კი არ იყო იოლი. იმ პერიოდისათვის ბავშვთა სახლში 200-მდე აღსაზრდელი იყო, განსხვავებული ხასიათით, ქცევით, მიდრეკილებებით. ბევრ მათგანს უაღრესად მძიმე ტრავმა ჰქონდა გადატანილი და ძალიან რთული იყო ყველა მათგანთან საერთო ენის გამონახვა. ქალბატონ ქეთევანს ყველასთან თბილი ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა

შენიშვნებსაც ხშირად გვაძლებდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მაშინ არავის არ გვწყინდა მისგან ეს შენიშვნები, რადგან ვგრძნობდით, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენი სწორად აღზრდის გამო ხდებოდა. დირექტორი ძალიან მომთხოვნი იყო ჩვენი აღმზრდელების მიმართაც. პედაგოგებისაგან განსაკუთრებით მოითხოვდა, რომ თბილი დამოკიდებულება გამოევლინათ აღსაზრდელთა მიმართ. დირექტორი ჩვენს სასწავლო ოთახებში ხშირად შემოდიოდა: თითქმის ყველას სახელი და გვარი იცოდა. ხშირად გვეკითხებოდა იმის შესახებ, თუ როგორ ვსწავლობდით, რა სირთულეები გვქონდა, რა მოგვწონდა ან არ მოგვწონდა; რისკენ მივისწრაფოდით ან რა ინტერესები გვქონდა სამომავლოდ. იგი დიდ ძალისხმევას და გულისხმიერებას იჩენდა იმისათვის, რომ ბავშვთა სახლში აღზრდილებს კარგი განათლება მიეღოთ. მართალია, ჩვენ 24 საათის განმავლობაში იქ ვცხოვრობდით და ეს ჩვენი დიდი საერთო ოჯახი იყო, მაგრამ, სკოლა-ინტერნატისაგან განსხვავებით, ჩვენ იმ სკოლაში გვიწევდა სწავლა, სადაც ის მოსწავლეებიც სწავლობდნენ, რომლებიც ბავშვთა სახლში არ ცხოვრობდნენ. ამიტომ იგი ძალიან ხშირად ინტერესდებოდა სკოლაში ჩვენი აკადემიური მოსწრებით და ყოფაქცევით. ერთი სიტყვით, მას, სხვა აღმზრდელებთან ერთად, ყველაფერზე უხდებოდა ზრუნვა: ჩვენს სწავლა-განათლებაზე, აღზრდაზე, კვებასა და ჩაცმაზე. მინდა, უდიდესი მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო მის მიმართ. ძალიან ვაფასებ მის შრომას, მის სითბოსა და მზრუნველობას.

ქალბატონ ქეთევანის მამა სამღვდელო პირი იყო, რომელიც წრომის ეკლესიაში მსახურობდა. საქართველოში ათეისტური მმართველობის დამყარების შემდეგ, იგი მალევე საკუთარ სახლში მოკლეს. ქალბატონი ქეთევანი და მისი და - ქალბატონი თამარი, ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, როდესაც მამის სიკვდილს შეესწრნენ. ორივე მათგანისთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეს მოუშუშებელი ჭრილობა იყო. ამის შესახებ თავად გვიამბობდა. მან იცოდა, რომ მე ეკლესიაში დავდიოდი, ლოცვებს ვამბობდი, რაც 70-იანი წლების ბოლოს ძალიან დიდ უცნაურობად აღიქმებოდა. ერთხელ მთხოვა, მასთან კაბინეტში მივსულიყავი. რწმენის შესახებ მესაუბრებოდა. მაშინ მითხრა პირველად, მამაჩემი სამღვდელო

პირი იყო, სახელად ალექსანდრე ერქვა და წრომის ეკლესიაში მსახურობდაო. მკითხა, ზეპირად თუ ვიცოდი რომელიმე ლოცვა. რამდენიმე ლოცვა ვუთხარი ზეპირად. ძალიან ყურადღებით მისმენდა. როცა დავასრულე, რამდენიმე წუთი არაფერი უთქვამს. მერე მხარზე ხელი დამადო და მითხრა, სწავლას არ მოუკლოო. მაინც ფიქრობდა იმას, რომ ეკლესიასთან დაახლოებას ერთგვარად ხელი არ შეეშალა ჩემთვის სწავლაში.

ბავშვთა სახლში ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი აღიზარდა. ბევრ მათგანთან დღემდე მაქვს ურთიერთობა. მიხარია, რომ თითქმის ყველა განსაკუთრებული სითბოთი იხსენებს იქ გატარებულ წლებს. მიუხედავად იმისა, რომ აღსაზრდელები სხვადასხვა ასაკისა ვიყავით, და- ძმებივით ვცხოვრობდით. ამიტომ არის რომ, როცა ვსაუბრობთ ამ წლების შესახებ, ყველა მადლიერებას გამოხატავს. ვფიქრობ, რომ ეს ბუნებრივია, რადგან ქალბატონმა ქეთევანმა ძალიან დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ ბავშვთა სახლში უაღრესად მოწესრიგებული და ჯანსაღი გარემო ყოფილიყო. შეუძლებელია, სრულყოფილად შეაფასო და ამომწურავად გადმოსცე წლების განმავლობაში გამოჩენილი ძალისხმევა, გულისხმიერება და მზრუნველობა, რაც ამ პიროვნებას უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში უდიდესი ნუგეში ის არის, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს და მის წინაშე თუნდაც მცირეოდენი მადლიც კი არასოდეს იკარგება. ის თავად იყო ძალიან განათლებული ადამიანი და ძალიან ბევრ აღსაზრდელს გაუკვალა გზა ცოდნისკენ. მახსოვს, რომ ბავშვთა სახლში ჩემი ყოფნის პერიოდში კედელზე დიდი საპატიო დაფა ეკიდა იმ წარმატებული და წარჩინებული ადამიანების სურათებით, რომლებიც იქ სხვადასხვა დროს აღიზარდნენ. ხშირად ვიდექი ამ დაფის წინ და ყურადღებით ვაკვირდებოდი ამ ადამიანთა სახეებს. თითქოს ყოველ მათგანს რაღაც საერთო ამთლიანებდა და ეს რაღაც, ალბათ, იყო ერთად გატარებული წლები, რომლებსაც ერთდროულად ახლდა სევდაც და სიხარულიც. შემდეგ დავფიქრდი, რომ ეს რაღაც საერთო არა მხოლოდ მათ, არამედ ყოველ ჩვენგანს აერთიანებდა. არ ვიცი, როგორ დავამთავრო ეს წერილი, მაგრამ ვიცი, რომ ქალბატონ ქეთევან დავითაშვილის სული ღვთის სასუფეველში მკვიდრობს. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი მის მიერ აღზრდილი

ლოცულობს, რაც ჩვენი მხრიდან მადლიერების ერთგვარი გამოხატულებაა. შრომა და სიკეთე უკვალოდ არასოდეს იკარგება. თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში მან ბევრ ადამიანს გაუთბო გული და ბევრსაც იმედი ჩაუსახა, რაც დიდი ღვაწლი და დამსახურებაა. ამას ღმერთი განსაკუთრებით იწირავს. შევთხოვ ღმერთს, რომ მართალთა სავანეში დააწესოს მისი სული, სადაც დაუღამებელი ნათელი და მარადიული სიხარულია.

## ღვაწლმოსილი

ქეთევან ალექსანდრეს ასული დავითაშვილი - დამსახურებული მასწავლებელი, მუშაობდა 1947 წლიდან ხაშურის რკინიგზის N 1 ბავშვთა სახლის დირექტორის თანამდებობაზე.

იგი უაღრესად განათლებული პიროვნება იყო, ბრწყინვალე აღმზრდელი, რომელიც ჩინებულად უძღვებოდა ბავშვების აღზრდას და მათ ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი აქვს.

ადამიანისათვის უდიდესი ბედნიერებაა საკუთარი პროფესიით გატაცება და მისთვის თავგანწირვა. ასგზის ბედნიერია ის, ვინც სიცოცხლეშივე მოიმკის თავის დათესილს. მისი მადლიერი აღზრდილები ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიოდნენ მის სანახავად. უმრავლესობამ თავის შვილებს მის საპატივსაცემოდ ქეთევანიც კი დაარქვა.

სინონიმები არ გვეყოფა მისი ბუნების აღსაწერად: სათნო, ალერსიანი, მზრუნველი, ქველი, სადა, გულწრფელი, შემწე, მორიდებული, უთქმელი, მრავალ ჭირგადანახადი, შრომისმოყვარე, საქმის ერთგული, გამრჯე, თავდაუზოგავი, გულითადი მეგობარი, ამაგდარი, თავმდაბალი, სადღაც მორცხვიც, მაგრამ თუ საქმე საბავშვო სახლის ბავშვს ან მის დაცვას შეეხებოდა - „რკინის ქალამანს“ ჩაიცვამდა, რკინიგზის სამმართველოში ყველა ნაცნობსა თუ უცნობს შეაწუხებდა და საქმეს ბავშვების სასარგებლოდ გადააწყვეტინებდა.

საბავშვო სახლში ქეთო დავითაშვილმა ჩამოაყალიბა ბავშვთა სასულე ორკესტრი, ცეკვის ანსამბლი, სიმღერის გუნდი, ბავშვებს შეასწავლა დუდუკზე და სალამურზე დაკვრა.

ბავშვთა სახლის აღსაზრდელები გამოირჩეოდნენ მაღალი აკადემიური მოსწრებით, მათ შორის იყვნენ ოქროს და ვერცხლის მედლების მფლობელებიც. უფროსი თაობიდან გამოირჩეოდნენ: თინათინ ჭანკოტაძე, უმანკო ქიმერიძე, და-ძმა ემა და მურთაზ აბაიაძეები, ვიტია ზოლონენკო.

აღსანიშნავია ბავშვთა სახლის კოლექტივი, რომელიც ერთმუშტად იყო შეკრული და ქეთო დავითაშვილს მხარში უდგნენ აღსაზრდელების აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში. იმდროინდელ კოლექტივს შეადგენდა: ქეთო ბერაია,ნატაშა რაზმაძე (ექთანი ), ანა ტურტულაძე , გალინა გოგიჩაიშვილი, ანა თევზაძე, თინა გიორგაძე, ნინო ჩაგანავა, ოლია ძიძიგური, ქსენია ინასარიძე, ციცინო სანთელაძე, ელიკო გოგოლაძე , სერგო ლაკერბაია, ამირან ბარბაქაძე, ქეთევან გიორგაძე. (მას უყვარდა ლიტერატურა. ჯგუფში უკითხავდა საბავშვო ბიბლიოთეკის გამოცემებს. მისი წყალობით ბავშვებმა იცოდნენ არა მარტო ქართული ლიტერატურა, არამედ მსოფლიოც). ქეთო დავითაშვილი გარდა მოწვეული მასწავლებლებისა, კონცერტისთვის თვითონ ამზადებდა აღსაზრდელებს, ასწავლიდა ლექსის წაკითხვას. ხშირად მისი ძალისხმევით საბავშვო სახლის აღზრდილები გამოირჩეოდნენ კარგი დეკლამაციით. ერთ-ერთ წერილში საბავშვო სახლში აღზრდილი თ. ჭანკოტაძე წერდა: „მოსწონთ ჩემი დიქცია...“

ქეთო დავითაშვილი საგანგებოდ არჩევდა თანამშრომლებს. უმეტესად მასთან მუშაობდნენ ქვრივები ან გაუთხოვარი ქალები, რომლებსაც არ ეჩქარებოდათ სახლში გაქცევა, რაც მთავარია უყვარდათ ბავშვები. იგი ხშირად იწვევდა სხვადასხვა სპეციალობის ადამიანებს თავისი ნაცნობების წრიდან. მაგალითად, მისი დის მეგობარი მხატვარი ქალი, ნადია ბებიაშვილი, რომელიც სურამში ცხოვრობდა, იყო არაჩვეულებრივად განათლებული, ასწავლიდა ბავშვებს ხატვას, ქცევის კულტურას: სიარულს, ლაპარაკის მანერებს, სწორად ჯდომას და ყოველივეს, რაც კარგად აღზრდილ ადამიანებს სჭირდებოდათ. ასევე მიწვეული ჰყავდა რუსული სკოლის მასწავლებელი თეოდორა ალავიძე, რომელიც

ბავშვებს ასწავლიდა რუსულ ენას. უსასყიდლოდ მუშაობდა მასთან მედუდუკე, გვარად ჯოჯიშვილი, რომელმაც ბავშვებს ასწავლა დუდუკზე და სალამურზე დაკვრა. სასულე ორკესტრს ხელმძღვანელობდა მუსიკისმცოდნე მიხეილ ზედელაშვილი, მოცეკვავეთა ანსამბლს ხელმძღვანელობდა სუხიშვილების ანსამბლის ყოფილი სოლისტი სერგო ლაკერბაია. მასწავლებლებმა, რომლებმაც იცოდნენ ჭრა-კერვა, ქარგვა, ქსოვა თავის ცოდნას აღსაზრდელებს უნაწილებდნენ.

ბავშვებს სიმღერას ასწავლიდნენ გამოჩენილი ლოტბარები სხვადასხვა დროს: სოლომონ იაშვილი და იასონ როინიშვილი. ბავშვთა სახლს ჰყავდა შესანიშნავი მომღერალთა გუნდი. ბავშვთა სახლის აღსაზრდელები შესანიშნავად ასრულებდნენ მარშებს და ვინაიდან ხაშურს სასულე ორკესტრი არ ჰყავდა, ყველა ღონისძიებაზე და აღლუმებზე ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს იწვევდნენ.

ბავშვთა სახლის ბავშვებმა იცოდნენ ყველაფერი, რაც მათ ცხოვრებაში გამოადგებოდათ. როდესაც ჯარში იწვევდნენ - ზოგი სამზარეულოში, ზოგი სასულე ორკესტრში, ზოგი გაზეთის რედაქტორ-მხატვრად ანდა მძღოლად მუშაობდა და სამხედრო სავალდებულო სამსახური უადვილდებოდათ.

სულ ამ სახლში აღიზარდა 1200 ბავშვი, მათ შორის 560-მა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, ტექნიკუმები, სამხედრო სასწავლებელი და ჩამოყალიბდნენ საუკეთესო ექიმებად, პედაგოგებად, რკინიგზელებად, ოფიცრებად და სხვ.

2019 წელს ქეთო დავითაშვილს დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდებოდა.

## მერცია სახელაშვილი - „ის რაც მახსოვს, მინახავს და გამიგონია...“
## (სიტყვა დედაზე)

ქეთევან ალექსანდრეს ასული დავითაშვილი დაიბადა 1909 წლის 20 ოქტომბერს, მღვდელ ალექსანდრეს ოჯახში. დედა, გლეხის ქალი, ოლღა გოქაძე იყო კეთილი, გამრჯე, პატიოსანი სოფელ მოხისიდან.

მამა-ალექსანდრე იყო პირველი ვაჟი მღვდელ ნიკოლოზისა, რომელსაც სოფლებში, სადაც კი მღვდლად უმსახურია, წმინდა ნიკოლოზს ეძახდნენ თავის სიკეთის, ხალხის პატრონობის და ხალხური მედიცინის კარგი ცოდნის გამო.

ალექსანდრეს დედა - მარიამ (მაშო) კორინთელი იყო დიმიტრი ყიფიანის დისწული. მას კარგი ნათესაობა ჰყავდა და ხშირად სტუმრობდნენ დიმიტრი ყიფიანის შვილები, ძმები, რომელთაც დიდი გავლენა იქონიეს მაშოს შვილებზე. ასევე დიდი გავლენა იქონიეს ნიკოლოზის ახლობლებმაც, რომლებიც გორსა და თბილისში ცხოვრობდნენ. ნიკოლოზის ძმა შიო იყო ხალხოსანი, მას კავშირი ჰქონდა ქართველ მწერლებთან. მისი უფროსი ქალიშვილი ნინო, სწორედ ის ნინოა, რომლის შესახებ იაკობ გოგებაშვილმა დაწერა პატარა მოთხრობა „ნუცას სკოლა“. ნინოს პატარობისას ნუციკოს ეძახდნენ. ნუცა ხშირად სტუმრობდა ბიძის ოჯახს წრომში და ბავშვებს თამაშ-თამაშით ასწავლიდა საბძელში მოწყობილ „სკოლაში“ წერა-კითხვას. ერთ-ერთ ასეთ „მეცადინეობას“ შესწრებია იაკობ გოგებაშვილი და ასე დაიწერა მოთხრობა. ნუცა შემდგომში რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი გახდა...

1944 წელს გაიხსნა საბავშვო სახლი.

ორი წლის შემდეგ დედა საბავშვო სახლის დირექტორად დანიშნეს.

იგი ყოველთვის ნამდვილი მშობლიური მზრუნველობითა და სიყვარულით ეკიდებოდა ობოლ ბავშვების აღზრდას...

ხშირად დედა ეზოში ბავშვებს ეფერებოდა ან რაღაც დავალებას აძლევდა, მე და ჩემი და შორიდან ვუყურებდით, რადგან გაფრთხილებულები ვიყავით, რომ ბავშვების თანდასწრე-ბით დედა არ დამიძახოთო. დედა რომ დაგვინახავდა, გვანიშნებდა

და ჩვენ შევდიოდით მასთან კაბინეტში, იქ გვეფერებოდა და იგებდა ჩვენ ამბავს. ასე გრძელდებოდა მრავალი წლის განმავლობაში...

დედამ თანამშრომლებიც თავის მსგავსი შეარჩია, ყველა ყურადღებიანი და ბავშვების მოყვარულნი იყვნენ.

სულ მალე ბავშვთა სახლი გახდა თვალსაჩინო, ბავშვები მოწესრიგებულნი... დედა ცდილობდა, ბავშვები მოემზადებინა ცხოვრებისთვის, რომ ბავშვებს ბავშვთა სახლიდან წასვლის შემდგომ შეძლებოდათ დამოუკიდებლად ცხოვრება.

ამ მიმართულებით ბავშვების აღზრდაში დიდი როლი შეასრულა ჩვენმა ოჯახის მეგობარმა ნადია ბებიაშვილმა, რომელიც იყო უაღრესად განვითარებული პიროვნება. იგი ასწავლიდა ბავშვებს სწორად სიარულს, ჯდომას, ჭამის ჩვევებს, ლაპარაკის მანერას, რაც კარგად აღზრდილ ადამიანებს სჭირდებოდათ. რუს ბავშვებს ეხმარებოდა ქართული ენის სწავლაში. ბავშვთა სახლში 13 ეროვნების ბავშვი ცხოვრობდა და ყველამ კარგად ისწავლა ქართული ენა.

დედამ ბავშვებთან და თანამშრომლებთან ერთად გაალამაზეს ეზო, დარგეს ხეები, ყვავილები. მთელი ჩვენი ახლობლები ჩაბმულნი იყვნენ ამ საქმეში: ზოგს ნერგები მოჰქონდა, ზოგი თვითონ ეხმარებოდა მიწის დამუშავებაში და მალე შესანიშნავი ხეივანი გაკეთდა. სახლის გვერდით დიდი ეზო სპორტულ მოედნად იქცა, სადაც ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ, ვარჯიშობდნენ. იქვე, მეორე შენობაში, დიდ დარბაზში „პიონერთა ოთახი“ მოაწყო, სადაც ხშირად იმართებოდა საზეიმო საღამოები. დარბაზში იდგა პიანინო. ჩემ კლასელ გოგონას, რომელიც ბავშვთა სახლში იზრდებოდა (მას უმანკო ერქვა), აღმოაჩნდა არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭი. დედამ იგი მუსიკალურ სკოლაში შეიყვანა. უმანკო კარგად უკრავდა პიანინოზე, დედამ მას აკორდიონიც შეუძინა... მასწავლებლები, რომლებმაც იცოდნენ ჭრა-კერვა, ქარგვა, ქსოვა, - უზიარებდნენ ბავშვებს თავის ცოდნას. ბავშვების უმეტესობამ იცოდა კერვა, ქარგვა, ქსოვა და ტანსაცმელს ზოგი თავის ხელით იკერავდა.

ყოველ ზაფხულს ბავშვთა სახლის ბავშვები დედას დაჰყავდა სხვადასხვა ადგილებში დასასვენებლად და ექსკურსიებზე: ბორჯომის ხეობაში, ცემში, წაღვერში, ათონის მღვიმეში, რიწის

ტბაზე, ეკლესია-მონასტრების, ნაკრძალების სანახავად, შავი ზღვისპირას - კინდღში, ეშერაში, პიონერთა ბანაკებში...

ზაფხულობით ბანაკს სტუმრობდნენ გამოჩენილი მწერლები, მსახიობები: იოსებ ნონეშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, ზურაბ სოტკილავა, მერი დავითაშვილი, საშა გომელაური, გივი აზმაიფარაშვილი და სხვა. ბავშვებს დიდად პატრონობდა დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი. მან რამდენიმე ახალგაზრდას გაუკაფა გზა...

მინდა, ავღნიშნო, რომ ბავშვები თავს დაჩაგრულად არ გრძნობდნენ,პირიქით, ამაყნი იყვნენ, რომ მათ ჰქონდათ ის, რაც სხვა ოჯახის ბავშვებს არც ენახათ.

ერთ-ერთი აღსაზრდელი - სულიკო მაჭავარიანი - შემდგომში სუხიშვილების მოცეკვავე, სოლისტი, ჯარში გაიწვიეს და გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში მოხვდა. მან წერილებში აღნიშნა, რომ მადლობელია კარგი აღზრდისთვის. დედა ხშირად იღებდა ჯარში წასული „შვილების“ ქების, მადლობის წერილებს უფროსებისაგან.

ბავშვთა სახლში ცხოვრობდა ერთი ბიჭი - ზოლონენკო, რომელიც კოჭლი იყო (ომის დროს ფეხში მოხვედრია ტყვია). მას ერთი ფეხი მოკლე ჰქონდა თითქმის 10 სმ-ით. დედამ გაიგო, რომ თბილისში ფაბრიკა კერავდა მათთვის ფეხსაცმელს. დედამ იქ დაუკვეთა მისთვის ფეხსაცმელი. შემდგომში მისმა ცოლმა მითხრა, როგორ შეიძლება, ვიტიამ ეს დაივიწყოს, მასზედ ლოცულობსო.

ბავშვთა სახლის აღსაზრდელებზე ძალიან ბევრი რამის დაწერა შემიძლია, მე ყველას კარგად ვიცნობდი. ისინი ჩემი და-ძმანი იყვნენ და დღესაც გვაქვს მათთან ურთიერთობა.

როდესაც დედა გარდაიცვალა, ჩვენთან ისეთი გლოვის ზარი იყო, ოჯახებით ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქალაქებიდან და ერთმა-ნეთს ედავებოდნენ „მე ყველაზე ძალიან ვუყვარდიო“... ყველა მათგანს ჰქონდა იმის შეგრძნება, რომ ქეთო მასწავლებელს ყველაზე მეტად ის უყვარდა.

დედა ჯანმრთელი ადამიანი იყო, მაგრამ როცა ბავშვთა სახლი გააუქმეს და ბავშვები, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ აქეთ-იქით მიმოფანტეს, დედამ ძალიან ინერვიულა. სათითაოდ აბინა-ვებდნენ სხვადასხვა ბავშვთა სახლებსა და ნათესავებში . ამის გამო საშინლად წუხდა - მათი ტირილი ყურში ჩამესმის და არ მაძინებსო.

## ქ. ისაკაძე - მშობელივით ახლობელი

სრულიად ახალგაზრდა ქალი იყო ქეთევან დავითაშვილი, როდესაც მძიმე ავადმყოფობამ საყვარელი მეუღლე გამოაცალა ხელიდან. დიდი იყო დანაკლისი, მწუხარება უსაზღვრო, მაგრამ ტირილით ხომ ვერ დაიბრუნებდა დაკარგულ ბედნიერებას? თავის ორ გოგონას უმამობა არ დაატყო.

უჭირდა ქეთევანს, ძლიერ უჭირდა, მაგრამ გულს იმაგრებდა. ბავშვების სიყვარულით მწუხარებას ივიწყებდა და მათი ალერსით ირთობდა თავს. სულიერ სიმშვიდეს მაინც ვერ პოულობდა, - ყოველთვის რაღაც აღელვებდა და აწუხებდა. უცნაური მგრძნობიარობა დასჩემდა. სხვისი ბედუკეთურობა უმალვე უჩუყებდა გულს, თვალებს ცრემლებით უვსებდა. დაობლებულ ბავშვებს კი ზედ ევლებოდა. თუ ქუჩაში უდედმამო ბავშვს ნახავდა, მოიყვანდა სახლში, დედური ალერსით პატარა გულს გაუთბობდა, დაბანდა, აჭმევდა, რაიმე საჩუქარსაც მისცემდა და ისე ისტუმრებდა.

ასე გადიოდა თვეები, წლები...

1944 ხაშურში რკინიგზის საბავშვო სახლი დაარსდა, სადაც უმთავრესად სამამულო ომში დაღუპულთა ბავშვებს იღებდნენ აღსაზრდელად. ქეთევანმა აქ პედაგოგად დაიწყო მუშაობა. იგი ნამდვილი მშობლიური მზრუნველობით და სიყვარულით მოეკიდა ობოლი ბავშვების აღზრდას. სულ მალე მან უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა აღსაზრდელებში. ახლა კი ოდნავ მოეშვა გულზე, ბავშვებზე განუწყვეტელი ზრუნვა შვებას გვრიდა მას.

ორი წლის შემდეგ ქეთევანი საბავშვო სახლის დირექტორად დანიშნეს. იმ დღიდან მოყოლებული იგი კეთილსინდისიერად ემსახურება მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

18 წლის მანძილზე ვინ მოთვლის, რამდენი დაობლებული ბავშვი გამოიყვანა ცხოვრების ნათელ გზაზე. ხანდაზმულობა შეეპარა, თმებიც ჭაღარამ შემოსა, მაგრამ სახეზე ნათელი ეფინება. იგი უსაზღვროდ ბედნიერია, რომ მისმა შრომამ სასურველ მიზანს მიაღწია.

მაინც არ ეშვება საყვარელ მოვალეობას. დღენიადაგ იმის ზრუნვაშია, რომ უფრო სრულყოფილი გახადოს საბავშვო სახლის საქმიანობა.

სურამთან ახლოს საბავშვო სახლს მიწის ნაკვეთი აქვს გამოყოფილი. აქ აღსაზრდელები თესენ სიმინდს, ლობიოს, ბოსტნეულს და თვითონვე ამუშავებენ. აქვე ჰყავთ ღორები, 50-მდე ქათამი და 5 სკა ფუტკარი. ბავშვები აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოყვანასაც კარგად არიან დაუფლებულები. ღვაწლმოსილი პედაგოგის ქ. დავითაშვილის გამოცდილი თვალი ყველგან წვდება, არაფერი რჩება მხედველობიდან. რამდენადაც მოსიყვარულეა იგი, იმდენად მკაცრია უდისციპლინოებისა და ჩამორჩენილების მიმართ. ვინც ცუდ ნიშანს მოიტანს სკოლიდან, მას ტყუილად ნუ ექნება თამაშობა-გართობაში მონაწილეობის იმედი. დასვამს, თვითონაც მიუჯდება გვერდით და მანამდე ამეცადინებს, სანამ კარგად არ შეასწავლის გაკვეთილს.

არც სკოლებს ივიწყებს. ჩამოივლის, აღსაზრდელების სწავლასა და ყოფაქცევაზე გამოკითხავს მასწავლებლებს და კვლავ საბავშვო სახლში ბრუნდება. დილიდან გვიან ღამემდე თვალს არ აშორებს აღსაზრდელებს.

აი, კოლია სოროკინი... რა კარგად ახსოვს ქეთევანს პირველად რომ მოვიდა იგი საბავშვო სახლში. ეს 1948 წელს იყო. როსტოვიდან 16 ბავშვი ჩამოიყვანეს. ეს ჯგუფი თავზეხელაღებულთა პატარა ბანდას წარმოადგენდა, რომელსაც ნ. სოროკინი მეთაურობდა. გზასაცდენილი უდედმამო ბავშვები დანებითაც კი იყვნენ შეიარაღებულნი. რამდენი შრომა დასჭირდა ქეთევანს, რომ ისინი სწორ გზაზე დაეყენებინა. ახლა ნიკოლოზი როსტოვის ერთ-ერთ ქარხანაში ზეინკლად მუშაობს. იგი საყვარელი აღმზრდელის ხშირი სტუმარია.

ამავე ჯგუფში იყვნენ ვალია ზემლიანიკოვა და მისი ძმა გიორგი. ვალიამ საშუალო სკოლა დაამთავრა და ხაშურშივე დარჩა სამუშაოდ, გიორგი კი ურალში მუშაობს. შარშან ზაფხულში იგი მეუღლეთურთ ესტუმრა აღმზრდელს, დაც მოინახულა და საბავშვო სახლიც არ დაივიწყა.

შლის ალბომს ქეთევანი და ერთიმეორეს ცვლიან ნაცნობი სახეები. აი ჟუჟუნა გოგოლაძე, ციალა ნოზაძე, ვიქტორ ზოლონენკო, ლილი და ვასო ღონღაძეები... ყველას ვინ მოსთვლის...

რამდენ მადლიერ სიტყვებს უძღვნიან აღზრდილები საყვარელ მასწალებელს.

გვიან ღამემდე არ ქრება სინათლე მის ოთახში. ჩაქრება და ჯერ კიდევ კარგად არ არის გათენებული, რომ კვლავ ინთება. ალიონზე ქეთევანი აუჩქარებელი ნაბიჯით საბავშვო სახლისაკენ მიემართება.

**გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1963 წ. N 46, 6. 03.**

## გ. მახარაძე - შენ ობოლი აღარა ხარ

იყო დრო, როცა ყველა მამაზე უფრო ლამაზი, ყველაზე უფრო კეთილი და ღონიერი მამილო ჰყავდა. ყველა დედაზე ტკბილი და საყვარელი დედილო დასტრიალებდა თავზე იმ ბედნიერ წლებში. ოჯახური სითბო და მზრუნველი მშობლების მადლიანი ხელი არ მოჰკლებია გოგონას.

მერე ლეგა ღრუბლები ჩამოწვა სოფლის თავზე. ომის ექომ გოგოლაძიანთ ოჯახშიც შეაღწია, ჟუჟუნას მამა სხვა ძიებთან ერთად ვაჟკაცური სიმღერით მიეფარა მთის ფერდობებს იქით დაკარგულ გზას.

სიცივე და შიმშილი მოვიდა ოჯახში. რაღაც შიშნარევმა მოლოდინმა და სევდამ დაისადგურა ირგვლივ. დედა ყოველ დილით უთენია დგებოდა საწოლიდან და ხან საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობდა ქალებთან და მოხუცებთან ერთად, ხან კიდევ უვაჟკაცოდ დარჩენილ ეზო-სახლს დასტრიალებდა თავზე.

მოვიდოდა ხოლმე მხარზე ჩანთამოგდებული გრძელულვაშა ძია ხარება და სამად მოკეცილ ქაღალდს მოიტანდა თან, დაჯდებოდა ბედნიერი დედა, გვერდით მოისვამდა თავის გოგონას და უკითხავდა და უკითხავდა მამის მოკითხვასა და მტრისადმი შურისძიებით ავსებულ ბარათს.

ერთ წვიმიან დღეს ფოსტალიონთან ერთად მთელი სოფელი მიადგა კარზე გოგოლაძიანთ ოჯახს. და იმ დღიდან ცრემლი და ძაძები არ მოუშორებია დედას. იმ დღიდან სევდიანი ღიმილით გადმოსცქეროდა ჟუჟუნას შავ ჩარჩოში ჩასმული მამის სურათი.

მუხთალმა ბედმა მარტო მამით ობლობა როდი აკმარა ამ სუსტსა და ფერმკთალ გოგონას. ისევ წვიმიანი და პირქუში ამინდი იდგა სოფელში, როცა ათიოდე წლის ჟუჟუნამ უფროსების წაბაძვით, ერთი მუჭა მიწა მიაყარა დედის საფლავს.

უპატრონოდ დარჩენილი გოგონა ზესტაფონის რაიონის სოფელ ხევიდან სურამში ჩამოიყვანეს. ობლის მწარე და ავი დღეები დაუდგა ჟუჟუნას. დამადლებულ ლუკმას მუდამ საყვედურები და უმიზეზო დატუქსვა მოსდევდა თან. ყველაზე მეტად მაინც ის ადარდებდა გულჩათხრობილ ბავშვს, რომ ათასგვარი საოჯახო საქმეებით დატვირთულს, სკოლაში სასიარულოდ აღარ რჩებოდა დრო... გაზაფხულის ის დღე მუდამ კეთილად მოსაგონარი იქნება ჟუჟუნასთვის. აბა, როგორ შეიძლება, დაივიწყოს მან ნათელი დილა, როცა ცაზე იმედის შუქად ამობრწყინდა მზე, როცა ცრემლისა და მრავალი წვალების შემდეგ სასიკეთოდ გამოცხვა ობლის კვერი.

იმ დილით წყაროდან მომავალი ჟუჟუნა ჭადრებთან შეაჩერა სკოლის დირექტორმა და ჩუმად გადაულაპარაკა მის გვერდით მომავალ ქალს.

- აი, ეს გოგონა გახლავთ ჟუჟუნა გოგოლაძე...

ჟუჟუნას თავიდანვე მოეწონა საშუალოზე ოდნავ მაღალი, სათნო შესახედაობის ქალი, მისი დინჯი და კეთილი ხმა შეუცნობი იმედის შუქად ჩაეღვარა გულში.

- დღეის შემდეგ შენ ობოლი აღარ ხარ! - მტკიცე და გულითადი ხმით უთხრა უცნობმა გოგონას და თავზე მზრუნველობით გადაუსვა ხელი, - კარგად იცოდე , დღეის შემდეგ შენ მშობლებიცა გყავს, დებიცა და ძმებიც...

დღეის შემდეგ შენ ობოლი აღარ ხარ! - ბევრს, ძალიან ბევრ აცრემლებულ პატარას უთხრა ეს იმედიანი სიტყვები ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის პირველი საბავშვო სახლის დირექტორმა ქეთევან დავითაშვილმა.

თხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც ქეთევანი მზრუნველობით დასტრიალებს საბავშვო სახლს, ამაგდარი დედასავით უვლის და ალაღებს თავის ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს.

ამ ჭაღარით მოსილ, მხნე და მუდამ მოუსვენარ ქალში თავიანთ ქომაგს, მზრუნველსა და მოამაგე ადამიანს ხედავენ ბავშვები. ამიტომაც არის, რომ ასე უყვართ და აფასებენ მას. ამიტომაც არის, ცხოვრების ფართო გზაზე გასვლის შემდეგ მუდამ სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებენ ქეთევანს.

მიბრძანდით ხაშურის საბავშვო სახლში, ნახეთ საგულდაგულოდ მოვლილი ეზო და დასამუშავებელი ნაკვეთები, დაათვალიერეთ ბავშვების კოხტა საცხოვრებელი ოთახები და გემოვნებით მოწყობილი კლუბი, სამეცადინო კაბინეტები და ლაბორატორიები, დაესწარით ნორჩ ნატურალისტთა, ჭრა-კერვის, ლიტერატურისა თუ სიმღერის წრეების მეცადინეობას, მოუსმინეთ ბავშვთა სასულე ორკესტრისა და მომღერალთა გუნდის კონცერტებს. ნახეთ, გაეცანით მათ ყოველდღიურ ხალისიან ცხოვრებას და მაშინვე იგრძნობთ, თუ რაოდენ დიდი სითბოთი და მზრუნველობით არიან ისინი გარემოცულნი.

მიდით, თვალი შეავლეთ სუფთად და კოხტად გამოწყობილ ბავშვებს, გაესაუბრეთ წარჩინებულ მოსწავლეებს: იზოლდა ნოზაძესა და ნიკოლოზ ზაგრაჩოვს, ბეჟან ნასყიდაშვილსა და ჟუჟუნა ორჯონიკიძეს. თუ გნებავთ, პირმომღიმარი იუგოსლაველი ბიჭუნა ვლადიმერ აბდულჯალილო მოინახულეთ... ყველა მათგანი სიხარულით მოგიყვება საბავშვო სახლის ხალისიან ცხოვრებაზე. იმ სითბოსა და სიყვარულზე, რომელსაც მათდამი იჩენენ აღმზრდელები, საბჭოთა ხალხი, პარტია.

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის საბავშვო სახლის დირექტორის კაბინეტში ვართ. მაგიდის გარშემო სხედან პედაგოგები: ანა ტურტულაძე, თინათინ გიორგაძე, ანა თევზაძე, ლუიზა ლაბაძე...

დირექტორი ქეთევან დავითაშვილი გატაცებით გვესაუბრება საბავშვო სახლის აღსაზრდელებზე. იმათზე, რომლებიც ახლა უკვე საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში თავდადებით შრომობენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

აი, ეს წერილი ქეთევანმა ლენინგრადიდან მიიღო. **ინჟინერ-მეტალურგი ვიქტორ ზოლონენკო** გულთბილ მოკითხვას უთვლის აღმზრდელებს და დაწვრილებით მოუთხრობს თავისი ცხოვრებისა და შრომის ამბებს.

„საბავშვო სახლში გატარებულმა წლებმა, თქვენმა დედურმა მზრუნველობამ ძირფესვიანად გარდაქმნა ჩემი სული. საშუალება მომცა, სწორ და ნათელ გზაზე გამოვსულიყავი. ერთხელ კიდევ გიხდით მადლობას. სიკვდილამდე არ დავივიწყებ თქვენს ამაგს“- იწერება მოსკოვის გარეუბანში მომუშავე **გივი ტუხაშვილი.**

მშობლიურ სახლთან არც ახლა წყვეტენ კავშირს სამხედრო ინჟინერი **ვლადიმერ სტრელცოვი, ჩინელი მუშა ვან ხუნ ძინი,** რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ერთ-ერთი საამქროს უფროსი **არჩილ ნოზაძე, ექიმი უმანკო ქიმერიძე, პედაგოგი თინა ჭანკოტაძე...**

-აბა რომელი ერთი უნდა მოვთვალო ? - სიამაყით ამბობს ქეთევანი და თან ფეხზე წამომდგარი იყურება ეზოში, საიდანაც ჩოჩქოლი და მხიარული შეძახილები გაისმის.

-ომარი, ჩვენი ომარი ჩამოსულა! - სიხარულით გაიძახის დირექტორი და ფრთებშესხმულივით მიფრინავს ეზოსაკენ.

დიდხანს, დიდხანს იკრავს გულში თვალცრემლიანი ქალი ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილ ვაჟკაცს, **ომარ ჭადაშვილს,** რომელიც შვებულებით ჩამოვიდა უკრაინიდან თავის აღმზრდელ სახლში...

* * *

ყოველი დღე შრომასა და სწავლაში, მხიარულ გართობასა და დასვენებაში იწურება.საბავშვო სახლში საუკეთესო პირობებია შექმნილი მეცადინეობისა, შემოქმედებითი შრომისათვის. სწორედ ამიტომაც არის, რომ აქ ვერ შეხვდებით ვერცერთ ჩამორჩენილ მოსწავლეს. ამიტომაც არის, რომ კეთილმოწყობილ საამქროებსა და ლაბორატორიებში ასე მონდომებითა და გატაცებით შრომობენ აღსაზრდელები.

ხელმარჯვე ბავშვები თავიანთი ხელით აკეთებენ მაგიდებს, სკამებს, სპორტულ ინვენტარს, არემონტებენ მესერს.

ხაშურის საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა შარშან 2 ჰექტარი ყამირი გატეხეს და სიმინდის უხვი მოსავალი მოიყვანეს. ბავშვებმა გამოზარდეს ღორები და 1000 მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღეს, დიდი ფულადი შემოსავალი მიიღეს აგრეთვე მებოსტნეობიდან, მებაღეობიდან...

-ამ შემოსავალს ძირითადად ბავშვების საჭიროებისათვის ვიყენებთ, ნაწილს კი ჩვენგან წასულ ახალგაზრდებს ვუგზავნით, რომლებიც უმაღლესში სწავლობენ, - გვეუბნება ქეთევანი და მერე გაბრწყინებული სახით უმატებს, - აი იმ ფერდობის იქით ჩემი ქალიშვილი ცხოვრობს. წავიდეთ მოვინახულოთ.

ახლად აგებული სახლის აივანზე ფუნჩულა გოგონა კისკისით ეგებება ქეთევანს. ვერც ბავშვის დედა მალავს სიხარულს და ისიც ხელგაშლილი ხვდება სტუმარს.

- გაიცანით, ეს ჩემი ქალიშვილი ჟუჟუნა გახლავთ. აი, ის **ჟუჟუნა გოგოლაძე,** რომელიც ომის დამთავრების შემდეგ სურამიდან ჩამოვიყვანე ჩვენთან.

საბავშვო სახლმა კერა როდი ჩაუქრო უდედმამოდ დარჩენილ გოგონას. ხალხის მზრუნველობამ საშუალება მისცა მას, მაღალკვალიფიცირებული ექთანი გამხდარიყო და საკუთარი ბედნიერი ოჯახი შეექმნა. ქეთევანს თავიდანვე მოეწონა სასიძო - რკინიგზაზე მომუშავე დინჯი და შრომისმოყვარე ვაჟკაცი **გოდერძი ლომიძე.** დედობილმა ქორწილი თავის სახლში გაუმართა ჟუჟუნას და არც შემდეგ მოუკლია მისთვის სითბო და ყურადღება.

-დაბრძანდი, დედა, - აფუსფუსებული დიასახლისი სავარძელს სთავაზობს ქეთევანს. შევცქერით სიხარულით გაცისკროვნებულ ჟუჟუნას სახეს. მის გამოხედვაში პატივისცემისა და უდიდესი მადლობის გრძნობას ვკითხულობთ. ეს მადლობა მარტო ჟუჟუნასი როდია. ჟუჟუნას სახით ამ სამადლობელს ყველა ვაჟი და ქალიშვილი გამოთქვამს, რომლებსაც დედური სითბო და მზრუნველობა გაუწია ქეთევანმა.

**(ჟურნ. „საქართველოს ქალი“)**

## ივანე მჭედლიშვილი - ობოლთა დედა

„ძვირფასო აღმზრდელო, ჩემო მასწავლებელო ქეთევან! თქვენი ფასდაუდებელი ამაგი არასოდეს დამავიწყდება. თქვენ შემაყვარეთ სწავლა და შრომა, მალე თქვენთან ვიქნები, ვოვა.“ - ეს სტრიქონები ეკუთვნის ინჟინერ-მაიორს ვლადიმერ სტრელცოვს. იგი ამჟამად თავისი ოჯახით მოსკოვში ცხოვრობს. ვლადიმერის ახალგაზრდული წლების ბედნიერი დღეები დაკავშირებულია ხაშურის რკინიგზის საბავშვო სახლთან. პატარა იყო, როდესაც დაობლდა, უპატრონოდ დარჩენილს მზრუნველად მოევლინა საბავშვო სახლის დირექტორი ქეთევან დავითაშვილი. აღზარდა და ცხოვრების გზაზე დააყენა იგი... და განა მარტო ვოვა სტრელცოვს გაუწია დედობრივი მზრუნველობა! მან აღზარდა და ცხოვრების სწორ გზაზე დააყენა ასობით ახალგაზრდა.

სამამულო ომის ბობოქარ დღეებში, 1944 წელს დაარსდა ხაშურის რკინიგზის საბავშვო სახლი. ორსართულიან კორპუსში მოთავსებულია საერთო საცხოვრებელი, სასადილო, კლუბი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო ოთახები. აქ აღზრდილები ჩვენი ქვეყნის ყველა უბანზე შრომობენ ინჟინრებად, ექიმებად, მასწავლებლებლად. დგანან ბრძმედებთან და ღუმელებთან, მართავენ ტრაქტორისა და კომბაინის საჭეს, ქეთევან მასწავლებელსაც არასდროს ივიწყებენ, სამადლობელ წერილებს უგზავნიან. სიხარული სიხარულს ემატება, დრო სწრაფად გადის, გული კი ახალგაზრდული შემართებისა აქვს. ზის დეიდა ქეთევანი და იგონებს იმათ სახეებს, ვინც მწუხარე მოვიდა და ბედნიერი წავიდა საბავშვო სახლიდან.

ღვაწლმოსილი აღმზრდელი - ქეთევან დავითაშვილი შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის„ ორდენებით არის დაჯილდოებული, მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

ქ. დავითაშვილს მხარში უდგანან და მომავალი თაობის სწავლებისა და აღზრდისათვის მთელი მონდომებით იღწვიან პედაგოგები: ნ. ჩაგანავა, ა. თევზაძე, თ. ჯაფარაშვილი, მ. ნადირაშვილი, ო. გიორგაძე, ა. ბარბაქაძე და სხვ. ოღონდ ერთია: საბავშვო სახლს არ აქვს კეთილმოწყობილი ბინა, მისი შენობა ვეღარ

აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს, საჭიროა მისი, რაც შეიძლება, სწრაფი რეკონსტრუქცია.

## ივანე მჭედლიშვილი - დანიშნულება ცხოვრებაში

ხაშურის რკ/გზის ბავშვთა სახლის დირექტორს ქეთევან ალექსანდრეს ასულ დავითაშვილს ყველა იცნობს და ბევრს უყვარს იგი. სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო მუშაობა ბავშვთა სახლში, 1945 წლის იანვარში ხაშურში ჩამოიყვანეს 100 ევაკუირებული და დაობლებული ბავშვი, რომლებსაც მშობლები ომში დაეღუპათ. მშიერი, შიშველი ბავშვები შეიფარეს, ჩააცვეს, დაანაყრეს. მათ შეხვდა მთელი ბავშვთა სახლი. ქეთევან ალექსანდრეს ასული გულში ინახავს ყველა მათგანის ხსოვნას. სულ ამ ბავშვთა სახლის კედლებში 30 წლის მანძილზე აღიზარდა ომში დაღუპულთა 1200 ბავშვი, აქედან 560 დაამთავრა უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები. მათ შორის არიან სამხედრო მომსახურეები-ოფიცრები, ექიმები, პედაგოგები, რკინიგზელები.

ეს ინჟინერ-მაიორი **ვლადიმერ სტრელცოვია,** რომელმაც დაამთავრა სამხედრო აკადემია, ლეიტენანტი თენგიზ მაჭავარიანი მსახურობს ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქში, შორეულ აღმოსავლეთის სამხედრო ოლქში მსახურობენ რიგითები: გივი ბაქრაძე, ვასილ კულუმბეგაშვილი, ვლადიმერ შოვერდოვი და სხვ. ჩვენი კუთხის სხვადასხვა კუთხიდან იგზავნება მადლობები ბავშვთა სახლის დირექტორის მისამართით ალექსანდრე კუკსენკოს, ბორის ვაგანოვის, სულიკო მაჭავარიანის, ბორის ჩაიკას, გივი ტურაშვილის და ბევრი სხვა აღზრდილების მიერ.

აი რას წერს მოსკოვიდან ინჟინერ-მაიორი **ვლადიმერ სტრელცოვი:** „ძვირფასო ქეთევან ალექსანდრეს ასულო! თავს კარგად ვგრძნობ. თქვენ შეუფასებელ ზრუნვას არასოდეს დავივიწყებ. თქვენ მე ჩამინერგეთ შრომისადმი და სწავლისადმი სიყვარული. გეხვევით და გკოცნით.“

აი, **ბორის ვაგანოვის** წერილის სტრიქონები: „პატივცემულო ქეთევან ალექსანდრეს ასულო! ნება მომეცით, დიდი მადლობა გადაგიხადოთ ყველაფრისათვის, რაც ჩემთვის გააკეთეთ. მადლობელი ვარ თქვენი და არასოდეს დავივიწყებ თქვენს ამაგს,

რაც გაწეული გაქვთ ჩემთვის და სხვა აღსაზრდელების მიმართ, როგორ ცდილობდით, ჩვენგან აღგეზარდათ ღირსეული შვილები ჩვენი საყვარელი სამშობლოსათვის. მხოლოდ ახლა მივხვდი, რა რთულია ბავშვების აღზრდა. მეც ხომ ორი-სამი წლის შემდეგ პედაგოგი გავხდები“.

დიდი სამამულო ომის დროს პატარა კაკო გველესიანის მამა ფრონტზე დაიღუპა. მოგვიანებით დედაც გარდაიცვალა, პატარა დაობლდა. ბავშვთა სახლი მისთვის მეორე ოჯახად იქცა. ახლა **აკაკი გველესიანი** კომუნისტური შრომის დამკვრელია სადგურ სოხუმის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მოწინავე მემანქანე. იქვე მუშაობს მემანქანედ **იური ნოზაძე.** თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანის თანაშემწეა **ავთანდილ ლაცაბიძე.** ორივე ბავშვთა სახლში აღზრდილები არიან.

ვიეტნამელი გოგონა **ძინა ვან ხუნ დინი** ბელორეჩენსკიდან იწერება: „ოქროს ქეთევან ალექსანდრეს ასულო, გთხოვთ, ჩამობრძანდეთ ჩვენთან სტუმრად. თუ თქვენ ან ვინმე აღმზრდელებიდან აქეთ მოხვდებით, აუცილებლად შემატყობინეთ დეპეშით და მე დაგვხდებით“.

განა შეიძლება ყველაფრის შესახებ მოყოლა? ეს წერილები და ფოტო-სურათები, რომ ყველა წაიკითხო და დაათვალიერო, თვეებია საჭირო. დაიბადა იდეა ამ წერილების და ფოტო-სურათების ერთად შეგროვების და ბავშვთა სახლში მუზეუმის და საბრძოლო დიდების ოთახის მოწყობის.

მოზარდი თაობის აღზრდაში დიდი წვლილი შეიტანეს აღმზრდელმა პედაგოგებმა: ამირან ბარბაქაძემ, თინა გიორგაძემ, ანა ტურტულაძემ, ნინა ჩაგანავამ, ანა თევზაძემ, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენების კავალერმა, ქეთევან ალექსანდრეს ასულმა, რომელსაც ბავშვთა სახლში ,,მეორე დედას“ ეძახიან.

...საღამოვდებოდა, როდესაც ხაშურიდან ვბრუნდებოდი. მივემგზავრებოდი სიხარულის გრძნობით, რომელიც გამოწვეული იყო ნამდვილ კომუნისტთან შეხვედრით, ეს იყო ადამიანი დიდი სულის მატარებელი, ქეთევან ალექსანდრეს ასული დავითაშვილი. ეს შეხვედრები იყო ისეთი, როგორიც მთელი ცხოვრების მანძილზე არ დაგავიწყდება ისევე, როგორც არ დაავიწყდებათ მის

აღზრდილებს მისგან მიღებული სულიერი სითბო და ყურადღება. აღზარდო და ასწავლო ბავშვებს ისე, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ ღირსეულ მოქალაქეებად, ჩაუნერგო სამშობლოს სიყვარული და აღზარდო ქვეყნის საკეთილდღეოდ. აი ეს არის საპატიო მოვალეობა, უმაღლესი მოწოდება და უდიდესი პასუხისმგებლობა. ასე ესმის თავისი დანიშნულება ცხოვრებაში ამ თავმდაბალ, სასიამოვნო გარეგნობის ქალს, რომელმაც ბევრი ადამიანი დააყენა ფეხზე და მისცა გეზი ცხოვრებაში.

## ი. ინოველი - სახლი მაღლობზე

- კარგი, - ხანგრძლივი დუმილის შემდეგ თქვა ქეთევან ალექსანდრეს ასულმა, - მე წავალ იქ სამუშაოდ, მაგრამ გაითვალისწინეთ, - გთანხმდებით ნების საწინააღმდეგოდ, ვემორჩილები პარტიულ დისციპლინას.

- ჩვენ გთხოვთ, ჩაიბაროთ ბავშვთა სახლი დროებით, - კიდევ ერთხელ რბილად გაუმეორა მის პირდაპირ მჯდომმა მამაკაცმა. - როგორც კი შევარჩევთ შესაფერის ადამიანს, თქვენ შეგიძლიათ, დაბრუნდეთ სკოლაში.

ეს საუბარი შედგა შორეულ 47-იან წელში. ქეთევან ალექსანდრეს ასული მიდიოდა სახლისკენ და ფიქრობდა თავისი ბედის მოულოდნელ შემოტრიალებაზე. განა პასუხისმგებლობის ეშინოდა მას, როდესაც უარს ამბობდა შეთავაზებულ წინადადებაზე ბავშვთა სახლის დირექტორის თანამდებობაზე. მას ესმოდა, რომ ეს სამუშაო მას მთლიანად შთანთქავდა და მაშინ როგორ იქნებოდნენ მისი შვილები, ავადმყოფი და. მას შემდეგ, რაც ომის დაწყებამდე ერთი წლის წინ მეუღლე გარდაეცვალა, ქეთევან ალექსანდრეს ასულს მარტოს უწევდა ზრუნვა თავის პატარებზეც, ნუნუკასა და მერციაზე და თავის დაზეც.

ხაშურის რკ/გზის ბავშვთა სახლი შეიქმნა მტერზე გამარჯვების წელს, მაგრამ არ გაუმართლა ბავშვთა სახლს: ორი წლის განმავლობაში სამი დირექტორი შეიცვალა. ერთი დააპატიმრეს, მეორე მოხსნეს, მესამე კი მძიმედ გახდა ავად. ქეთევან ალექსანდრეს ასული ფიქრობდა: თუ სამმა მამაკაცმა ვერ შეძლო სამუშაოს თავის გართმევა, მაშინ მე როგორ შევძლებ? შიში

იპყრობდა. მაგრამ, როდესაც ბავშვთა სახლის ზღურბლს გადააბიჯა და დაინახა მისკენ მიმართული მრავალი ცნობისმოყვარე და გაფაციცებული ბავშვების თვალები, სუნთქვა შეეკრა... მიხვდა, მისმა ყოველმა უჯრედმა შეიგრძნო: არ შეიძლება აქ იყო, დროებითი ადამიანი.

...როგორ მოგითხროთ ხაშურის რკ/გზის ბავშვთა სახლის დირექტორის თითქმის 30 წლის მუშაობის შესახებ. ეს მუშაობა სახელმწიფომაც ღირსეულად დაუფასა: ქეთევან ალექსანდრეს ასული დავითაშვილი დაჯილდოებული იქნა „შრომის წითელი დროშისა“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით. თვით ბავშვების მიერაც ღირსეულად იყო შეფასებული მისი ღვაწლი, კაბინეტის დიდი კარადა გავსებული იყო იმ აღზრდილების დეპეშებით, მისალოცებით და ფოტო-სურათებით, ვინც დიდი ხნის წინ დატოვა მშობლიური სახლის კედლები. იყო წერილები 40-იანი, 50, 60, 70-იანი წლების აღნიშვნით... გაყვითლებული წერილები კონვერტების გარეშე, ზოგი ნახევრად ბავშვური ხელით, ზოგიც გაკრული ნაჩქარები ხელით. ხელმოწერაში უფრო ხშირად მხოლოდ მარტო სახელი წერია**: ბორისი, რეზო, ლუსია, ვერა, თამაზ**... და როგორ ახსოვს ყველა, ვინ საიდანაა, მათი ჩვევები, ყოველი წვრილმანი და როგორ აეწყო მისი მომავალი ბედი ბავშვთა სახლის გარეთ...

„დეიდა ქეთო, ბათუმამდე ჩავედი კარგად. დეიდა ქეთო მე ყველა ძალიან მენატრება. ძვირფასო დეიდა ქეთო, შეიძლება, თქვენთან ზაფხულში ჩამოვიდე? თუ შეიძლება, მოწერეთ ჩვენ სპეციალურ სარემონტო სასწავლებლის დირექტორს, რომ გამომიშვას“. - ეს **მიშა ულიანოვია.** სკოლა დაამთავრა და სწავლა ბათუმში განაგრძო, კვლავ ბავშვივით არის ჩვენზე მოჯაჯჭვული, - იხსენებს ქეთევან ალექსანდრეს ასული.

აი წერილი **ვალოდია შამიროვისგან**: „ჩვენთან მუხლამდე თოვლია, ყინვა 40 გრადუსია, მე კი ვიხსენებ ჩვენ მზიან საქართველოს. ადვილი არ არის აქ, მაგრამ ასეთია ჯარისკაცის ცხოვრება, ყველაფერს უნდა შეეჩვიო.

,,ქეთევან ალექსანდრეს ასულო, თქვენ საჩუქარს ვინახავ და ხშირად ვიხსენებ წლებს ბავშვთა სახლში გატარებულს. დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე, რომ ხშირად არ გიჯერებდით. არც თქვენ და არც სხვა მასწავლებლებს, მაგრამ, ნეტავ, იცოდეთ, ახლა როგორ

ვცდილობ, რომ არ შევარცხვინო ჩვენი ბავშვთა სახლი. გპირდებით, ქეთევან ალექსანდრეს ასულო, რომ მალე მიიღებთ მადლობას ჩემი სანიმუშო სამსახურისთვის.“

ფოტოსურათზე ლამაზი მამაკაცია მოცინარე თვალებით. -ეს ჩვენი აკაკია, - გვიხსნის ქეთევან ალექსანდრეს ასული, - **აკაკი გველესიანი.** იგი 1949 წელს ქარელის რაიონიდან თვითონ ჩამოიყვანა ქეთევან დავითაშვილმა... ახლა იგი მუშაობს სადგურ სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანედ...

,,...თქვენ ჩემთვის დედასავით იყავით და მე უზომოდ მადლობელი ვარ თქვენი ყველაფრისთვის. თქვენ ოქროს ადამიანი ხართ, ქეთევან ალექსანდრეს ასულო...“ - ეს სიტყვები **ბორის ჩაიკას** წერილიდანაა.

-ის ძალიან კარგად ხატავდა, - იხსენებს ქეთევან ალექსანდრეს ასული- მაგრამ, იცინის, გვარი ზღვასთანაა დაკავშირებული და წყალქვეშა მეზღვაური გახდა.

ჩვენ დიპლომირებული მხატვარიც გვყავს - **გიორგი კუსრაშვილი.** 1967 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემია, მისი ძმა კი ავთანდილი მუშაობს გორის ბამბეულის კომბინატში.

ვუსმენ ქეთევან ალექსანდრეს ასულს და ვფიქრობ ბორის ჩაიკას სიტყვებზე „ოქროს ადამიანო“ იგივე სიტყვები წავიკითხე **ძინა ვან ხუნ დინის** წერილში, რომელიც ბელორეჩენსკიდან იყო გამოგზავნილი...

გვაჩვენებს ფოტო-სურათს, რომელზეც წარწერაა „მამუკა, 10 თვის“. ეს **ნარი ხვედელიძის** პირველი შვილია. ქეთევან ალექსანდრეს ასული გვიყვება, როგორ მოვიდა ერთხელ მასთან ახალგაზრდა ყმაწვილი და ნარის ხელი სთხოვა, მერე კი ყველა აღმზრდელი და ახლობლები გაემგზავრნენ სოფელ ტბაში ქორწილზე და თან მზითვი წაუღეს ნარის...

... ისინი, ქეთევან ალექსანდრეს ასულის გოგონები და ბიჭები, ყველა პიროვნებად ჩამოყალიბდა: **ვალერი გოლოვინი** მუშაობს ბაქოში ინჟინრად, **ვალოდია** სტრელცოვიც ინჟინერია, მხოლოდ სამხედრო, **იურა მაჭავარიანი** სამხედრო სამსახურის შემდეგ გაემგზავრა მანგიშლაკის ნახევარკუნძულზე, ქალაქ შევჩენკოში, **ეთერ ლობჟანიძე,** როგორც ქეთევან ალექსანდრეს ასული,

მათემატიკის მასწავლებელი გახდა, მისმა დამ კი, ვერამ , დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, **ამირან ბარბაქაძე** მუშაობს აქვე, ბავშვთა სახლში, პედაგოგად. **საშა ბაკლაგინი** ინჟინერია მოსკოვში, მისმა დამ - **ვალიამ** (ქმრის გვარი ქაჯაია) დაამთავრა რკ/გზის ტექნიკუმი, მუშაობს აფხაზეთში.

ყოველ ზაფხულს ბავშვთა სახლი გადის ქალაქგარეთ დასასვენებლად წაღვერში, ეშერაში. ერთხელ **ვალია ქაჯაია** ჩამოვიდა ეშერაში და დაპატიჟა აღმზრდელები ბავშვებთან ერთად თავის სახლში, სიხარულისგან აღარ იცოდა, რით გამასპინძლებოდა და როგორ ეცა პატივი.

რამდენ ბედნიერებას და უბედურებას მოიცავს ეს წლები. და რაოდენ დიდი და ძლიერი გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ დაიტიოს ყველა უბედურება და ყველა სიხარული, რომ გაუძლოს ამხელა ემოციურ დაძაბულებას, რომელიც გრძელდება არა ერთი თვე და წელი, არამედ ათეული წლები. რამდენჯერ აკიაფებულა ქეთევან ალექსანდრეს ასულის თვალებში სიხარულის თუ მწუხარების ცრემლები. რამდენი უძილო საათები გაუტარებია მას ავადმყოფ ბავშვების საწოლთან. სამაგიეროდ, როდესაც ის თვითონ გახდა ავად, ისინი სათითაოდ ან ჯგუფურად დარბოდნენ მასთან სახლში დილიდან საღამომდე. ერთ-ერთი ბიჭუნა ზღურბლთანვე გაჩერდა და ატირდა : „ დეიდა ქეთო, რატომ ხართ ავად?“

ერთხელ, ზამთარში იგი გაცივდა და ბავშვები მოვიდნენ მის სანახავად - მან არ შემოუშვა ისინი - სახიფათოა, გრიპია. ისინი ყვიროდნენ, თითებით რაღაცას უხსნიდნენ, ფანჯრები თოვლით შეგუნგლეს, და როდესაც უყურებდა მათ გაცოცხლებულ სახეებს და ფანჯრის მინაზე მიჭყლეტილ ცხვირებს, უკვე მერამდენედ უტყდებოდა თავის თავს იმაში, რომ ტყუილად არ თქვა ყველაფერზე უარი ამ ბავშვების გამო, თუმცა საკუთარ ქალიშვილებს რამდენიმე დღის მანძილზე მხოლოდ ღამით ნახულობდა და ისიც მძინარეებს...

„როდესაც მე მახსენდება, ქეთევან ალექსანდრეს ასულო, როგორ ცდილობდით ჩემთვის, ყველაფერი საუკეთესო გსურდათ, მე კი არ მესმოდა ეს, ვჯიუტობდი და ათასნაირ სისულელეებს ჩავდიოდი, ძალიან მრცხვენია“, - ამას წერს უკვე ზრდასრული ადამიანი, მამა.

სიკეთის რა დაუშრეტელ მარაგს უნდა ფლობდეს ადამიანი , რომ ათწლეულების მანძილზე გასცემდეს მას და სული არ გრძნობდეს დაცარიელებას.

აი, მაგალითად **იურკა**. ბავშვთა სახლში გასულ შემოდგომით მოხვდა. თუ საბუთებს დავუჯერებთ, იგი 6 წლისაა. თუმცა საბუთები- დაბადების მოწმობა - მას რატომღაც ორი აქვს და ორივეში სხვადასხვა თარიღი და სხვადასხვა მამებია მითითებული, სინამდვილეში კი არცერთი არ ჰყავს. არც დედა ჰყავს. ჰყავს ბებია, მაგრამ ბებიამაც მიატოვა. ქეთევან ალექსანდროვნამ ბიჭუნა ნულოვან კლასში შეიყვანა, მაგრამ სულ მალე მასწავლებელი შეევედრა: „გაიყვანეთ მეტი აღარ შემიძლია ჩხუბობს, ილანძღება და არავის უჯერებს „...რატომღაც იურკა მხოლოდ ქეთევან ალექსანდროვნას უჯერებდა და ყველგან კუდივით დაჰყვებოდა. ის კაბინეტში მუშაობს, - იურკაც ჩუმად ზის კუთხეში და ვაშლს ახრაშუნებს, საქმეებზე მიდის - ისიც ჩაჰკიდებს თავის პატარა ხელს და ცდილობს, არ ჩამორჩეს დირექტორის დიდ ნაბიჯებს.

თავდაპირველად კატეგორიულად უარს ამბობდა, ბავშვთა სახლში ღამე დარჩენილიყო, ტიროდა: „წამიყვანეთ, ქეთო დეიდა“. ქეთევან ალექსანდროვნა კი უხსნიდა: „მე გვიან მივდივარ, შენ დაგეძინება“. მაგრამ ყველაფერი ამაოდ იყო, იჯდა იურკა , ელოდა და თვალებს ისრესდა, სახლში კი როდესაც ხდიდა ქეთევან ალექსანდრეს ასული ფიქრობდა: „ადრეა მისთვის სკოლა, ჯერ სითბო ჭირდება , მას ხომ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე სითბო და ალერსი არ უგრძვნია“.

ახლა იურკა ზაფხულამდე წყნეთშია სადღეღამისო საბავშვო ბაღში, ჩვენ ვიხდით მის გადასახადს, - გვიხსნის ქეთევან ალექსანდროვნა, - ცოტა შეეჩვევა, სათამაშოებით გაერთობა, ზაფხულში კი ისევ ჩამოვიყვანთ“.

...ხაშურიდან ვბრუნდებოდი შეღამებულზე. ქუჩის ბოლოს მოვიხედე უკან - დგას შემაღლებულზე ჩვეულებრივი სახლი, ფანჯრებში ყვითელი შუქი კიაფობს. მხოლოდ ერთი რამ არის უჩვეულო: ამ სახლში არის ქალი, რომელსაც ასეულობით ადამიანი, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაფანტული, თვლის მას თავის დედად.

**გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1975. 8. 03**

## ივანე მჭედლიშვილი - საგზური ცხოვრებაში

ჩვენ ვიმყოფებით ხაშურის რკ/გზის საბავშვო სახლის დირექტორის ქეთევან ალექსანდრეს ასულ დავითაშვილის კაბინეტში. როგორც ამ კეთილშობილმა ქალმა გვიამბო, სახლი გახსნილია სამამულო ომის დროს, 1944 წელს. 1945 წლის იანვარში რუსეთიდან ჩამოიყვანეს 100 ევაკუირებული ბავშვი, რომლებსაც ომში დაეღუპნენ მშობლები. ისინი შეიკედლეს, დააპურეს, დედობრივი სიყვარულით და მოფერებით გაათბეს. როდესაც ამას ამბობს, მას თვალები ცრემლებით ევსება. სულ ამ საბავშვო სახლში 30 წლის მანძილზე 1200 ბავშვიდან 500-მა დაამთავრა უმაღლესი და ტექნიკური სასწავლებელი. მათ შორის არიან სამხედრო მოსამსახურე, ოფიცრები, ექიმები, პედაგოგები, რკინიგზელები. აი, საბავშვო სახლის აღსაზრდელების არასრული ჩამონათვალი: ინჟინერ - მაიორი ვლადიმერ სტრელცოვი, რომელმაც დაამთავრა სამხედრო აკადემია, ცხოვრობს მოსკოვში, ლეიტენანტი თენგიზ მაჭავარიანი, მსახურობს ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქში. შორეულ აღმოსავლეთის სამხედრო ოლქში მსახურობენ რიგითი ვასილ კულუმბეგაშვილი, ვლადიმერ შევერდოვი და სხვა. სამხედრო არმიიდან მადლობის წერილებს უგზავნიან საბავშვო სახლის დირექტორს ქეთევან დავითაშვილს: ალექსანდრე კუკსენკო, ბორის ვაგანოვი, სულიკო მაჭავარიანი, ბორის ჩაიკა, გივი ტუხაშვილი და მრავალი, მრავალი სხვა.

აი, მაგალითად, რას წერს მოსკოვიდან ვლადიმერ სტრელცოვი: „ძვირფასო ქეთევან ალექსანდრეს ასულო, მე კარგად ვარ, თქვენ შეუფასებელ მზრუნველობას არასოდეს დავივიწყებ. თქვენ ჩამინერგეთ სიყვარული სწავლისადმი და შრომისადმი, სამშობლოს სიყვარული. გეხვევით, გკოცნით. თქვენ ჩემი მეორე დედა ხართ. მალე გეწვევით. ვოვა.“

სამამულო ომის დროს პატარა კაკო გველესიანის მამა, ომში დაიღუპა, შემდეგ დედაც გარდაეცვალა. ბავშვი რომ დაობლდა ქეთევან დავითაშვილმა წამოიყვანა. ბავშვთა სახლის აღმზრდელების და აღსაზრდელების დახმარებით აკაკი გველესიანი კომუნისტური შრომის წამყვანი მემანქანეა სოხუმის ლოკომოტივის დეპოში. იქვე მემანქანედ მუშაობს ბავშვთა სახლის ყოფილი აღსაზრდელი იური ნოზაძე. მემანქანის თანაშემწედ

მუშაობს ხაშურის სადგურში ბავშვთა სახლის აღზრდილი ავთანდილ ლაცაბიძე .

მურმანსკიდან ევაკუირებული და-ძმა ვალია და საშა ბაკლაგინები უკვე დაოჯახებულნი არიან. ვალია სადგურის მორიგედ მუშაობს ახალ ათონში, ძმა კი - საშა ბაკლაგინი ინჟინრად მოსკოვში მუშაობს.

ყოფილი ბავშვთა სახლელები მუშაობენ პედაგოგებად: მერი კურტანიძე, მანანა მარნაძე, თინა ჭანკოტაძე, ლენა ციცქიშვილი, იზოლდა ნოზაძე, უმანკო ქიმერიძე - ექიმად, ვერა ლობჟანიძე, ემა აბაიაძე - ინჟინრებად, ექთნებად მუშაობენ: ციცინო ნოზაძე, ამალია წერეთელი, ჟუჟუნა გოგოლაძე და სხვა მრავალი. ყველანი თბილად წერენ ქეთევან ალექსანდრეს ასულს, იხსენებენ ბავშვობის და ყმაწვილობის წლებს გატარებულს საბავშვო სახლში, არ ივიწყებენ თავის პედაგოგებს - აღმზრდელებს.

ახლა ახალ თაობას ზრდიან ბავშვთა სახლის პედაგოგ-აღმზრდელები: ამირან გიორგის ძე ბარბაქაძე, თინა თევდორეს ასული გიორგაძე, ანა ისაკის ასული ტურტულაძე, ნინა მელიტონის ასული ჩაგანავა, ანა გიორგის ასული თევზაძე, მერი იასონის ასული ნადირა - შვილი, თამარ სიმონის ასული ჯაფარაშვილი და რა თქმა უნდა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენების მფლობელი ქეთევან ალექსანდრეს ასული დავითაშვილი.

საბავშვო სახლში არის საერთო საცხოვრებელი, სასადილო, ბიბლიოთეკა, კლუბი, წითელი კუთხე, სამეცადინო ოთახები. ყველა პირობაა შექმნილი აღსაზრდელების ცხოვრების და სწავლისათვის.

საღამო იყო, როდესაც ხაშურიდან გამოვემგზავრე, ვმგზავრობდი სიხარულის გრძნობით, რომელიც განმაცდევინა ნამდვილ კომუნისტის, დიდსულოვანი ადამიანის ქეთევან ალექსანდრეს ასულ დავითაშვილთან შეხვედრამ, რომელიც გულის მთელ სითბოს ბავშვებს აძლევს.

**გაზ. „ ჟელეზნოდოროჟნიკ ზაკავკაზია“, 1975 წ. 24. 05**

## ივანე მჭედლიშვილი - ომის შვილები

ფრონტზე სანგრებში ჯარისკაცები ხშირად იხსენებდნენ ცოლებს, შვილებს, მეგობრების ოჯახებს. ჯარისკაცებმა იცოდნენ და ჯეროდათ, რომ საბჭოთა ხალხი, სოციალისტური სახელმწიფო აუცილებლად იზრუნებდა მათ ნათესავებსა და ახლობლებზე, განსაკუთრებით ბავშვებზე.

გავიდა წლები. გამარჯვების 30 წლისთავისათვის მზადების დღეებში ვიხსენებდი რა ჩვენს ფრონტულ საუბრებს, შევეცადე, მომენახა ის სახლი, სადაც ომის შვილებმა მოიპოვეს სიყვარული და ალერსი. ამ ძიებებმა მომიყვანეს მე ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ხაშურში.

ბავშვთა სახლის დირექტორმა ქეთევან დავითაშვილმა მომიყვა ამაღელვებელი ისტორია.

- ომის მესამე წლის ზამთარია, - ყვებოდა ის - ღამით პერონზე ჩამოდგა სპეციალური შემადგენლობა. ბავშვების დამხვედრთა შორის ვიყავი მეც. მთელი ცხოვრება დამამახსოვრდა ის საგანგაშო ღამე. შევედით ვაგონში და ელდისაგან გული შემეკუმშა. თაროებზე ერთმანეთთან მჭიდროდ მიკრულები იყვნენ ბავშვები. ისინი ბევრნი იყვნენ. საიდან არიან ისინი, ვინ არიან მათი მშობლები, აი, რაზე ვფიქრობდით იმ წუთებში. ახლა ჩვენ უნდა გავმხდარიყავით მათი დედები. ბავშვები შემოვიყვანეთ შენობაში. დავბანეთ, ჩავაცვით, დავანაყრეთ და ჩავაწვინეთ სუფთა საწოლებში. ჩვენ კი მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს. რა არ ვიფიქრეთ, ყველაზე უფრო ვღელავდით იმაზე, თუ როგორ მივუდგეთ ბავშვებს, როგორ გავათბოთ მათი გულები. და აი, ახლა, თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, ვკითხულობ რა ჩვენი აღზრდილების წერილებს, რომლებიც თვითონ გახდნენ დედები და მამები, ვხედავ, რომ ჩვენს მძიმე შრომას არ ჩაუვლია უკვალოდ.

ქეთევან ალექსანდრეს ასულმა წინ დამიდო წერილების შეკვრა. ვკითხულობდი და ვერ ვხედავდი განსხვავებას, ვთქვათ, ვაჟის მიერ მშობელი დედასადმი მიძღვნილ წერილსა და ბავშვთა სახლის ყოფილი აღზრდილის თავისი აღმზრდელისასდმი მიწერილ წერილს შორის. მოსკოვიდან, მაიორ - ინჟინერ სტრელცოვისაგან ხშირად მოფრინავს ხაშურში ბარათები, აი, ერთი მათგანი: „...ჩემო საყვარელო დედიკო, ქეთევან ალექსანდრეს

ასულო! ახლოვდება შვებულების დრო, მე მიპყრობს მღელვარება. ჩქარა გნახავთ თქვენ, მშობლიურ ადგილებს, მეგობრებს. კარგია, რომ ბავშვთა სახლმა მომცა შრომითი წრთობა. ეს გამომადგა. გეხვევი და გკოცნი დედიკო. მალე ვიქნები თქვენთან“...

ოფიცერი ბორის ვაგანოვი წერილში ჰყვება თავისი სამსახურის შესახებ, თან სტუმრად იწვევს ქეთევან ალექსანდრეს ასულს: „დედა შემატყობინეთ როდის ჩამოხვალთ, დაგხვდებით.“ აი, აკაკი გველესიანის წერილი: „ომმა შეიწირა ჩემი მშობლები. ვიყავი ძალიან პატარა, მახსოვხართ თქვენც, ჩემო დედიკო, მახსოვს თქვენი სიყვარული და ალერსი.“ დღეს აკაკი გველესიანი სადგურ სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მოწინავე მემანქანეა, ჰყავს ოჯახი...

თბილ ბარათებს გზავნიან ყოფილი აღსაზრდელები, ახლა პედაგოგები: მერი კურტანიძე, თინა ჭანკოტაძე, ექიმი უმანკო ქიმერიძე და სხვები. ზინაც (ვან ხუნ დინი) ომის შვილია, ოღონდ ვიეტნამის ომის შვილი. მისი მშობლები დაიღუპნენ აგრესორებთან ბრძოლაში. პატარა ზინა იზრდებოდა ხაშურის ბავშვთა სახლში. დღეს ის უკვე დიდია, ცხოვრობს ბელორეჩენსკში. „ძვირფასო ქეთევან ალექსანდრეს ასულო, ჩემო საყვარელო დედიკო, ჩამოდით ჩვენთან სტუმრად.“

ბევრი კეთილი სიტყვაა ნათქვამი აღსაზრდელების მიერ თავიანთი პედაგოგ-აღმზრდელების: ამირან ბარბაქაძის, თინა გიორგაძის, ანა ტურტულაძის, ნინა ჩაგანავას, ანა თევზაძის, თამარ ჯაფარაშვილის და სხვათა მიმართ.

ბავშვთა სახლის ისტორიაში ბევრი ღირსშესანიშნავი ფურცელია. უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე აქ აღიზარდა და ცხოვრების საგზური მიიღო ათასზე მეტმა ბავშვმა, რომლებმაც მშობლები დაკარგეს ომში. მათგან ექვსასზე მეტმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და მიმოიფანტნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მაგრამ, სადაც უნდა იყვნენ ისინი, სულით და გულით დაუკავშირდნენ იმ ადამიანებს, რომლებმაც იმ მძიმე წლებში გაათბეს ისინი თავიანთი ალერსით, გახდნენ მათთვის დედები. ეს დაუვიწყარია.

**გაზ. „ლენინსკოე ზნამია“, 1975 წ., N 162, 13.07.**

## ივანე მჭედლიშვილი - ქეთევან დავითაშვილის შვილები

ჩვენ ვზივართ ხაშურის რკინიგზის ბავშვთა სახლის დირექტორის კაბინეტში და ქეთევან ალექსანდრეს ასული დავითაშვილი იხსენებს, როგორ იქმნებოდა მათი საბავშვო სახლი, როგორ უვლიდნენ ომის რთულ წლებში პატარა ლტოლვილებს, რომლებსაც ომმა წაართვა სახლი, მშობლები, როგორ ათბობდნენ ისინი მათ დედობრივი ალერსით. მას არ შეუძლია ამაზე აუღელვებლად ლაპარაკი, მის თვალებზე ბრწყინავს ცრემლი. თითქმის ათას ორასი ბავშვი, რომელთა მამები დაიღუპნენ ომში, აღიზარდნენ ბავშვთა სახლში, მიიღეს განათლება. დღეს მათ შორის არიან საბჭოთა არმიის ოფიცრებიც, მასწავლებლებიც, ექიმებიც და რკინიგზელებიც.

დიდი სამამულო ომის დროს პატარა კაკო გველესიანს ფრონტზე დაეღუპა მამა, მოუკვდა დედა, პატარა დაობლდა. მაშინ მოხვდა ის ხაშურის ბავშვთა სახლში, ქეთევან დავითაშვილის თბილ გარემოში. მას მოუარეს, ზრუნავდნენ მასზე. დღეს აკაკი გველესიანი კომუნისტური შრომის დამკვრელია, სადგურ სოხუმის სალოკო - მოტივო დეპოს ელმავლის მოწინავე მემანქანეა, იქვე მუშაობს მემანქანედ ბავშვთა სახლის მეორე აღზრდილი - იური ნოზაძე.

„ძვირფასო ქეთევან ალექსანდრეს ასულო, - წერს მოსკოვიდან მაიორ- ინჟინერი ვლადიმერ სტრელცოვი - თქვენს შეუფასებელ ზრუნვას არასდროს დავივიწყებ. თქვენ მე ჩამინერგეთ სიყვარული სწავლისა და შრომის მიმართ, სიყვარული სამშობლოსადმი. გეხვევით და გკოცნით. თქვენ ჩემი მეორე დედა ხართ“.

ეს კი ვიეტნამელი გოგონას ზინა ვან ხუნ ძინის წერილია, რომელიც ასევე იზრდებოდა ხაშურის ბავშვთა სახლში, ამჟამად ცხოვრობს ბელორეჩენკში. „ძვირფასო ქეთევან ალექსანდრეს ასულო, ძალიან გთხოვთ, ჩამოდით ჩვენთან სტუმრად. თუ თქვენ, ან თქვენი რომელიმე აღმზრდელთაგანი მოხვდებით ამ მხარეში, აუცილებლად შემატყობინეთ ტელეგრამით, მე დაგხვდებით“.

ქვეყნის ყველა მხრიდან მოდის „დედა ქეთევანთან“ ასობით წერილი. რომ წაიკითხოთ ისინი, დაათვალიეროთ ბავშვთა სახლის აღზრდილების ფოტოსურათები, დაგჭირდებათ გაატაროთ

საკმაოდ დიდი დრო საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის, შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენების კავალერის ქეთევან ალექსანდრეს ასულ დავითაშვილის კაბინეტში.

ბავშვთა სახლის აღზრდილები მადლიერები არიან მათი, ვინც დაუბრუნა მათ ბავშვობის სიხარული, გამოიყვანა ცხოვრების დიდ გზაზე.

**გაზ. „სოვეტსკი პატრიოტ“, 1975 წ., 12. X.**

## ივანე მჭედლიშვილი - მეორე დედა

1944 წელია. ხაშურის რკინიგზის სადგურზე ეშელონი ჩამოდგა. ასამდე ბავშვი გადმოიყვანეს, რომლებსაც დედ-მამა ომში დაეღუპათ. უდედმამო, მშიერ-მწყურვალი, სიცივით გათოშილი ბავშვები რკინიგზის საბავშვო სახლში მოათავსეს. აქ მათ დეიდა ქეთევანი დახვდა. მან ბავშვებს მიუალერსა, ტანსაცმელი ჩააცვა, გაათბო, დაანაყრა, დედობრივი მზრუნველობა აღმოუჩინა, არ მოაკლო სითბო და გულისხმიერება, ტკბილი სიტყვა...

მადლობით აღსავსე წერილი მოდის ხაშურის რკინიგზის საბავშვო სახლის დირექტორის ქ.დავითაშვილის სახელზე. აი, ერთი მათგანი: „ძვირფასო აღმზრდელო და მასწავლებელო, დეიდა ქეთევან! თქვენი ფასდაუდებელი ამაგი არასოდეს დამავიწყდება, ჩემო მეორე დედავ! თქვენ შემაყვარეთ სწავლა და შრომა, მალე თქვენთან ვიქნები! კაკო“.

ეს სტრიქონები ელმავლის მემანქანეს, სოხუმელ კაკო გველესიანს ეკუთვნის, რომლის ბედნიერი ცხოვრება დაკავშირე-ბულია ხაშურის რკინიგზის საბავშვო სახლის დირექტორთან. ომის დროს პატარა კაკო დაობლდა და ქუჩაში აღმოჩნდა. აქ იგი საეჭვო ყოფაქცევის ადამიანების ზეგავლენას განიცდიდა. ქეთევანმა ეს დროზე შეიტყო და მანამ არც თვითონ მოისვენა, არც აქტივი მოასვენა, სანამ ბიჭი საფრთხეს არ გამოსტაცა. ამავე საბავშვო სახლში გაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ მოსკოველი ინჟინერი ვ. სტრელცოვი, ელმავლის მემანქანე, სოხუმელი ი. ნოზაძე, ელმავლის მემანქანის თანაშემწე, თბილისელი ა. ლაცაბიძე და მრავალი სხვა.

30 წლის განმავლობაში ამ საბავშვო სახლში გაიზარდა და დავაჟკაცდა 1200 ობოლი ბავშვი. აქედან 560 ბავშვმა მიიღო უმაღლესი და საშუალო განათლება. მათ შორის არიან ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები, რკინიგზელები და სხვ.

ბავშვებზე ზრუნვასა და ფიქრში შეუმჩნევლად გაიპარა წლები, დრომ თავისი ქნა, თმებზე დაათოვა, სახეზე კვალი გაავლო, გული კი ახალგაზრდული, ძველებური შერჩა, შრომის სურვილი ძველებურად აღანთებს და აფორიაქებს. ჰოდა , ზის დეიდა ქეთევანი, იგონებს იმათ, ვინც მწუხარე მოვიდა მასთან და ბედნიერი წავიდა. იგონებს და მერე ერთი ფიქრი გაჰკრავს: რა იქნება, რომ დაწეროს ის, რაც ნახა, განიცადა, ეს შეიძლება, სასარგებლოც გამოდგეს იმ დიდი საქმისათვის, რომელსაც ქეთევანის დარად ათასობით მუშაკი ემსახურება.

და აი, წიგნი მზადაა. „ხაშურის რკინიგზის საბავშვო სახლის ისტორია“ - ასე ჰქვია მას. საბავშვო სახლის აქტივმა, აღმზრდელებმა ნაშრომი მოიწონეს და სულ მალე მას გამოცემულსაც იხილავენ.

ამაგდარ ადამიანს, წლების მანძილზე უმწიკვლოდ მომუშავეს, მოწინავე აღმზრდელს ქეთევან დავითაშვილს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულე-ბით, დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით, დიპლომებით, სიგელებით.

**გაზ. „სახალხო განათლება“, 1976 წ. № 20, 7. 03.**

## ივანე მჭედლიშვილი - ძმური, ინტერნაციონალური ოჯახი

წარმატებები აქვს ხაშურის რკინიგზის საბავშვო სახლის კოლექტივს (დირექტორი ქ. დავითაშვილი). ამ კოლექტივს ინტერნაციონალურსაც უწოდებენ; აქ ხელიხელჩაკიდებულად, ძმურად შრომობენ, ცხოვრობენ და სწავლობენ ქართველები, რუსები, ოსები, სომხები და აზერბაიჯანელები.

საბავშვო სახლის აღსაზრდელები ერთ მთლიან მტკიცე ოჯახში ცხოვრობენ და სწალობენ, მათ დიადი ცხოვრების

პერსპექტივები აქვთ გადაშლილი. მაგალითად, სვეტლანა ბუბნინას სურს, გახდეს მასწავლებელი, ედვარდ აკოფოვს - ელმავლის მემანქანე, ლიანა ბაქრაძეს კი - ინჟინერი, დავით ქარსელაძეს სურს, ისწავლოს სამშენებლო ფაკულტეტზე, ნინო რუხაძეს კი - პიონერ ხელმძღვანელობა აინტერესებს. ყველა აღსაზრდელი კარგად სწავლობს, რათა ოცნება სინამდვილედ გადააქციოს.

საბავშვო სახლის აღსაზრდელები ერთად დადიან კინო-თეატრებში, გამოფენებზე მუზეუმებში, ექსკურსიებზე. ხშირად იკრიბებიან წითელ კუთხეში და მსჯელობენ სპორტის, ხელოვნების, ლიტერატურის და მათთვის საინტერესო სხვა საკითხებზე. ამ ინტერნაციონალურ ოჯახს კარგი ტრადიციები აქვს.

**გაზ. „სახალხო განათლება“, 1979 წ. 1, V.**

## მ. შათირიშვილი - სხივი სიკეთისა

ზამთრის მკაცრი სუსხი დაძრწოდა ირგვლივ. რკინიგზის სადგურზე ჩამომდგარი ვაგონის ფანჯრები ჭირხლს დაეფარა. გარეთ ჩანდა. ან რა იყო დასანახი. ქვეყანა ომის ბურუსში გახვეულიყო. ბაქანზე ხალხი ბიჭი, რომელსაც ტანსაცმელი შემოხეოდა და ირგვლივ უაზროდ იყურებოდა.

მის კეთილ მზერას არც ეს პატარა ბიჭი გამოჰპარვია. ფრთხილად ჩამოვიდა ვაგონიდან, მიუახლოვდა ბავშვს და ვინაობა ჰკითხა. ბავშვის შეშინებული თვალებიდან იგრძნო, რომ მას მფარველობა სჭირდებოდა. ნაზად მოხვია ხელი და თავისთან წაიყვანა.

უკვე ოცი ბავშვი ჰყავს. ახლა კი ნამდვილად შეიძლება ამ ბავშვების ერთ ჭერქვეშ მოთავსება.

ასე ჩაეყარა საფუძველი ქ. ხაშურში საბავშვო სახლის დაარსებას, რომლის ჭერქვეშაც უდედმამო ბავშვებმა დაიდეს ბინა. და როდესაც ქეთევან დავითაშვილს ამ სახლის დირექტორობა შესთავაზეს, არც გაკვირვებია. თითქოს გრძნობდა, რომ ასეც უნდა მომხდარიყო.

საბავშვო სახლი... რამდენი სევდა და სიხარულია ამ სიტყვებში. სევდა- იმიტომ, რომ იცი, აქ მოხვედრილ ბავშვებს მშობლები არ ჰყავთ, ხოლო სასიხარულო ის არის, რომ უდედმამო

ბავშვებს გულის სითბოს უნაწილებენ კეთილი ადამიანები. მათ რიცხვს ეკუთვნის სწორედ ქალბატონი ქეთო, რომელიც ათეული წლების მანძილზე სათავეში ედგა ამ უაღრესად კეთილშობილურ დაწესებულებას.

რამდენი ბავშვი გაუზრდია და დაუფრთიანებია მის კეთილ გულს. მას ხომ ამ წლების მანძილზე ერთი წუთითაც არ შეუნელებია ზრუნვა მის კალთას შეფარებულ ბავშვებზე.

მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებმაც გამოსცადეს ქალბატონი ქეთოს დედობრივი მზრუნველობა, მაგრამ მე მიხდებოდა მის ახლოს ხშირად ყოფნა და როდესაც წერილები მოდიოდა მის სახელზე შორეული ქალაქებიდან, რომლშიც უღრმეს მადლობას უხდიდნენ ქეთო მასწავლებელს მისი აღზრდილები, ის დღე მისთვის ყველაზე ბედნიერი იყო. ბედნიერი, რადგანაც გრძნობდა, მის შრომას ფუჭად არ ჩაევლო.

ახლა, როცა თავის განვლილ გზას თვალს გადაავლებს, უკვირს, რითი შეძლო იმდენი სიძნელის გადალახვა, მაგრამ უმალვე ახსენდება ყველა, - ვინც მის ხელში გაიარა და თითქმის ყველაფერი ადვილად ეჩვენება.

აღზრდილები კი ძალზე ბევრნი არიან, ძალზე ბევრნი. რომელი ერთი გაიხსენოს: ნარი, ჟუჟუნა, ნატო, ნათელა და კიდევ მრავალი. ყველას სახე თვალწინ უდგას. გუშინდელი დღესავით ახსოვს, როგორ მოვიდნენ ისინი მასთან და როგორ უწილადა ყველას თავისი გულის სითბო.

დღეს კი ქეთევან დავითაშვილი დამსახურებულ პენსიაზეა. არავინ იფიქროს, რომ მან თავისი ბავშვები „მიატოვა“, არა, ყველას თავისი ადგილი მიუჩინა, გზა კეთილი.

დადის ჩვენს ქალაქში თმაშევერცხლილი მანდილოსანი და აფრქვევს ირგვლივ სიკეთის სხივს. მან უკვე თითქმის ყველაფერი გაიღო თავისი ხალხისათვის, თავისი ქვეყნისათვის. და თუ რამ დარჩა, ახლა თავის შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს ახმარს.

მრავალჟამიერ გევლოთ, ქალბატონო ქეთო, ამ ქვეყანაზე, რამეთუ თქვენისთანა ადამიანები ალამაზებენ ჩვენს ცხოვრებას, თქვენისთანა ადამიანებს კიდევ ბევრი სიკეთის დათესვა შეუძლიათ.

**გაზ. „გამარჯვების გზა“, 1984 წ.18. 09.**

## მურად მთვარელიძე - მადლმოსილი ადამიანი

...რაკი რკინიგზის სკოლების დირექტორებს და მასწავლებლებსაც რკინიგზის სამმართველოს სასწავლებელთა განყოფილების უფროსი ნიშნავდა, ამჯერად მე მიმართვით მასთან უნდა წარვმდგარიყავი და ამის შემდეგ როგორც ის ჩათვლიდა საჭიროდ, ისე გადაწყვეტდა.

სასწავლებლების განყოფილებას ამ დროს გურამ ცინცაძე განაგებს, აშკარად კეთილშობილი ადამიანი.

ბატონ გურამს რაიკომის მდივანი უკვე ესაუბრა და კანდიდატურაზე შეუთანხმდა...

რკინიგზის სამმართველოს სასწავლებელთა განყოფილებაში დანიშნულ დროს მივედი და უფროსის კაბინეტში შევაბიჯე. ჩემზე ინფორმაცია უკვე აქვთ და ბატონი გურამი საკმაოდ თბილად მხვდება. საუბრის ბოლოს კი მდივან ქალბატონს იხმობს და დავალებას აძლევს – ბრძანება გააფორმოს ჩემი დანიშვნის შესახებ. მდივანი ქალი სამოცს გადაცილებული დაბალი ტანის, რუსი ქალბატონია, ქართული საერთოდ არ იცის, ამიტომ იქ ძირითადად მასთან ყველა რუსულად ურთიერთობს. ვიდრე ეს ქალბატონი ბრძანებას გააფორმებს, რაშიც ზონის ინსპექტორი ეხმარება, ბატონი გურამი ძალიან მეგობრულად მეუბნება:

– თქვენზე ქალბატონ ქეთევან დავითაშვილს ვესაუბრე, უფრო სწორად, ვკითხე თუ გიცნობდათ და დადებითად დაგახასიათათ, თქვენს დანიშვნას ქალბატონი ქეთევანი დიდად მიესალმება.

– ქალბატონი ქეთევანი? – ვიოცებ მე, აქამდე ჩემთვის არავის უთქვამს, რომ ხაშურის რკინიგზის ბავშვთა სახლის ერთადერთი დირექტორი მთელი მისი არსებობის მანძილზე – ქალბატონი ქეთევან დავითაშვილი, მისი მეუღლის დედაა, ხოლო თვითონ ბატონი გურამი თბილისის რკინიგზის №1 სკოლის ლეგენდარული დირექტორის ალიოშა ცინცაძის ვაჟიშვილია.

რაკი ქეთევანი ვახსენეთ, აქვე არ შემიძლია მასზე ორი სიტყვა არ ვთქვა. ხაშურში რკინიგზის ბავშვთა სახლში

სხვადასხვა ეროვნების ბავშვები ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ. იქ ქეთევანს ისეთი გარემო ჰქონდა შექმნილი, თანამშრომლებიც ისეთი ჰყავდა შერჩეული, რომ ბავშვები ამ გარემოს მშობლიურად მიიჩნევდნენ და აქედან უდიდესი სიყვარული მიჰქონდათ. მე თვითონ მინახავს საბჭოთა კავშირის შორეული კუთხეებიდან ჩამოსული ადამიანები, რომლებმაც წლების შემდეგ უზარმაზარი მანძილი გამოიარეს, რათა მშობლიური სახლი და საყვარელი მასწავლებლები მოენახულებინათ, ქალბატონი ქეთო კი მათი უპირველესი სიყვარული იყო. ისიც არა მარტო იმ პერიოდში ზრუნავდა თავის „ბავშვებზე“, ვიდრე არასრულწლოვანები იყვნენ, მერეც თუ რაიმე პრობლემები შეექმნებოდათ, როგორც დედასთან, ისე მიდიოდნენ და ქეთევანიც იწყებდა მათი პრობლემის მოწესრიგებას, ასეთი იყო ეს მადლმოსილი ადამიანი. ისე იცხოვრა, ობოლ ბავშვებს ობლობის ნაღველი არამცთუ შეუმსუბუქა, თავად იქცა მათ მშობლად და ამიტომაც იყო, რომ მის მიმართ უკვე ასაკში შესული ადამიანებიც კი ისევ ისეთ სიყვარულს იჩენდნენ, როგორც ბავშვთა სახლში ყოფნის პერიოდში.

1975 წელს, მესამე კურსის სტუდენტს, დამევალა პრაქტიკის გავლა რომელიმე პიონერთა ბანაკში. ვიცოდი, რომ ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ყოველ წელს დაჰყავდათ ეშერაში, აფხაზეთის ამ ზღვისპირა სოფელში და იქ ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში უზრუნველად აცხოვრებდნენ და აკაჟებდნენ. ამ ბავშვებს აუცილებლად სჭირდებოდათ იქ მასწავლებელი და ხელმძღვანელი.

ქალბატონი ქეთევანის კაბინეტის კარი მოკრძალებით შევაღე, სიმპათიური, უკვე ასაკში შესულმა თმაჭაღარა ქალბატონმა ყურადღებით მომისმინა და რამდენიმე კითხვაზე პასუხის მიღების შემდეგ მითხრა, რომ ამ ზაფხულს მათთან ერთად გავატარებდი.

ის ზაფხული მართლაც იყო ულამაზესი და რაც მთავარია, ბევრის მომცემი. იქ გატარებულმა დღეებმა მასწავლა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი მოზარდებთან გარკვეულ სიტუაციებში და როგორ უნდა მომეგვარებინა საქმე ისე, რომ

მათი ფსიქიკა არ დამეზიანებინა. აი, აქედან მიცნობდა ქალბატონი ქეთევანი და ეს ჩვენი თანამშრომლობა ახლა ძალიან წამადგა.

**ამბები მათზე და ჩემზე, თბ. 2023, 264-266**

# იგონებენ აღზრდილები

## ომარ ბარბაქაძე - ხაშურის ბავშვთა სახლი, რომელმაც დიდი კვალი დატოვა ჩვენს ქალაქში

ქეთევან დავითაშვილი გახლდათ რკინიგზის №1 ბავშვთა სახლის დირექტორი - დამსახურებული პედაგოგი, ჩინებული აღმზრდელი, უაღრესად განათლებული პიროვნება, რომლის გულისყური მიპყრობილი იყო ბავშვის აღზრდისა და ჩამოყალიბებისკენ. იგი ყოველთვის ცდილობდა, ბავშვების ყოველდღიური ცხოვრება გაელამაზებინა, გაეფერადებინა. ბავშვთა სახლის ყოველდღიური შრომითი გაერთიანება საჭირო დისციპლინას მოითხოვდა ბავშვებისაგან. დილით ადრე ადგომა, მსუბუქი ტანვარჯიში, მუსიკალური აკომპანირებით, მოწესრიგება, საუზმე და მზადება სკოლაში წასასვლელად. ბავშვები ნაწილდებოდნენ სხვადასხვა სკოლაში, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, მზადება-აკადემიური მოსწრებისათვის. ბავშვთა სახლის აღსაზრდელები გამოირჩეოდნენ მაღალი აკადემიური მოსწრებით. ბევრი მათგანი ოქროს და ვერცხლის მედლის მფლობელები იყვნენ. უფროსი თაობიდან გამოირჩეოდნენ: თინათინ ჭანკოტაძე, უმანკო ქიმერიძე, და- ძმა ემა და მურთაზ აბაიაძეები, ვლადიმერ სტრელცევი, საშა კულირენკო, ვიტია ზოლონენკო და სხვები. სწორედ აქ იჩენდა თავს ქალბატონი ქეთევან დავითაშვილისა და მისი მაღალკვალიფიური, აღმზრდელ პედაგოგების უდიდესი დამსახურება, განსაკუთრებით, უფროსი მასწავლებლების: თინა გიორგაძის, ანიკო ტურტულაძის, ანიკო

ხვედელიძის, ოლია ძიძიგურის, ნინა ჩაგანავას, ქეთევან გიორგაძის, მერი ნადირაშვილის და სხვების.

დღის განმავლობაში ბავშვები აქტიურად ერთვებოდნენ ხელოვნების სხვადასხვა სახეობებში. დიდ დროს უთმობდნენ მუსიკალურ, კერძოდ, სასულე საკრავების, ქართული ხალხური ცეკვების, სიმღერის და სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში მეცადინეობებს, საღამოს საათებში ტარდებოდა რეპეტიციები. სასულე საკრავების ორკესტრების ხელმძღვანელი გახლდათ უაღრესად ნიჭიერი სერგო ლაკერბაია. უამრავი წარმატება ხვდა წილად ბავშვთა სახლს რაიონულ თუ რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე. განსაკუთრებული ყოფაქცევით ხასიათდებოდნენ ვახტანგი და ამირან ბარბაქაძეები ჩემი ძმები. უამრავ ტკბილ მოგონებათაგან ვიხსენებ ერთ-ერთ ეპიზოდს ჩვენი ცხოვრებიდან, რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე პირველი ადგილი მოიპოვა ხაშურის ბავშვთა სახლმა, იქ ლეგენდარულმა ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა რჩევები და შენიშვნები მოგვცეს. კონცერტს ესწრებოდნენ მთავრობის წარმომადგენლები და მრავალი საპატიო სტუმარი. ამ გამარჯვების შემდეგ, საქართველოს ჰიმნი გაისმა, მაყურებელი ფეხზე იდგა, ტაში და ოვაცია არ წყდებოდა, ყოველივე ეს, გამომდინარე იყო იმით, რომ ხაშურის ბავშვთა ანსამბლი იყო ინტერნაციონალური. სამამულო ომის შემდეგ, სხვა რესპუბლიკებიდან ევაკუირებული ბავშვების თავშესაფარი, სწორედ რკინიგზის ბავშვთა სახლი გახდა. ამავე დროს, იყვნენ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან - ჩინეთიდან, იუგოსლავიიდან, იტალიიდან. ისინი ეუფლებოდნენ ჩვენს ტრადიციებს, ჩვენს ხელოვნებას, კულტურას, იზრდებოდნენ ქართული სულისკვეთებით. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ომის შემდგომ წლებში, ქალბატონი ქეთევანის დახმარებითა და მთავრობის ყურადღებით, ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ყოველთვის განებივრებულნი იყვნენ სასკოლო არდადეგებზე სხვადასხვა საკურორტო ადგილებში დასვენებით.

როდესაც ბავშვთა სახლის აღსაზრდელი სასკოლო ასაკს ეთხოვებოდა, ქალბატონ ქეთევანს თავად მიჰყავდა უმაღლეს სასწავლებლებში. პროფტექნიკუმის სასწავლებლებში ბავშვი

ყალიბდებოდა ღირსეულ მოქალაქედ და ადამიანად. აქვე გავიხსენებ ბავშვთა სახლის სხვა ზემდგომ ხელმძღვანელებს: ბორის სმირნოვს, ბალანჩივაძეს, ქრისტინაშვილს, განსაკუთრებით კი ჩვენ ერთგულ მეგობარს, უკეთილშობილეს გურამ ცინცაძეს.

ქეთევან დავითაშვილის პროფესიული მიღწევები, ავტორიტეტი რკინიგზაში მეტად დაფასებული იყო. კიდევ ერთი აღსანიშნავი თარიღი ქეთევან დავითაშვილის 75 წლის იუბილე გახლდათ. იმ პერიოდისათვის მსგავსი ტიპის ღონისძიებები იშვიათად გადაიცემოდა ცენტრალური ტელევიზიით, მაგრამ ქალბატონ ქეთევანს ეს პატივი ერგო და იმსახურებდა კიდეც. ღონისძიებაზე უამრავი საპატიო სტუმარი იყო მიწვეული: მძლავრი ქარხნების დირექტორები კავშირის მასშტაბით, სამშენებლო ტრესტისა და სამმართველოს უფროსები, აგრეთვე, თურქმენეთის რესპუბლიკის სამხედრო კომისარი და მრავალი სხვა თანამდებობის პირი (ზოლონენკო, აფანასევი, აბაიაძე, სტრელცოვი და მრავალი სხვა).

ქალბატონი ქეთევანი აქტიურად თანამშრომლობდა ხაშურის სკოლების დირექტორებთან, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საშა ხუროძე, გიორგი ტაბატაძე, მაშინდელი რკინიგზის №3 სკოლის დირექტორი, რომელი სკოლაც შემდგომ კარლო მურჯიკნელმა და ჩვენმა სახელოვანმა მურად მთვარელიძემ ააყვავა და სანიმუშო სკოლად აქცია. დავამატებ რუსული სკოლის დირექტორსაც, ბატონ იპოლიტე ქავთრიას.

განსაკუთრებული კოლეგიალურობით გამოირჩეოდა ქეთევან დავითაშვილი პიონერხელმძღვანელების: თამრიკო ჯაფარაშვილის, მერი ჯოჯიშვილის, ნუნუ გურეშიძის და სხვათა მიმართ. მუდმივად მიმდინარეობდა გამოცდილების ურთიერთ გაცვლა. ასეთი თავდადებული მუშაობის შედეგად გაზრდილ ბავშვში წვეთიც არ იყო ბოროტებისა, ეგოიზმისა, შურისა. პირიქით, ამ უნიკალური ქალბატონების პედაგოგობით ისინი იზრდებოდნენ სამშობლოს მოყვარულნი, ღირსეული პიროვნებები.

ბუნებრივია, ქეთევან დავითაშვილისთვის ბავშვთა სახლი მეორე საცხოვრისად იქცა. არ შეიძლება, არ აღვნიშნო მისი ქალიშვილების მერციას და ნუნუკას თბილი დამოკიდებულება ბავშვთა სახლის ყველა აღსაზრდელის მიმართ. ვერ აღგიწერთ, იმ

დიდ სიყვარულს და სიხარულს, როდესაც ისინი შაბათ-კვირას ჩამოდიოდნენ ჩვენს მოსანახულებლად და დღესაც დიდი ადგილი უკავიათ ჩვენს ცხოვრებაში.

როდესაც საუბარია ქალბატონ ქეთევანზე, მის გვერდით, არ შეიძლება, არ ვახსენოთ მისი თანაშემწე და მარჯვენა ხელი, ჩინებული ორგანიზატორი, ვაჟკაცური შემართებით და ამავე დროს, ჩვენი სახალხო თეატრის სახელოვანი მსახიობი ქეთევან ბერაია. იგი ბავშვთა სახლში უძღვებოდა მომარაგების სამსახურს. ქეთო ბერაია მუდმივად ზრუნავდა ყველა აღსაზრდელის მოწესრიგებაზე. განსაკუთრებით, სასკოლო ფორმა, ყოველთვის წესრიგში უნდა ყოფილიყო. საოცარ დედურ სითბოს იჩენდნენ ჩვენ მიმართ ქალბატონები: ნატაშა რაზმაძე და ციცინო სამთელაძე.

დამრჩა ყველაზე ტკბილი ლუკმა, უნიკალური, წმინდა სულის და გულის მქონე უაღრესად პატიოსანი მოქალაქის, დიდი თეოლოგის მამა ზვიადაძის - ქება-დიდება, რომელმაც გარკვეული წლები დაჰყო ხაშურის საბავშვო სახლში. დღესდღეობით ის საქართველოს სასულიერო აკადემიის პრორექტორია და ასეულობით ახალგაზრდის სულიერ აღზრდას ემსახურება.

ქალბატონი ქეთევანის დამსახურებების შესახებ საუბარი დაუსრულებლად შეიძლება.

და ბოლოს, მინდა, მოკრძალებულად მივმართო დღევანდელი ბავშვთა სახლების ხელმძღვანელებს, რომ იყვნენ მაქსიმალურად ყურადღებიანები აღსაზრდელების მიმართ, მოეპყრონ მათ სიყვარულითა და სითბოთი, ისე, როგორც ქეთევან დავითაშვილი იყო თავდადებული ჩვენ მიმართ. მას საპატიო ადგილი უკავია ჩვენს ცხოვრებაში.

## ვასილ ხაჩიძე - ყოფილი აღსაზრდელის მოგონება

1963 წელს ჩემს ოჯახს შეექმნა პრობლემები. დააპატიმრეს მამაჩემი ეკონომიკური დანაშაულის გამო.

სახლში დარჩენილი სამი შვილის მოვლა-პატრონობა არ შეეძლო დედაჩემს და ვინაიდან ქალბატონი ქეთო დავითაშვილი დედაჩემის კარგი მეგობარი იყო, მისი რჩევით, მიგვაბარეს მე და ჩემი უფროსი ძმა ინტერნატში. მიუხედავად ინტერნატში სამი წლის

ყოფნის დროს კარგი პირობებისა, სადაც არაფერს იშურებდნენ, არც კვებას, არც ნორმალურ ჩაცმას და სხვადასხვა წრეებში ჩვენს შემოქმედებით აღზარდას, მაინც არავის ვუსურვებდი ოჯახიდან მოწყვეტას და ბავშვთა სახლში უდედმამოდ გაზრდას და ყოფნას, დედის და ოჯახის სითბო ადამიანისთვის უპირველესი და შეუცვლელია.

მიუხედავად ამისა, მაინც კარგი მოგონებები დამრჩა. სამი წლის მანძილზე დავდიოდი ცეკვის წრეზე, სამჯერ გამოვედი სასკოლათაშორისო ოლიმპიადაზე, მადლიერების გრძნობით მინდა, მოვიგონო ბატონი სერგო ლაკერბაია - ჩემი ცეკვის მასწავლებელი, ასევე ქეთო გიორგაძე, ნინა ჩაგანავა, ოლია ძიძიგური, ქეთევან ქიმერიძე, თინა გიორგაძე და სხვა მასწავლებლები, განსაკუთრებით დირექტორი ქეთევან დავითაშვილი, მისი მოადგილე ანიკო ტურტულაძე, რომლებიც სითბოსა და ენერგიას არ იშურებდნენ ჩვენი პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის.

**30.07. 2019 წელი.**

## იზოლდა ნოზაძე - ჩემი მოგონებები

ათი წელი გავატარე ხაშურის №1 საბავშვო სახლში. იმაზე მეტი აღზრდა და განათლება მივიღე ამ კეთილ კერაში, ვიდრე მივიღებდი ჩემს ოჯახში.

უმაღლესი ჰქონდათ დამთავრებული ჩემს ძვირფას აღმზრდელ-პედაგოგებს: ქეთევან დავითაშვილს, თინათინ გიორგაძეს, ანა ტურტულაძეს, ქეთევან გიორგაძეს, ნინა ჩაგუნავას, ანა თევზაძეს, რომელი დედა და მასწავლებელი იქნებოდა ისეთი თბილი, ტკბილი, ცოტა მკაცრიც, ჭირ-ვარამის, სიხარულის, სიყვარულის, საიდუმლოს გამზიარებელი, როგორებიც ჩვენი აღმზრდელები იყვნენ. თუ რაიმე კარგი, კეთილი, თბილი, დახმარების და გატანის უნარი გამაჩნია, მხოლოდ და მხოლოდ მათი დამსახურებაა.

უკვე 57 წლის მუშაობის შემდეგ, წელს დავასრულე, 74 წლისამ, ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა, თუ როგორ ამას ჩემი

ნამოწაფარნი იტყვიან. ძალიან განვიცდი, სადმე საქველმოქმედო საქმეში უნდა ჩავერთო.

რამდენი რამ მაგონდება ბავშვობიდან. სხვადასხვა ერის ბავშვები ვიზრდებოდით ერთად: ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, იეზიდები, ჩინელები, უზბეკები, მოლდაველები. ჩვენს შორის ყველანაირი ბარიერი გადალახული იყო - ჩვენ ვიყავით მხოლოდ და-ძმანი. არცერთი საბავშვო სახლში აღზრდილი არ მოხვედრილა ციხეში, არ გამრუდებიათ გზა. დირექტორი ქეთევან დავითაშვილი თითოეულ აღსაზრდელს თავისი სწავლისა და ნიჭის მიხედვით უკაფავდა გზას. თუ ვერ სწავლობდა, 9 კლასის შემდეგ მიჰყავდა პროფესიულ სასწავლე-ბელში, ხოლო ვინც კარგად სწავლობდა - უმაღლეს სასწავლებელში. მას დიდ დახმარებას უწევდა მისი და, ქალბატონი ელიკო, - პედაგოგი, რომელიც თბილისში ჯანაშიას № 5-ში ცხოვრობდა. დეიდა ელიკოს ბინაში თითქმის ყველა, ვინც კი უმაღლესში მოეწყო, თვეობით ცხოვრობდა. როგორც გვეხმარებოდა და გვითანაგრძნობდა, ისეთ დიდ სიყვარულს და ყურადღებას გრძნობდა ჩვენგან. მას ქმარ-შვილი არ ჰყავდა, ჩვენ ვიყავით მისი შვილები და საზრუნავი... ნათელი და სანთელი დეიდა ელიკოს.

დედის ავადმყოფობის გამო, მე და ჩემი ძმა მიგვიყვანეს საბავშვო სახლში, 1952 წელს. მე ექვსი წლის ვიყავი, ჩემი ძმა - 8 წლის. სამნეო ნაწილის გამგემ, ქეთო ბერაიამ სატვირთო მანქანაზე დაგვაჯინა და სოფელ დაბაში წაგვიყვანა, ივლისის თვე იყო. ბავშვებში მე ყველაზე პატარა ვიყავი. მახსოვს, როგორ მეფერებოდნენ უფროსი ბავშვები და მათამამებდნენ. იმ ზაფხულს სტუმრად ი.ნონეშვილი და მარიკა ბარათაშვილი იყვნენ. ქეთევან გიორგაძემ ლექსი მასწავლა და მე გამახსნევინეს საღამო. შემდეგ იოსებ გრიშაშვილს შევხვდით. ვინ არ იყო ჩემი ბავშვობის წლებში ჩვენთან სტუმრად: პოეტები, პროზაიკოსები, ხელოვნების სხვადასხვა წარმომადგენლები. წელიწადში ყოველთვის ორჯერ გვასვენებდნენ, მთაში - ბორჯომის ხეობაში და ზღვაზე. აქტიური პიონერი, კომკავშირელი ვიყავი და ზუსტად ამიტომ არ გამიძნელდა ცხოვრება. ორგანიზატორული ნიჭი საბავშვო სახლში ჩამომიყალიბდა.

ჩემი პედაგოგობა თინა მასწავლებლის დამსახურებაა: ნიჭიერი, თბილი, უზომოდ მოყვარული ბავშვების, თავის შვილებში (თენგიზი და ნანა), არ გვარჩევდა. ძალიან ბევრი წიგნები ჰქონდა და ვისაც გვინდოდა კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა, გვირჩევდა და გვავალებდა, გვქონოდა რვეული, სადაც ამოვიწერდით საუკეთესო ფრაზებს- ვისწავლიდით. ასევე წიგნებით გვამარაგებდა ჩვენი დირექტორის და, დეიდა თამარი - ძალიან ნაკითხი ქალბატონი იყო, სანამ წიგნს გვათხოვებდა, წინასწარ მოგვიყვებოდა რაიმე საინტერესოს, მოგვეფერებოდა და ისე გამოგვიშვებდა.

დირექტორის - ქეთევან დავითაშვილის ძმა გიორგი, მეუღლე და შვილები: კაკი და ალეკო ძალიან ყურადღებით გვექცეოდნენ. ჩოგბურთი კაკიმ მასწავლა. ყველა ჩვენი მასწავლებლების ოჯახის წევრები ჩვენს გვერდით იყვნენ ზაფხულში სამი თვის განმავლობაში. ქეთევან დავითაშვილის შვილებს, მერციას და ნუნუს დიდი წვლილი მიუძღვით მრავალი ბავშვის წინაშე. ყოველ შაბათ-კვირას, თბილისიდან მოდიოდნენ ხაშურში, ძალიან ბევრ დროს გვითმობდნენ, გვასწავლიდნენ მხატვრულ კითხვას, გვინერგავდნენ მომავლის იმედს. შემდეგ კი მათი ოჯახები და ჩვენი ოჯახები ერთმანეთს უმეგობრდებოდნენ. ჩვენ, აღზრდილები შვილებს ძირითადად ვარქმევდით ჩვენი აღმზრდელების სახელებს: ქეთევანი, თინათინი, ნინო, ანა.

პატარაობიდან გვასწავლიდნენ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სამშობლოს სიყვარულს, უფროსის და უმცროსის პატივისცემას. ბევრი სასახელო მოქალაქე დადგა, სად არ ნახავდი ჩვენ საბავშვო სახლში აღზრდილს. ჩვენ ვამაყობდით არჩილ და უშანგი ნოზაძეებით, ციალა ნოზაძით - (XXI საკავშირო ყრილობის დეპუტატი და შრომის გმირი), ვიქტორ ზოლონენკოთი (ინჟინერი), ვლადიმერ სტრელცოვით (გენერალი), უმანკო ქიმერიძით (ექიმი), ნანა, ენდი, ეთერ, თენგიზ საბაურებით (ინჟინრები), დები ლობჟანიძეებით (ეთერ და ვერიკო), ძმები კუსრაშვილებით, ძმები ბარბაქაძეებით, და-ძმანი ბაქრაძეებით, გაბუნიებით, გიორგი ზვიადაძე-პროტოპრესვიტერი, კუკსენკო საშა, ჩობანიანები, ზემლიანიკოვები, პოპოვები, ნასყიდაშვილები, ორჯონიკიძეები, მაჭავარიანები, მხატვრები ბორის ჩაიკა, ლომიძე, სკანაძეები,

გოლოვინები, ფიოდოროვები, მამულაშვილები და ა.შ. ჩვენ ერთმანეთით ვამაყობდით, ვამაყობთ და ვიამაყებთ, რადგან სიგლახე არავის არ ჩაუდენია. რამდენი გზაზე აცდენილი, მტირალი, შიშველი ფეხზე დამდგარა და ცხოვრების საფეხურში ჩამდგარა. მაგრამ ეს უნდა ვიცოდეთ, რამდენი ტკივილი მიგვიღია, როცა ვინმე გარეშე პირი იტყოდა - ეს „პრიუტში“ და არა საბავშვო სახლში გაზრდილია, სიბრალულით თუ დამცირებით გაგვიმეტებდა მზერით თუ სიტყვით. ბევრს დაუმალია, რომ იზრდებოდა საბავშვო სახლში, იცით რატომ? მის გარშემო ბევრი შეუგნებელი და ამპარტავანი ადამიანი იყო. იცით, რამდენი გაბრძოლება დაგვჭირდა თითოეულ ჩვენგანს, მაგრამ, როდესაც ხარ სუფთა, ამაყი, ძლიერი, კეთილი - გადალახავ.

ძალიან ხშირად მივდივარ ჩემს ძველ კერაში, რამდენი რამ მაქვს მოსაგონარი, მხვდება ორსართულიანი შენობა, დავდივარ შენობის გარშემო, ვეძებ, იქნებ, რამე ჩანაწერია კედელზე. გვერდზე სასადილო და სააქტო დარბაზი აღარ არის, სამაგიეროდ დგას ამაყად ძალიან ლამაზი „ცაცხვის ხე“. როგორ მოვეფერე, ფოთოლი მოვწყვიტე და ჩემს ბლოკნოტში სამახსოვროდ შევინახე. დანგრეულ ადგილას შენდება ტაძარი, ძალიან მიხარია. დიახ, ამ ადგილას მხოლოდ სალოცავი უნდა იყოს. ვიდექი დიდხანს, ავანთე სანთლები... ნათელი ყველა გარდაცვლილებს. ვიგონებდი ჩემს აღმზრდელებს, ბავშვობის მეგობრებს. ცაცხვის ძირში ჩვენი საყვარელი ქეთო ბერაია გარდაიცვალა. როგორ ვტიროდით დიდი და პატარა. არ დამავიწყდება, მისი ძმა სიმონი და რძალი თინა როგორ მოვარდნენ, ჩვენი ტირილი ცას წვდებოდა.

სწავლის გარდა, ჩვენი დირექტორი დიდ ყურადღებას აქცევდა მუსიკას, ცეკვას, სიმღერას, თეატრს, სპორტს.

საქართველოს ამიერკავკასიის რკინიგზის ფრენბურთის ნაკრებში ვთამაშობდი - ხუთეულში, მწვრთნელი ნოდარ ცერაძე მყავდა, ღმერთმა გაანათლოს, შემოგვატარა საბჭოთა კავშირის ბევრი მხარე. მოსკოვში პირველად, რომ ჩავედით, მეორე ადგილი დავიკავეთ 14 გუნდში. როგორი სიხარულით გვეგებებოდნენ საბავშვო სახლის ბინადარნი და № 13 სკოლის დირექტორი საშა ხუროძე, მასწავლებლები, მოსწავლეები და რაიონის ხელმძღვანელობა. ქეთევან მასწავლებელი დიდხანს „მოსკვიჩკას„

მეძახდა (ამირან ბარბაქაძემ 5 მანეთი მაჩუქა და მოსკოვში სპორტული ჩანთა ვიყიდე).

უნდა აღვნიშნო შრომა და კვება. ბავშვობიდან გვაჩვევდნენ სისუფთავეს, ყვავილების დარგვა-მოვლას, ეზოს და ჩვენი საძინებლის დასუფთავებას. ძალიან კარგი კვება გვქონდა, დღეში 4-ჯერ: საუზმე, სადილი, სამხარი, ვახშამი. მე არ მგონია, სადმე ყოფილიყო ისეთი პირობები, როგორიც იყო ჩვენს საბავშვო სახლში, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი დირექტორის, ქეთევან დავითაშვილის და თითოეული თანამშრომლის დამსახურებაა. ნათელი და სანთელი: ქეთევან დავითაშვილს, თინათინ გიორგაძეს, ქეთევან გიორგაძეს, ნინა ჩაგუნავას, ოლია ძიძიგურს, ანა ტურტულაძეს, ანა თევზაძეს, მერი ნადირაშვილს, სერგო ლაკერბაიას, ქეთო ბერაიას, ვანო ბლიაძეს, გალინას, ქსენიას, მაროს, ვახტანგის, ელიკოს, ზაქროს, ოლიას, მერის, ყველას, ვისაც კი თუნდაც 1 თვე უმუშავია ჩვენს კერაში.

**2019 წლის 11 სექტემბერი**

## ამალია ლევანის ასულ წერეთლის განცხადება

## ხაშურის რკ. გზის №1 საბავშვო სახლის დირექტორს

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

უკვე ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც თქვენ აღსაზრდელად ვითვლებოდი. ამ ხნის განმავლობაში ბევრი კარგი რამ შევიძინე თქვენგან. თქვენ დამაყენეთ სწორ გზაზე და მომეცით საარსებო წყარო, რომ შევძლო დამოუკიდებლად ცხოვრება.

მეძნელება თქვენთან დაშორება ჩემო საყვარელო აღმზრდელებო, მაგრამ არ დაგივიწყებთ და გინახულებთ ხშირად.

მადლობა თქვენ, ძვირფასო აღმზრდელებო, წესიერი აღზრდისათვის.

მდგომარეობა წინანდელთან შედარებით კარგი მაქვს. ჩემი შრომით შემიძლია, ვიარსებო. ვეცდები, გასახელოთ ყველგან და არ შევარცხვინო თქვენი სახელი.

გთხოვთ, გამათავისუფლოთ ჩემი განცხადების თანახმად.

განმცხადებელი: **ა. წერეთელი**

# ლექსებში გაცხადებული სიყვარული

## იასონ როინიშვილი - ხაშურის ბავშვთა სახლს

ხაშურში ვარ, ბავშვთა სახლში,
მომღერალთა წრეს ვამღერებ ,
ბავშვი-ბავშვს სჯობს ზნე და ჭკუით,
მათთან შრომით გულს ვახარებ.
    არნახულა, არც მსმენია
    ასე სწრაფად ათვისება:
    რაც აქ ვნახე, ამ ბავშვებში
    სწავლისადმი მისწრაფება.
ამ მოკლე დროს, სულ ათ დღეში,
მოვემზადეთ საკონცერტოდ:
თუ არ გჯერათ, მოგვისმინეთ,
საქმეს ნუ ქმნით საკამათოდ.
    მღერა, ცეკვა, ლექსების თქმა
    შნო-ლაზათის საქმე არის;
    თუ ვინმეს აქვს ამის ნიჭი,
    უსათუოდ ჯილდო არის.
იმიტომ, რომ მათ აღმზრდელებს
ბავშვთა წრისკენ აქვთ თვალ-ყური
და მათ კეთილ აღზრდისათვის
ზრუნავენ და არ აქვთ შური.
    თუ რას მკითხავთ, დირექტორზე,
    მაქვს პატივი, მოგახსენოთ:

დღე და ღამე სახლს დასცქერის,
სურს, საქმე მით მოგაწონოთ.
ნიმუშია ის ამ დარგში,
საქმისათვის საქმიანი;
საქმისმცოდნე და კეთილი,
ფხიზელი და არგვიანი.
ნეტარება არს ბავშვების,
მზრუნველობით თავს ევლება;
კარგს უწონებს, ცუდს უწუნებს
ამის ირგვლივ აქვს მსჯელობა.

**1951 წელი, 10. VIII. ხაშური.**

## იზოლდა ნოზაძე - ძვირფას აღმზრდელებს!

გულით მოძღვნილი ეს ჩემი ლექსი
მიიღეთ ჩემგან, ძვირფასო დედა .
განახლებული დღეს ანთებული,
მიდამო ირგვლივ ვარდისფრად ელავს.
ჩვენი მადლობა , ჩვენი სალამი,
დღეს აწკრიალდა ყველაზე მეტად,
კვლავაც ფრიალებს ჩვენი ალამი
და მეგობრულად მოვდივართ ერთად.
ჩვენი მოლოცვა ძვირფას დღეს, 8 მარტს
მიიღეთ ყველამ ჩვენო აღმზრდელნო,
კვლავაც აღზარდეთ ნორჩი თაობა,
გმირნო, ქართველნო მასწავლებელნო.
ჩვენც დავაფასებთ მუდამ თქვენს ამაგს,
არ დაგივიწყებთ ,გვემახსოვრებით,
კარგად ვისწავლით და ჩვენს სამშობლოს
მუდამ ერთგულად ვემსახურებით.

**8 / III-1963 წ.**

## იზოლდა ნოზაძე - პატივცემულ ქეთო მასწავლებელს!

მახსოვს, როგორ გვასწავლიდით
ჩვენს მშობლიურ ენას,
დიდი ქვეყნის სიყვარული,
შთაგვაგონეთ თქვენა.
აბა როგორ არ მიყვარდეს
მოამაგე ტკბილი,
მე მის ხელში მოვიცვალე
ჩემი ყრმობის კბილი.
თქვენი თბილი გაღიმება
გულში ისევ ელავს,
რაც კი ჩემში სიკეთეა,
თქვენით არის ყველა.
დედასავით თავს გვევლები,
გული თქვენკენ გვიწევს,
უკეთესი რა მოგიძღვნათ,
პატარა ლექსს გიწერთ.

**21 აპრილი 1966 წელი.**

## ლალი ხუციშვილი - პატივცემულო ქეთევან მასწავლებელო!!!

ჩემო კარგო აღმზრდელო,
მოგილოცავთ ახალ წელს,
გისურვებთ, რომ დაესწროთ
ჯანმრთელად და მრავალჯერ.
მე ვიცი, რომ გაფასებენ,
ყველაზე წინ დგახართ თქვენ,
თქვენს ამაგს და ამ თქვენს ზრუნვას,
არ დავკარგავთ არცა ჩვენ.
რომ შევხედავ შევერცხლილ თმას,
თითქოს გულზე მეცემა,

მაგრამ სახეს, რომ შევხედავ,
ის მალამოდ მედება,
თვალწინ მიდგას მე ის სახე,
რომ მოვედი პატარა,
თქვენი სახე როგორც მაშინ,
ისევ ახალგაზრდაა.
ძალიან ბევრი შვილი გყავთ,
თქვენ ბავშვთა სახლში აღზრდილი,
დიდი ხნის შემდეგ იფიქრებთ,
ვისია ეს დაწერილი ?
მე ვარ ერთ-ერთი მათგანი,
თქვენი გაზრდილი შვილი,
ცელქი და მოუსვენარი,
მე **ლალი ხუციშვილი**.

**1976 წლის 1 იანვარი**

## მერცია სახელაშვილი - დიდედა ქეთევანი

უთვალავ ბავშვის, გამზრდელო დედავ,
რა ძალა გქონდა? არ იღლებოდი?
რამდენი ღამე გითენებია
და ამიტომაც ვამაყობ შენით.
შენ იქარვებდი ნაღველს დარდიანს,
ბავშვებზე ზრუნვით, მათ სიკეთისთვის
და მათ მომავალს რწმენით ელოდი.
მინდა, იცოდე, შენ გაგიმართლდა,
ყველამ იარა მართალი გზებით,
სხივმოსილო და უტკბესო დედავ,
ბედნიერი ხარ შვილიშვილებით.
შენ ხომ ასობით შვილიშვილი გყავს,
ხედავ, გავიდა რამდენი წელი,
კიდევ ახსოვხარ მათ შთამომავალთ,
მჯერა, ნათელში შენ იმყოფები.

## ჟ. ჯაიანი - ჩემო ძვირფასო მასწავლებელო!

ეს სიტყვები იკითხება ყველა ჩვენთაგანის თვალებიდან. ოჰ, რამდენი სითბოსი და სიყვარულის დამტევია ეს პატარა წინადადება. მართლაც, საყვარელო და ძვირფასო ქეთო მასწავლებელო.

„მარადის თოვლით მოირთვენ მთები,
სპეტაკ შუბლს ადგას სითეთრე ფარად,
თქვენც დაგეთოვლათ ლამაზი თმები
ვითომ დაბერდით ? არა და არა.
ეს კავკასიონს უნახეს ტოლი,
პარტიამა სცნო დიდი ამაგი,
უძლეველი ხართ, მთებს გაუტოლდით
და ყველას თვალში კიდევ ამაღლდით.
თქვენ ჩემი ლექსი ვერ გეტყვით ახალს,
უზადო ფუნჯით გხატად ბუნებამ,
თქვენ მზის სხივების ტრფიალში დგახართ
ბედნიერების დაგუგუნებად.
მისმენთ და ალბათ, თვალწინ გიდგებით,
როგორიც ვიყავ პირველად მაშინ,
ამოჩაჩული თეთრი წინდები
და ამოსკვნილი ლენტები თმაში.
არა გშორდებათ, ვერც მისცემთ წარსულს,
არ გაქვთ უფლება, მითხრათ, ვინა ხართ,
რადგან ჩემს ქცევას ღვთიურს თუ ბავშვურს,
როგორც მშობელი, ისე ინახავთ.
დაგივიწყოთ და მუნ ვიქცე ფერფლად,
წარსულზე ფიქრი აფხიზლებს ფრაზებს,
ჩემო ძვირფასო, მშობელო დედავ!
მე მაქვს უფლება, გიწოდოთ ასე.

**17 იანვარი 1976 წელი.**

# სიყვარულით გამთბარი ბარათები

## ნაზი ჭანკოტაძე - სალამი პატივცემულ ქეთო დავითაშვილს!

უპირველეს ყოვლისა, გისურვებთ კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას, რაც მთავარი და პირველთაგანია ადამიანის ცხოვრებაში.

გისურვებთ კარგად ყოფნას ყველა იმ ნათესავ-მეგობრებისას, რომელთაც თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის კარგი სურთ.

როგორ გიკითხოთ, ხომ კარგად ბრძანდებით, ქეთო მასწავლებელო, დეპეშას, ალბათ,მიიღებდით, რომელშიც გთხოვდით, რომ 9 ოქტომბრამდე დავრჩები-მეთქი. მიზეზს შეგატყობინებთ, მაგრამ ვაი თუ საპატიო მიზეზი არ იყოს და ტყუილად შეგაწუხოთ.

ჩემი ორი მამიდაშვილი მიჰყავთ ჯარში. ძალიან მთხოვეს, ჩვენს წასვლამდე დარჩიო. სთხოვე დირექტორს, იქნება, დაგტოვოსო. უხერხულობაში ჩამაგდეს. ისედაც დავაგვიანე ჩამოსვლა და კიდევ გათავისუფლებას გთხოვთ.

ეკატერინე, ე.ი. ბებიაჩემიც არ დამიხვდა სახლში, სოფელში წასულა. 9-მდე ისიც ჩამოვა, ვნახავდი და წამოვიდოდი. მიზეზი ეს არის და საპატიოდ ჩაითვლება თუ არა, არ ვიცი.

მომიკითხეთ დეიდა თამარი, მერცია და ნუნუკო.

იყავით სულ კარგად და კარგად.

გწერთ თქვენთვის კარგის მსურველი.

**ნაზი ჭანკოტაძე.**

## ნაზი ჭანკოტაძე - სალამი პატივცემულ ქეთო მასწავლებელს!

უპირველეს ყოვლისა, გისურვებთ კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას.

გისურვებთ კარგად ყოფნას თქვენი შვილებისას და ყველა იმ ნათესავ-მეგობრებისას, რომელთაც თვენი ოჯახისთვის კარგი სურთ.

როგორ გიკითხოთ, ხომ კარგად ბრძანდებით. ქეთო მასწავლებელო, პირველად მინდა, ბოდიში მოვიხადო თქვენს წინაშე, რომ უთქვენოდ წამოვედი. გთხოვთ, ეს ერთი დანაშაულიც მაპატიოთ, ხოლო შემდეგში გეტყვით რამდენიმე სიტყვას ჩემი გაჭირვების შესახებ.

დასაფიცი რა მაქვს და იმიტომ გულახდილად ვთქვა, ის აჯობებს, ფიზიკაში ჩავიჭერი. როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო, მეც აღარ ვიცი.

მომიკითხეთ ნუნუკო და ფატი.

გწერთ თქვენთვის მუდამ კარგის მსურველი.

თქვენი აღსაზრდელი

**ნაზი ჭანკოტაძე**.

1953 წელი. 8 ივლისი.

## ნაზი ჭანკოტაძე - სალამი პატივცემულ ქეთო მასწავლებელს!

უპ. ყოვლისა გისურვებთ კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას, რაც მთავარია ადამიანის არსებობისთვის. გისურვებთ კარგად ყოფნას ყველა იმ ნათესავ - მეგობრებისას, რომელთაც თქვენთვის და თქვენი ორი შვილისათვის კარგი სურთ.

როგორ გიკითხოთ, ხომ კარგად ბრძანდებით. უკვე „ ერთი წელიწადია“, რაც თქვენგან წამოვედი. მართალია, ერთი თვე მისრულდება, რაც აქა ვარ, მაგრამ, მართლა, ერთი წელიწადი მგონია. მომენატრეთ თითოეული ჩემი აღმზრდელიც და ჩემთან ერთად აღზრდილი (აღსაზრდელებიც) ამხანაგები.

ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, ვარ კარგად. უმანკოზე მითხრეს , რომ გამოცდებს კარგად აბარებსო, პირადად კი არ მინახავს .

მომიკითხეთ დეიდა თამარი და ნუნუკო. იყავით სულ კარგად და კარგად.

გწ. თქვენთვის კარგის მსურველი.

**ნაზი (ჭანკოტაძე)**

16/ I- 1954 წ.

## ნაზი ჭანკოტაძე - სალამი პატივცემულ ქეთო მასწავლებელს!

უ/პ ყოვლისა გისურვებთ კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას, რაც მთავარია ადამიანის არსებობისათვის.

როგორ გიკითხოთ, ხომ კარგად ბრძანდებით. ეჰ! ქეთო მასწავლებელო, თვითოეული ჩვენგანი, თითოეული აღსაზრდელი, გვიან მიხვდება და იგრძნობს იმ დიდ სიკეთეს, რომელიც თქვენ მიგიძღვით ჩვენს წინაშე.

ბოლოს მოგაგონდება ჩემი სიტყვები, მაგრამ გვიანღა იქნებაო, ბევრჯერ გითქვამთ ჩემთვის და სხვებისთვისაც. მართლაც, რომ დაუფიქრდეს, ადამიანი ბევრმა ჩვენგანმა წავაგეთ დაუჯერებლობით, მაგრამ გვიანღაა, რადგან „წამხდარსა საქმეს რას არგებს მერეღა თითზე კბენანი“. მართალია, აღარ ვირიცხები ბავშვთა სახლის სიაში, მაგრამ გული ისევ მანდეთ იწევს, რომ გამიჭირდეს რამე, მე თქვენი იმედი უფრო მაქვს, ვიდრე რომელიმე ჩემი ნათესავისა. ამ საკითხში უკვე დავრწმუნდი ამ ერთი წლის განმავლობაში.

დიდგულად ვიყავით და ახლაც არიან ჩვენი „პატივცემულნი“. ეს იმიტომ რომ მზამზარეული აქვთ ყველაფერი. აბა მკითხონ პირადად მე, გოდერძის და საერთოდ, ვინც წასულია ბავშვთა სახლიდან, ვის ვედიდგულებით, არავის, ვინ მოგვცემს რამეს, ჩვენ თვითონ თუ არ გავისარჯეთ. მე პირადად ასე ვარ და სხვებისა არ ვიცი, იქნება ისინი ჩემზე უკეთეს მდგომარეობაში არიან, მაგრამ არა მგონია.

ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, კარგად ვარ, მაგრამ ვაი ამ ყოფნას, გვალვამ „დამგვალა“ - სიცხისაგან სული ამოსვლას ლამობს, მაგრამ კბილით მაგრად მიკავია, არ ვუშვებ, ძლივსღა ვსუნთქავ. დღეს ძალიან ცხელოდა, 38 გრადუსია სიცხე. ვმეცადინეობ, მაგრამ ვაი ამ მეცადინეობას, ერთი მოთხრობის წაკითხვაზე ათჯერ მაინც უნდა ავდგე, რომ სული მოვითქვა.

დავამთავრო წერა, თორემ თავი შეგაწყინეთ. იყავით კარგად.

თქვენთვის კარგის მსურველი,

**ნაზი ჭანკოტაძე.**

1954 წ. 16 / VII .

## თინა ჭანკოტაძე - მეორე დედას !

აი, მე უკვე დავამთავრე საშუალო სკოლა, ცხოვრების გზა ამორჩეული მაქვს და ყოველივე ეს კი შევძელი თქვენი დახმარებით. თქვენ გამიწიეთ დედობა მაშინ, როდესაც მჭირდებოდა მზრუნველი დედის ხელი.

მახსოვს მეოთხე კლასი... ზამთარი... მე ფეხშიშველი დავდიოდი სკოლაში, მაშინ თქვენ ჩემთვის მხოლოდ მასწავლებელი იყავით, მაგრამ თქვენში იყო იმდენი ადამიანობა, რომ თუმც ყველასათვის გაჭირვების პერიოდში, ობოლ ბავშვებს დახმარებას უწევდით. ვიწყებ იმით, რომ ზამთრის პერიოდში თქვენ მე ფეხსაცმელი მიყიდეთ. მაშინ პატარა ვიყავი და მგონი, სიტყვიერადაც ვერ გადაგიხადეთ მადლობა... მოვედი საბავშვო სახლში და თქვენ ჩემდამი იმდენი სითბო გამოიჩინეთ, რომ ობლობაში გაზრდილი ორგანიზმი გამითბეთ. დარწმუნებული ვარ უკეთეს დედობას ვერავინ გამიწევდა.

თქვენ მე გამზარდეთ, დამაყენეთ ცხოვრების ნათელ გზაზე. ჩამინერგეთ ნამდვილი ადამიანობა, კეთილი გული. რით გადაგიხადოთ მადლობა? ვგრძნობ, რომ მხოლოდ სიტყვიერი მადლობა არ მეყოფა. „დედის ვალიდან ვერასოდეს ამოვალთო“- მართალიც არის. მხოლოდ ცოტა კიდევ გავიზარდო და მცირედი პატივისცემით მაინც გადაგიხდით.

ტკბილო ქეთო მასწავლებელო, მაპატიეთ, რაც ოდესმე მიწყენინებია, რაც ბავშვური სიცელქით მომსვლია, ვიმეორებ რა საბჭოთა ახალგაზრდის სიტყვას. გთხოვთ, მაპატიოთ, რაც ჭაღარა შეგმატეთ, ჩემი აღზრდისთვის.

მადლობა, უღრმესი მადლობა, ჩემო აღმზრდელო, მეორე დედავ! ერთხელ კიდევ მადლობას გიხდით, ჩემო მეორე დედავ!

სოფ. დაბა,
**თინა ჭანკოტაძე**
20/ VIII-54 წ.

## თინა ჭანკოტაძე - საყვარელო ქეთო მასწავლებელო!

როგორ ბრძანდებით? ალბათ, უკვე ჩამოსული იქნებით. კარგი ყოფილა, როცა ყველაფერი თავის დროზე მომდიოდა და არაფერზე ფიქრი არა მჭირდებოდა. ახლა მივხვდი, თუ რაოდენ მძიმე ყოფილა ყველასაგან დამოუკიდებლად ცხოვრება. უცბად ისეთი თავბრუ დამეხვა, რომ რას რა ანგარიში გავუწიო, არ ვიცი.

ბიძია იუსტინესთან წერილი მივიტანე. (მაპატიეთ რომ ასე გვიან გატყობინებთ). ადგილზე არ დამხვდა, ბაქოში ყოფილა წასული. წერილი ბიძია აპოლონს დავუტოვე. მიმართვა არ ამიღია, რადგან სმირნოვიც სადღაც იყო წასულუი. ისე, რომ თქვენმა ცნობამ ყველგან მიშველა, გარდა საწოლი ოთახის ფულის გადახდისა. იანვრამდე ექვსი თუმანი გადავიხადეთ.

ქეთო მასწავლებელო, ერთი ბალიში და თეთრეულობა მჭირდება. კარგი იქნებოდა, თუ ჭურჭელსაც გამოატანდით ნაზის (ბოდიში რომ ასე მოგმართავთ). რა ვქნა, ყველაფერი დამჭირდა და რა მეშველება, არ ვიცი.

ჯერჯერობით მერცია ვერ ვნახე, სხვადასხვა კორპუსებში გვეკითხება ლექციები. ნუნუს ტრამვაიდან მოვკარი თვალი, ინსტიტუტში მიდიოდა. რაც ჩამოვედი,სულ ბინისათვის დავრბივარ და სანახავად ვერ მოვიცალე. დღეს უკვე მომცეს ბინა და წერილსაც ჩემ ახალ ოთახში ვწერ. მოკითხვა საყვარელ აღმზრდელებს.

გკოცნით ბევრს.

თქვენი აღზრდილი.

**თინა ჭანკოტაძე**

1/IX-54 წ.

## თინა ჭანკოტაძე - სალამი ქეთო მასწავლებელო !

უპირველესად კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას გისურვებთ.

ქეთო მასწავლებელო, თქვენი ფულით ვიყიდე სურათი. ის სურათი თქვენც გაქვთ. მანდ მომეწონა და იმის ეშხით ვიყიდე. დიდი მადლობელი ვარ. რომ შევხედავ იმ სურათს, თვალწინ თქვენ

წარმომიდგებით ხოლმე. (ოთახებში გასაკრავად სურათებს რომ არჩევდით). საგნებში სერიოზული მეცადინეობა დაგვეწყო. პირველად ადვილი მომეჩვენა, მაგრამ ახლა ვატყობ, რომ მეცნიერების დაუფლება არც ისე იოლი ყოფილა. ძალიან ბევრი მასალის კითხვა გვიხდება. მარქსიზმის სემინარებმა კი სულ დაგვტანჯა (ძნელი ყოფილა პოლიტიკაში გარკვევა).

მერციას ყოველდღე ვნახულობ ხოლმე. კარგად არის. ნუნუკის შესახებ კი არაფერი ვიცი. მერციამ მითხრა, რომ დეიდა ელიკოსთან გადმოსულან, მაგრამ ისე დატვირთული ვართ, რომ ვერ მივედი ნუნუს სანახავად.

ქეთო მასწავლებელო, საშინელი სიცივეები დაიწყო. თოვლი და წვიმა ერთად მოდის. მე კი ფეხსაცმელი არა მაქვს. როგორი ფეხსაცმელიც არ უნდა იყოს, ნაზი გადმოვა და ძალიან გთხოვთ გამოატანოთ. ნაზი მერე თვითონ გამომიგზავნის. არ მინდოდა, კიდევ შემეწუხებინეთ, მაგრამ მატერიალური მდგომარეობა მაწუხებს. თქვენს მეტი გულისშეტკივარი არავინ მყავს და, აბა, ვის მივმართო თუ არა თქვენ.

ერთი რამე უნდა გთხოვოთ კიდევ. აქეთ შაქრის კრიზისია. რა ვიცი, დღეობით ელიან და ჯერაც არ მიუღიათ. ცოტას რომ გამომიგზავნიდეთ, კარგი იქნება. მიმიხვდებით, როგორ მიმძიმს თხოვნა, მაგრამ რა ვქნა, გამოუვალ მდგომარეობაში ვარ. ბოდიში, რომ თხოვნებით გაწუხებთ. მოკითხვა ყველას.

თქვენთვის კეთილისმსურველი.
**თინა ჭანკოტაძე**
26/ XI- 54 წ.

## თინა ჭანკოტაძე - ქეთო მასწავლებელო!

მაპატიეთ, რომ წერილობით მოგმართავთ და პირადად არ გიხდით მადლობას იმ დიდი ყურადღებისათვის, რაც თქვენ ერთჯერ კიდევ გამოიჩინეთ ამ ზაფხულს ჩემდამი. მეც და ნაზიც უღრმეს მადლობას გიხდით. ალბათ, ოდესღაც ჩვენც შევძლებთ

თქვენს პატივისცემას მცირედი პატივისცემით, რომ მაინც ვუპასუხოთ.

მაპატიეთ, კიდევ და კიდევ მაპატიეთ, თქვენ დაუკითხავად, რომ მივდივარ.

**თქვენი თინა ჭანკოტაძე.**

10/ YIII-55 წ.

## თინა ჭანკოტაძე - ქეთო მასწავლებელო!

მაპატიეთ, რომ თავის დროზე ვერ გიპასუხეთ. მხოლოდ არდადეგების შემდეგ გადმომცეს თქვენი წერილი და მერე კი პრაქტიკა დამეწყო...

მოგწერთ ჩემი დროებითი მასწავლებლობის შესახებ. 6 გაკვეთილი ჩავატარე. ყველა ხუთზე შემიფასეს... მოწონთ ჩემი ტემბრი და დიქცია. ბევრ მასწავლებელს შეხარბდებაო. ეს თავის ქებაში კი არ გამომივიდეს. იმიტომ ვწერ, რომ ჩემი დიქციისა და ხმის გამომუშავებაში მთავარი როლი თქვენ მიგიძღვით. რაც მე ლექსებს ვკითხულობდი ხოლმე მხატვრულად და ვცდილობდი, გრძნობით მეთქვა. რამდენჯერ შეგისწორებიათ და ზოგჯერ ერთი ლექსი ხუთჯერ მაინც მითქვამს ზედიზედ... ამაზე დიდი მადლობელი ვარ თქვენი. ,,საკმეველმა გზა არ დაკარგა...“

...ძალიან მიკვირს, ამდენხანს მასწავლებლობა და ისიც ბავშვების უშუალოდ აღზრდა როგორ შეძელით. ახლა ვნანობ, რატომ ვარ ამ პროფესიის. ყოველმხრივ ნერვებმომშლელი დარგია... თუმცა უკვე გვიანღაა.

მოკითხვა ჩემს აღმზრდელებს.

მარად პატივისცემით,

**თქვენი თინა ჭანკოტაძე.**

18/ III- 57წ.

## თინა ჭანკოტაძე - ქეთო მასწავლებელო!

ერთხელ კიდევ უნდა შეგაწუხოთ ჩემი თხოვნით. პირდაპირ მოგმართოთ? ხომ არ გამიჯავრდებით? აი რა: ამ ზაფხულს თბილისს იქით გზა არ მაქვს. აქ კი ახლავე სიცხეებია და, ალბათ, ზაფხულში უარესი იქნება. რადგან დარჩენა შეუძლებელია, გადავწყვიტე რესპუბლიკის რომელიმე ბანაკში წავსულიყავი სამუშაოდ... მაგრამ სხვაგან წასვლას ისევ თქვენთან ყოფნა მირჩევნია, რამდენადაც ატმოსფერო ნაცნობია და თანაც თავიდანვე ყველაფრით თქვენ გიკავშირდებით. ახლა ჩემი თხოვნა მხოლოდ ისაა, რომ გავიგო -გჭირდებათ თუ არა თქვენ პიონერხელმძღვანელი რიგითი რაზმისა. ჩემს შესაძლებლობებს მგონი იცნობთ და ალბათ მუშაობა არ გამიჭირდება. თქვენ მეტყვით, რომ წამოვიდე თქვენთან ერთად მხოლოდ დასასვენებლად და არა სამუშაოდ?! ვიცი, რომ მუდამ კეთილი გულით მეტყვით ამას, მაგრამ ჩემთვის ისე ყოფნა შეუძლებელია. თან პრაქტიკის სახე ექნება ჩემს მუშაობას და თანაც ჩემი მდგომარეობა მოითხოვს, რომ აუცილებლად ვიმუშაო.

თუ თქვენთვის ყოველივე ეს მოუხერხებელი იქნება, დროულად უნდა ვიცოდე, რომ თბილისის კომკავშირის ცეკას მივმართო, რომ განაწილებაში მომახვედრონ. არ იფიქროთ, რომ თქვენი უარი მეწყინება (პატარა ხომ აღარ ვარ).

ვიცი, დრო არ გექნებათ ჩემი წერილის საპასუხოდ, მაგრამ... იქნებ, რომელიმე ბავშვს გამოაგზავნინოთ, რომ ამ კვირისთვის უკვე ვიცოდე.

ბოდიში, რომ გაწუხებთ.

მარად პატივისცემით,

**თინა ჭანკოტაძე.**

25/ III- 57 წ.

## თქვენი უმანკო (ქიმარიძე) - სალამი პატივცემულ ქეთო მასწავლებელს!

ძვირფასო ქეთო მასწავლებელო, როგორ ბრძანდებით. როგორ არის დეიდა თამარი, მერცია და ნუნუკი.

„მე კარგად ვარ“. ოთახში 6-ნი ვართ. მე-4 კურსელები არიან. მეცადინეობა მათთან ერთად ძალიან მიჭირს, მათთან შემოდიან ამხანაგები, მხიარულობენ. მე ხომ ვერ დავუშლი. მაგრამ რა ვქნა უნდა გავიჭირვო. ძნელი ყოფილა მარტო ცხოვრება. პირველ 4 დღეს დარდისაგან არაფერი მიჭამია, სულ ვტიროდი (ჩუმად, რა საკვირველია), მაგრამ მერე მივიხედ-მოვიხედე, ყველა მხიარულობდა. მე კი ჩემს თავს გავუბრაზდი, მაგრამ ყველაფერს ამას თავისებური მიზეზი აქვს. დილით რომ გამომეღვიძა, აღარ მახსოვდა, რომ სხვაგან ვიყავი. ველოდებოდი საყვირის ხმას, საყვარელი უფროსების ხმას, ველოდებოდი ყველას, მაგრამ გამოფხიზლების შემდეგ მოლოდინი გამიქარწყლდა და დაღონებული წამოვდექი. არ ვიცი, როდის შევეჩვევი, პირველად კი ძალიან ძნელი ყოფილა. ხომ დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ ახლა უფრო ნათელია, თუ რაოდენ ძვირფასია ჩემთვის საბავშვო სახლი, თქვენ, უფროსები, ბავშვები.

ლექციებზე მივდივარ 9 სთ-ზე და მიმთავრდება ხან 5-ზე, ხან 4- ზე. ერთი სიტყვით, ძალიან გვიან. პირველად ლექციებზე სულ ვამთქნარებდი. პირდაპირ მრცხვენოდა. ცხვირსახოცი სულ პირთან მქონდა. 3 საათი სულ ფეხზე ვდგევართ ან ვზივართ პრაქტიკულზე, ლექციებზე. 45 წუთი ვერ ვძლებდი გაკვეთილზე და ახლა... ლექციებზე არ გვიშვებენ თუ თეთრი წინსაფარი, კალპაკი, პინცეტი და ლანცეტი არა გვაქვს. ეგება როგორმე (თუ არ შეწუხდებით) გამომიგზავნოთ. ძალიან მენატრებით ყველა, როდის გნახავთ ,ერთი სული და გული მაქვს. მეტი აღარ შემიძლია. ლამის გამოვიქცე. პირველ კურსზე ჩემი ფაკულტეტიდან მარტო მე ვარ საერთო საცხოვრებელში. მარტოობით ლამის გამოვყრუვდე. თქვენ ხომ აპირებდით ჩამოსვლას, რომ გამაგებინა როდის, მაშინ მაინც გნახავდით. მეტი რა მოგწეროთ. იყავით სულ კარგად და ჯანმრთელად. მოკითხვა ყველას. ბოდიში, რომ წერილებს ვერ ვწერ, სემინარები დამეწყო და ძალიან ბევრი სამუშაო მაქვს. კონსპექტებს ვადგენ. ბავშვებმა წერილები გამომიგზავნონ, მე ვერ ვწერ, მათ

მაინც მომწერონ, ძალიან გამეხარდება, ვითომც ისინი მინახია- ასე ჩავთვლი.

კვლავ კარგად იყავით, გკოცნით ბევრს ყველას,

**თქვენი უმანკო (ქიმერიძე)**.

ნაწერზე ბოდიში. 1953 წელი, 4/IX.

## თქვენი უმანკო (ქიმერიძე) - სალამი ძვირფასს დედას!

მაპატიეთ, რომ ამდენ ხანს წერილი ვერ მოვიწერე. ეს კიდევ არ გამორიცხავს ჩემს სიყვარულს და პატივისცემას თქვენდამი და ყველა უფროსისადმი. ამაში, ალბათ დარწმუნებულიც იქნებით. მაინტერესებს, თუ როგორ ბრძანდებით, როგორ არიან ჩემი საყვარელი აღმზრდელები, უფროსი და უმცროსი დები და ძმები. მე ძალიან მომენატრეთ, მაგრამ რა გაეწყობა, ჩემი ბრალი არ არის, ავადმყოფობის ბრალია. ალბათ გაიგებდით ჩემ შესახებ. მე საავადმყოფოში ვწევარ. ოპერაციას მიკეთებენ ოთხშაბათს, ე.ი. 54 წ. 6/ IV. ვწუხვარ, რომ ასეთ დროს დამჯაბნა ავადმყოფობამ. საჭმელის მაგივრად თურმე ქვები მიჭამია და ახლა უნდა ამომაცალონ. მთელი ზამთარი დავიტანჯე, ახლა მაინც მოვისვენებ. ისიც უნდა გითხრათ, რომ ძალიან მეშინია. ასე მგონია, მოვკვდები. ჩამოვსულიყავი მაინც - იქნებ, მართლა, მოვკვდე. სულელური აზრებია, არა? ასეთია ამჟამად ჩემი მდგომარეობა. მთელი აპრილი მიცდება, ლამის გავგიჟდე.

ქეთო მასწავლებელო, მე იქ აღარ ვცხოვრობ. დეიდამ მიქირავა ოთახი რუსთაველზე. ძალიან კარგი ადგილია. ოთხი ოთახია. ერთი მე დამითმეს. მოხუცებულები არიან. მერციაც რომ ჩემთან იქნება, რომ გამომწერენ, შეიძლება, არ მოვიდე ხაშურში. პროფესორმა მითხრა, 10 დღე მაინც უნდა დაისვენოო, მაგრამ მე ვფიქრობ, დასვენებისთვის არ მეცლება. ბევრი პრაქტიკულები გამიცდება და... როგორც დავატყობ თავს, ისე მოვიქცევი.

როგორ არიან მერცია და ნუნუკი, დეიდა თამარი. მერციასგან წერილის პასუხი რატომ არ მომდის.

მომიკითხეთ ყველა უფროსი დიდი პატივისცემით, ჩემი დები და ძმები. რატომ წერილებს არ მწერენ. აუცილებლად მე უნდა ,გამოვუგზავნო პირველად? ვენდური მაგათ.

გვერდი კვლავ მტკივა და წერილს ისე ვწერ, ამიტომ თუ რამე არა მოსაწონი წერია, გთხოვთ, მაპატიოთ. ოპერაციის შემდეგ ჩემს ამბავს შეგატყობინებთ. მეტი რა მოგწეროთ. იყავით სულ კარგად და ჯანმრთელად.

გკოცნით ბევრს.

**თქვენი უმანკო (ქიმერიძე).**

1954 წ. 1/ IV.

აქ ძლივს ვიშოვე კონვერტი, უმარკოა, ბოდიში.

## ლენა ციცქიშვილი - სალამი დეიდა თამარის და ქეთო მასწავლებელს !

ქეთო მასწავლებელო და დეიდა თამარ, მე პირველად მინდა, გისურვოთ კარგად ყოფნა და ჯანმრთელობა, რაც ყველაზე ძვირფასია ადამიანისთვის. როგორ ბრძანდებით, როგორ არიან ნუნუკი და მერციკო. რა ვიცი, მე მეგონა, რომ მარტო საბავშვო სახლის აღსაზრდელებს ვაწყენინე რამე მეთქი და იმიტომ არ მწერენ წერილს და ნუნუ კი რად არ მწერს, არ ვიცი. მისამართს სწორად ვწერ. სწორად რომ არ იყოს, უკან მაინც დაბრუნდებოდა და უკან კი არცერთი არ დაბრუნდა. აი ახლაც, როცა ამ წერილსა ვწერ, ნუნუსაც ვუგზავნი და ვნახოთ, თუ მოვა პასუხი. როგორ არის სახლის რემონტის საქმე, ალბათ გაათავებდნენ. მოკითხვა პაშა მასწავლებელს და სხვებსაც.

ახლა მოგწერთ ჩემს ამბავს. მე კარგადა ვარ, კარგად ვსწავლობ და ვმუშაობ. ლილი მაისურაძე ისევ ძალიან ავად არის, ძალიან დასუსტდა, სიცხეები აქვს. მართალია, ისე ცუდად აღარ ლაპარაკობს, როგორც პირველად, მაგრამ მაინც თავის ჭკუაზე არ არის, არაფერს არა სჭამს. სტრეპტომიცინს უკეთებენ, წამლებსაც ბევრს აძლევენ. მე თითქმის ყოველდღე დავდივარ და ვნახულობ. ასე მითხრა, ქეთო მასწავლებელს არ უთხრათ, სირცხვილია ასე

ცუდად რომ მნახოსო. გოგოებს შევუთვალე და ისინი მნახავენო.სხვები ყველანი კარგად არიან. მე პირველ მაისს ჩამოვალ აუცილებრივ. ახლაც შეიძლება, გამომგზავნონ, რადგან კომკავშირის საბუთები უნდა წამოვიღო. ქეთო მასწავლებელო ასე მითხრეს, რომ მანდატი ხაშურში უნდა აღიდგინოო, რადგან ჯერ შენი საბუთები აქ არ არის და რომ იყოს მაინც ჩვენ შენ არ გიცნობთო. ამიტომ რა ვიცი, რაც მომივა, მომივა, უნდა ჩამოვიდე და მანდ განვაცხადო რაიკომში, კომკავშირის მდივანთან. აქ ისეთი მკაცრი მდივანია, რომ დალაპარაკებაც ვერ გავბედე და ეგ რომ უთხრა. ნეტავი, სულ არ დამენახა თვალით და ასე სახლაფორთო არ გამხდომოდა.

მეტი რაღა მოგწეროთ, იყავით კარგად და სულ კარგად.

გწერთ თქვენი შვილი
**ლენა ციცქიშვილი.**
21/ IV-55 წელი.

## ფატიმა - სალამი ქეთო მასწავლებელს ფატიმასაგან!

ქეთო მასწავლებელო, როგორ ხართ, როგორ გიკითხოთ? ჩვენ არა გვიშავს რა.

ქეთო მასწავლებელო, იცით, როგორ გვენატრებით? ნეტა, როდის გნახავთ, ასე მგონია, რომ თქვენ ჩემი დედა ხართ ნამდვილი და რომ გავიხსენებთ-ხოლმე იმ დღეებს, ხაშურში გატარებულ დღეებს ძალიან ვტირივარ, მაგონდება თქვენი დედაშვილური მოქცევა ჩემდამი. მანდედან წამოსვლა გვიხაროდა და ამ სიხარულმა ტყუილად ჩაიარა, მოვტყუვდით ამ ფიქრით, რომ იქ უფრო კარგი იქნებაო, მაგრამ ახლა რაღას ვიზამთ, ასეა ჩვენი საქმე.

ქეთო მასწავლებელო, მოკითხვა ჩვენს მასწავლებლებს, თქვენი ჩათვლით.

ქეთო მასწავლებელო, ციალა ჩამოიყვანეთ, რომ გვნახოს ან თვითონ ჩამოვიდეს, გვენატრება. მოკითხვა თამარ დეიდას, ნათელას.

გკოცნით ბევრს, დედას, თქვენი აღზრდილი ბავშვები. პასტა არ წერს და კარგად ვერ ვწერ, ბოდიში. მოკითხვა მარო დეიდას. ქეთო მასწავლებელო, ჩემი ძმისგან მომდის ჯარიდან ისეთი წერილები, რომ სულ ვტირივარ-ხოლმე.

ქეთო მასწავლებელო ,კარგად იყავით, სულ კარგად, იცოცხლეთ, სანამ მზე და მთვარე იარსებებს. ველი პასუხს.

2 ნოემბერს ვგზავნი წერილს. გიგზავნით „ატრეტკას“ 7 ნოემბრის.

გკოცნით ბევრს,

**ფატიმა.**

## თქვენი შვილობილი - სალამი პატივცემულ ქეთო მასწავლებელს!

ქეთო მასწავლებელო, უპირველესად კარგად ყოფნას და ჯანმრთელობით აღსავსე სიცოცხლეს გისურვებთ.

როგორც დამიბარეთ, დეპეშა უნდა გამომეგზავნა გასაუბრების დღის წინ, მაგრამ მე აღარ გამოვგზავნე, რადგან ორი დღის წინ ნუნუმ მითხრა, ალეკო დაბაში წავიდაო. ალეკომ კი კარგად იცოდა, თუ რა ამბავი იყო უნივერსიტეტში, ჯერ კიდევ საბუთების მიღების დროს. გუშინ გავიგე, რომ ალეკო დაბაში არ ჩამოსულა. თუ დამიჯერებთ, ქეთო მასწავლებელო, დამნაშავედ ვიგრძენი თავი... მე უკვე გასაუბრებაზე გავდიოდი. გასაუბრება უნდა დაწყებულიყო 9-ში დილის 9 საათზე, მაგრამ დაიწყო 12 საათზე . ჩაგვიტარეს წერა (რასაც სრულიად არ მოველოდით) მოგვთხოვეს ფანქრები და კალმისტრები, მაგრამ ჩვენ არაფერი გვქონდა წაღებული. მერე თვითონ მოიტანეს კალმისტრებიც და ფანქრებიც. ვწერეთ თემა განცხადების სახით, რაშიც შედიოდა ავტობიოგრაფიის ზოგადად მიმოხილვა და ის, თუ რატომ შევდიოდით იმ დარგზე. (თავისუფალ თემას ემსგავსებოდა, მაგრამ ორი გვერდის დაწერის უფლება მოგვცეს). თქვენც მიმიხვდებით, როგორ გავაშუქებდი თემას (თქვენ შემაყვარეთ მასწავლებლობა).

საღამოს 8 საათზე გვქონდა ზეპირში გამოცდა ისტორიიდან, საერთაშორისო მიმდინარე საკითხებიდან, ლიტერატურიდან,

რუსულიდან და კონსტიტუციიდან. მეგონა, გაძახება ნომერაციის მიხედვით იქნებოდა (მე 30-ე ვიყავი), მაგრამ გაგვიძახეს კარგი ნაწერების მიხედვით. გავედი მეხუთედ (წინ სამი „მოპოეტო“ ბიჭი გავიდა). მკითხეს რას ვკითხულობდი მხატვრული ლიტერატურიდან, წიგნების ავტორები, მოქმედი გმირები და წიგნის ზოგადი განხილვა. ისტორიიდან მომცეს შეკითხვა რევოლუციების (1905, 1917 წ.) დამარცხების შესახებ. რუსულიდან ზოგიერთი სიტყვა გადამათარგმნინეს. მერე მკითხეს, საიდან ვიყავი. რა თქმა უნდა, ყველაფერი ვუთხარი. ნაწერი გამისინჯეს და არცერთი შეცდომა არ მქონდა. ვისაც შეცდობა ჰქონდა იქვე ეკითხებოდნენ, აქ რას დაწერდიო. გამომისტუმრეს სიტყვებით: აბა შენ იცი, როგორი სწავლით უპასუხებ საბჭოთა მთავრობის მზრუნველობასო.

ნუნუ გასაუბრებაზე გავიდა გვიან. მე უკვე წერა დამთავრებული მქონდა და სახლში წამოვედი. მერე აღარ მინახავს. 8 საათამდე ვიმეორებდი და გამოცდიდან კი დავბრუნდი ღამის 11 სთ. და 30 წუთზე . დღეს მივდივარ ნუნუსთან და მის ამბავს დაწვრილებით შეგატყობინებთ. ვრჩები სამშაბათამდე. სიების გამოკვრას ვუცდი. რომ იცოდეთ ყველა როგორ მენატრებით... ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ.

მოკითხვა ყველას.

**თქვენი შვილობილი.**

**თინა ჭანკოტაძე**

## ლილი ღონღაძე - სალამი საყვარელ დირექტორს

უპ. ყოვლისა გისურვებთ კარგად ყოფნას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას თქვენი შვილებით, დებით და ნათესავებით... როგორ ბრძანდებით, ხომ კარგად, ვფიქრობ, ადგებოდით და შეუდგებოდით მუშაობას.

კეთილშობილო ადამიანო, მსურს, მადლობა გადაგიხადოთ იმ მშობლიური მზრუნველობისათვის, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე გამიწიეთ ჩემი აღზრდისათვის. თქვენ დამაყენეთ სწორ

გზაზე და მომეცით გასაქანი შევებრძოლო ცხოვრებას, რომ თქვენ არა, დაღუპული ვიყავით მეც და ჩემი ძმაც (ვასო).

არასოდეს დავივიწყებ თქვენ შრომას, თქვენს ამაგს. სამაგიეროს გადაგიხდით პატიოსანი შრომით და კარგი ქცევით (მაგრამ ეს იქნება ზღვაში ერთი წვეთი). მადლობა გადაეცით ჩემს აღმზრდელებს: თინა მასწავლებელს, რომელსაც არა ნაკლები შრომა აქვს გაწეული ჩემს აღზრდაში... ქეთო დეიდას, ნინა მასწავლებელს, ციცინო დეიდას და ყველას, ვინც იზრუნა ჩემზე... გისურვებთ აღგეზარდოთ არა ჩემისთანები, არამედ ჩემზე უკეთესები, რომლებიც დააფასებენ თქვენ შრომას და იქნებიან სამშობლოს ერთგული შვილები.

მადლობა მშობლიური მზრუნველობისათვის!

ქეთო მასწავლებელო, ძალიან კარგად ვიმგზავრე. სადგურზე შემხვდნენ, მაგრამ ცუდი ამინდებია, აგერ ორი დღეა, სულ წვიმს. ვენახში ვერ შევდივართ. წამოსვლა მინდა, მაგრამ არ მიშვებენ. მოვკრიფოთ ვენახი და მერე წადიო, ვენახს ძალიან ასხია, ვაშლებს ლამის ტოტები მოტყდეს. ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ. ორშაბათისთვის ვერ მოვდივარ. მოგიკითხათ ნაზის დედამ. იყავით სულ კარგად და ჯანმრთელად.

გწერთ თქვენთვის მუდამ კარგის მდომი,

თქვენი აღზრდილი

**ლილი ღონღაძე.**

## ეთერი - სალამი ჩემ საყვარელ აღმზრდელს!

გისურვებთ სულ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს...

დარწმუნებული ვარ, რომ ჩემზე ძალიან ნაწყენი იქნებით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ შეგეკითხეთ, და მეორეც - აქამდე წერილი არ მოგწერეთ. ამის მიზეზია ის, რომ დედაჩემი ფიქრობდა ვახშმის მოწყობას. მე კი გადაწყვეტილი მქონდა, მაშინ წამოვსულიყავი და მთელი სულითა და გულით დამეპატიჟეთ, მაგრამ ვატყობ, რომ ეს ამბავი ცოტა მოიგვიანებს და ამიტომ ძალიან რომ არ გამიბრაზდეთ, გწერთ პატარა ბარათს.

თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ თქვენი ამაგი წყალში ჩავყარე და დამავიწყდა თქვენი პატივისცემა. არა, ჩემო საყვარელო ქეთო მასწავლებელო, არასოდეს არ დამავიწყდება თქვენი უაღრესად დიდი ამაგი. თუ გინდ, ოქროს კოშკებში მეცხოვრა. ამას იმიტომ გწერთ, რომ ზოგი, თუკი მან ცხოვრებაში რამეს მიაღწია, ავიწყდება თავის წარსული. თქვენ ასეთი რამ ერთი წუთითაც არ გაივლოთ გულში. თქვენ ჩემში იყავით მთელი გრძნობით და დარჩებით ასე ჩემი სიცოცხლის ბოლო წუთამდე.

ასე ჩემო საყვარელო ქეთო მასწავლებელო. იქნება თუ არა რამე, მე ადრე შეგატყობინებთ თქვენ და ჩემ საყვარელ თინა მასწავლებელს. კიდევ გიმეორებთ, ხომ იცით, დედის გული რა არის. მას მაშინვე უნდოდა, აღენიშნა ეს ამბავი, მაგრამ ცოტა უცნაურია ჩემი მამინაცვალი. ხან ასეა, ხან ისე.

ბოდიში ნაწერზე, სამსახურში ვწერ და ვერ ვალაგებ კარგად. მომიკითხეთ თქვენი ქალიშვილები ქმარ-შვილით, დეიდა თამარი, თინა მასწავლებელი და მოკლედ, ყველა ჩვენი აღმზრდელი.

გკოცნით თქვენი შვილი

**ეთერი.**

## მერი ბაქრაძე - ჩემო ქეთო მასწავლებელო!

ძნელია საკუთარი ოჯახიდან მოწყვეტა და უცხო გარემოში მოხვედრა, ასევე ძნელი იყო პირველი დღეები საბავშვო სახლში, როცა ჩემთვის ყველაფერი და ყველა უცხო იყო, მაგრამ თქვენმა მშობლიურმა ალერსმა მიმიყუჩა ყველა ტკივილი,

სულ ჩქარა საოპერაციოდ მოვხვდი საავადმყოფოში, რაოდენ სიხარული და სიახლოვე ვიგრძენი, როცა ოპერაციიდან გამომიყვანეს თუ არა, ოთახში თქვენ დამხვდით.

ჩემო ძვირფასო ქეთო მასწავლებელო, ახლაც მახსოვს თქვენი გულთბილი მოპყრობა, როგორ სათუთად მისვამდით თავზე ხელს და მამხნევებდით. ჯერ კიდევ დიდხანს მომიხდება თქვენს სიახლოვეს ყოფნა. არც საიმისოდ ვარ მომზადებული, რომ მეყოს

სიტყვები თქვენდამი მადლობის გადმოსაცემად, მაგრამ ვეცდები, ჩემი კარგი სწავლით და ქცევით გაგიხაროთ გული.

რაოდენ დიდი ენერგია გაქვთ დახარჯული ჩემი და ჩემი დაძმების აღზრდისათვის. ჩემო სულიერო დედა მშობელო, იცოცხლეთ დიდხანს და ჯანმრთელად, ობოლი ბავშვების დიდო დედავ.

**მერი ბაქრაძე**
1975-76 წ.

## გამარჯობათ, ქეთევან ალექსანდროვნა!

გწერთ თქვენი ყოფილი აღზრდილი საშა. ქეთევან ალექსანდროვნა, გწერთ მაშინვე, როგორც კი მივიღე წერილზე პასუხი ანია დეიდასგან. წერილიდან შევიტყე, რომ თქვენ, ქეთევან ალექსანდროვნა არ მიგიღიათ ჩემგან არანაირი წერილი, ალბათ, ძალიან განაწყენებული იქნებით ჩემზე, მაგრამ მე არ ვიცი, რაშია საქმე და არ ვიცი რატომ არ ღებულობდით ჩემგან წერილებს. მე გწერდით, ჯერ კიდევ ახალ წლამდე ისეთი გათვლით, რომ ზუსტად ახალ წელს მიგეღოთ, რატომღაც არ მიგიღიათ.

საერთოდ, ასე სხვა დროსაც მოხდა, რამდენიმე წერილი ჩემ მიერ გაგზავნილი დანიშნულების ადგილამდე არ მივიდა, ერთმა ჩემმა თანაკლასელმა მომწერა, რომ მე უსინდისოდ ვიქცევი, რადგან შევპირდი, რომ წერილებს მივწერდი, ჩემგან კი არცერთი წერილი არ მიუღია, ზოგმა კი მიიღო ჩემგან წერილი. არ ვიცი, რა ხდება, მე ხომ ყველას ვწერ.

ქეთევან ალექსანდროვნა, გთხოვთ, მაპატიოთ, რომ ყველაფერი ეს ასე მოხდა, ახლა კი მინდა, მოგწეროთ ის, რასაც პირველ წერილში გწერდით. ქეთევან ალექსანდროვნა, მინდა, დავიწყო უკვე დიდი ხნის წინ დამდგარი ახალი წლის მილოცვით და გისურვოთ ჯანმრთელობა და წარმატებები თქვენს საქმიანობაში.

ქეთევან ალექსანდროვნა, მე მსურს, გადაგიხადოთ მადლობა ყველაფრისათვის, მინდა, შეგძახოთ აქედან დიდი მადლობა ყოველი სიტყვისთვის, ყოველი შენიშვნისათვის, მე ვაღიარებ და ახლა ვაცნობიერებ, რომ მაშინ მანდ თქვენთან, მე ბევრი რამ არ

მესმოდა. ახლა კი ვხედავ, რაში მდგომარეობს ნამდვილი ცხოვრების ჭეშმარიტება. სწორედ ამიტომ მე მსურს, ბოდიში მოგიხადოთ ყველა იმ ცუდი საქციელის გამო, რითაც თქვენ ტკივილი მოგაყენეთ. კიდევ და კიდევ მადლობა ყველაფრისათვის. მადლობა მასწავლებლებს იმ სითბოსთვის, რომელთაც ჩვენდამი იჩენდით. გწერთ თქვენი აღზრდილი სლესარევი ა.პ. ამ სტრიქონით მინდა, ჯარისკაცულად მოკლედ და მკაფიოდ გითხრათ, ნახვამდის!

**სლესარევი ალექსანდრე (საშა)**
**26/ I – 1976 წელი.**

## სალამი ლიტვიდან !

გამარჯობათ, ქეთევან ალექსანდროვნა !

უპირველესად პირველივე სტრიქონებში მინდა, გაცნობოთ, რომ ვარ ცოცხალი და ჯანმრთელი, აგრეთვე თქვენც , ქეთევან ალექსანდროვნა, წარმატებებს გისურვებთ ყველაფერს საუკეთესოს ცხოვრებაში, სამსახურში და საერთოდ მომავალში წარმატებებს.

ქეთევან ალექსანდროვნა თქვენ არ გამინაწყენდეთ ოღონდ, რომ ამდენ ხანს არ გწერდით წერილებს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თქვენ მაპატიებთ ამ დანაშაულს, თქვენ დედასავით მაპატიებთ. მე გაძლევთ სიტყვას, რომ მომავალში მოგწერთ. ამჟამად მე ვიმყოფები ქალაქ კლაიპედაში- პორტში, წყალქვეშა ნავების ბაზაში. აქამდე მე ვსწავლობდი, ჩავაბარე გამოცდები და ჩვენ დროებით გაგვანაწილეს პორტში. ჩვენი ნაწილი გასაიდუმლებულია და გვეკრძალება იმის მოწერა, თუ რა სპეციალობით ვმუშაობთ, ისე კი ჩემი სპეციალობა საოფიცროა და ძალიან მომწონს. დრო ძალიან მალე გადის, მაისში მომცემენ ერთთვიან შვებულებას. ერთი სიტყვით, აქ კარგია. მე ვერც კი შევამჩნიე, როგორ გაიფრინა ერთმა წელმა.

თქვენ როგორ ხართ, როგორ მიდის თქვენი საქმეები. ვფიქრობ, ყველაფერი ძველებურადაა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩვენ გარეშე უფრო იოლია მუშაობა( განსაკუთრებით ისეთი წესრიგის დამრღვევების გარეშე, როგორიც მე ვიყავი ). მე, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგად მესმის, ეს იყო ჩვენი ბავშვობა. მე

მინდა, ყველაფრისთვის პატიება გთხოვოთ და კიდევ, ქეთევან ალექსანდროვნა, ერთი თხოვნა მაქვს ალბათ, გახსოვთ ბილეთები, რომ დავხატე და ის მაიორი, რომელიც მე დამკითხავდა. თუ შეგიძლიათ, მისი მისამართი მომწერეთ, ძალიან დამავალებთ . ვფიქრობ, რომ შეძლებთ და ამისრულებთ თხოვნას.

როდესაც მახსენდება, როგორ ცდილობდით, გაგეგოთ ჩემთვის, როგორ მარიგებდით, როგორ მიცავდით, მე -კი არ მესმოდა, დედასავით მექცეოდით, ჩემთვის დედაზე მეტიც იყავით. დიდ მადლობას გიხდით ყველაფრისთვის, თქვენ ოქროს ადამიანი ხართ. თქვენ შეგიძლიათ, აღზარდოთ ბავშვები ნამდვილ ადამიანებად. მე თქვენ ყოველთვის მოგწერთ წერილებს, სადაც არ უნდა ვიყო. როგორ არიან დეიდა ოლია, ანიკო მასწავლებელი, გიორგაძე, ქსენია დეიდა, ნინო ჩაგანავა, გალია დეიდა და სხვა, ყველას გადაეცით მოკითხვა.

არ გეწყინოთ, რომ ცოტა მოგწერეთ, ეს იმიტომ. რომ არ ვიცი, მიიღებთ თუ არა ამ წერილს, თუ მიიღებთ, მაშინ 100-ჯერ მეტს მოგწერთ, ზღვის კანონია.

ახლა კი დროებით დაგემშვიდობებით, გკოცნით , ბორისი. ველი პასუხებს.

გადაეცით ჩემგან მოკითხვა ვალიას.

ჩემი მისამართია (ახალი): ლიტვის სსრ, ქ. კლაიპედა, სამხედრო ნაწილი No.10551

**ბორის ჩაიკა**

## დეპეშები, სარვამარტო და საახალწლო მისალოცები

საყვარელო დედიკო გილოცავთ ახალ წელს, დაესწარით მრავალს ბედნიერად, ჯანმთელად თქვენი საყვარელი შვილებით და ნათესავებით.

**თქვენი ვან-ხუნ-ძინი. 1960 წელი.**

---

საყვარელო ქეთო მასწავლებელო! ნება მომეცით, თქვენს პატარა შვილიშვილებს მოვულოცო ახალი წელი და ვუსურვო მათ ჯანმრთელობა, ბედნიერება, დიდხანს სიცოცხლე თქვენთან და თავის მშობლებთან ერთად. დაესწარით მრავალ ახალ წელს ყველა ნათესავთან ერთად.თქვენი **ვალია ზემლიანიკოვა.**

---

პატივცემულ ქეთო მასწავლებელს! მომილოცნია თქვენთვის, ქეთო მასწავლებელო ახალი - 1967 წელი. დაე, ეს წელი იყოს თქვენთვის სულ ბედნიერი. დაესწარით მრავალ ახალ წელს თქვენი ნათესავებით და შვილიშვილებით. იყავით კარგად, კარგად და კარგად! თქვენი აღზრდილი **სულიკო მაჭავარიანი.** 30/ XII-66 წ.

---

აგრეთვე ახალ წელს ულოცავს საბავშვო სახლის აღზრდილი **გურამ მამულაშვილი**.

---

ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტს ულოცავენ საბავშვო სახლის აღზრდილები: **იზოლდა ნოზაძე, რუიზან ნოზაძე, ჟ. ორჯონიკიძე, ჯემალი...**

---

რკინიგზის მე-6 კლასელები გილოცავთ ქალთა დღესასწაულს!

---

მადლობა ჩვენზე ზრუნვისათვის, მადლობა თქვენს თბილსა და მადლიან კალთას, თქვენს მზრუნველ გულს. **ზ. თედეშვილი, დ. ნოზაძე, ლ. ხუციშვილი, ა. გოგოლაძე, მ. შერმადინი და ა. აფრიკოვი.**

---

სამარადისოდ დაუვიწყარო, მშობლიურო ქეთო მასწავლებელო! გილოცავთ პირადად თქვენ და თქვენ კოლეგებს ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს - 8 მარტს. გისურვებთ მრავალ-მრავალი წლის სიცოცხლეს თქვენ საყვარელ შვილებთან ერთად. მადლობელი ვარ იმ დიდი ამაგისთვის, რომელიც პირადად თქვენ გამიწიეთ იმ 10 წლის მანძილზე, რომელიც ჩემთვის დავაჟკაცებისა და ჭკუის სწავლების ხანა იყო. **გივი ტუხიაშვილი.**

---

წერილები, გამოგზავნილი ჯარიდან (რუს.ენაზე)- **ალ. სლესარევისგან და ბორის ჩაიკასგან, ლიტვიდან ( ქ.კლაიპედა).**

## ხაშურის საბავშვო სახლის აღზრდილთა შეხვედრა

1976 წლის იანვარში საბავშვო სახლის აზრდილთა შეხვედრა მოეწყო. ისინი 1956 წელს დაემშვიდობნენ საბავშვო სახლს, აღმზრდელებს, თავიანთ ქეთო მასწავლებელს. შეხვედრაზე თავი მოიყარეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულმა საბავშვო სახლის მობინადრეებმა. ბევრი რამ გაიხსენეს, ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა აღმზრდელთა მიმართ. მოვუსმინოთ მათ:

მიხარია, რომ დღეს, 17 იანვარს, საბავშვო სახლში აღზრდილნი დიდი სიხარულით და სიყვარულით კვლავ შევხვდით ჩვენს ჭაღარა აღმზრდელებს. შევხვდით მრავალი წლის უნახავი და-ძმანი, მოვიგონეთ საბავშვო სახლში გატარებული დღენი. როგორ გვიბრწყინავდა ყველას სიხარულით თვალები, ზოგს სიხარულის ცრემლებიც კი ცვიოდა. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ თბილად მოვაშურეთ მშობლიურ კერას. როგორ თბილად დაგვხვდნენ ჩვენი ძვირფასი აღმზრდელები: ქეთევან დავითაშვილი, თინათინ გიორგაძე, ანა ტურტულაძე, ანა თევზაძე, ნინა ჩაგანავა, დეიდა ნატაშა, ოლია ძიძიგური, დეიდა გალინა, დეიდა ქსენია და სხვა. როგორი გაბრწყინებული თვალებით შემოგვყურებდნენ უმცროსი მეგობრები.

ნუნუ სახელაშვილის ინიციატივით ჩვენი საზეიმო შეხვედრა გადაღებული იქნა ტელევიზიის მუშაკების მიერ, მოწვეული იყო რაიონული გაზეთის მთავარი რედაქტორი სოლომონ ძინძიბაძე. ჩვენი ზეიმის მონაწილე იყო ჩვენი სკოლის პედკოლექტივი, რამდენი ტკბილი და თბილი სიტყვები იყო წარმოთქმული ამ ბედნიერ დღეს. მოხარული ვიქნებით, რომ ეს შეხვედრა წინამორბედი ყოფილიყოს მრავალი თბილი შეხვედრისა - იქ, სადაც გამოგვბრძმედეს აღმზრდელებმა და დღეს პირადი გამაჯვებებით მიღწეულნი შევიციცინებთ ერთმანეთს. იხარეთ ჩემო აღმზრდელნო, ჩემო უფროსო და უმცროსო მეგობრებო.

**იზოლდა ნოზაძე.**

17 / I - 1976 წ.

* * *

ძნელია, სიტყვებით გამოთქვა ის დიდი სიხარული და სიყვარული, რომელსაც მე განვიცდი დღეს. განა შეიძლება, აუღელვებლად შეხვდე ამ დიდ დღეს, როდესაც ხვდები შენთვის ყველაზე საუკეთესო ადამიანებს, შენთვის ყველაზე ახლობელ ადამიანებს. ადამიანებს, რომლებთანაც ერთად გაატარე მთელი ბავშვობის საუკეთესო წლები, როდესაც სულიერად და ფიზიკურად ყალიბდებოდა ჩვენი თითოეული ბავშვის სახე. რამდენად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანები ეკისრათ და აკისრიათ ჩვენს საყვარელ აღმზრდელებს, მათ ხელმძღვანელ - ქალბატონ ქეთევან დავითაშვილს. ეს ჩვენთვის ყველასათვის ცნობილია. ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება მათი მზრუნველი ხელი, მათი გულთბილად მომღიმარე სახეები, რომლებიც დღედაღამე ჩვენზე ზრუნვით იყო ჩაფიქრებული, დიახ:

ჩვენზე ფიქრით გაგითეთრდათ თმები,
ჩვენზე ფიქრით აღამებდით ღამეს,
დილით მზის სხივს, რომ ასწრებდით ყველა
ჩვენ გვაფრქვევდით ბავშვთა სახლის ბავშვებს.

**უ. ი. ქიმერიძე**
18. 01. 1976 წ.
ბორჯომი, კიროვის ქ. N43

* * *

ამ შეხვედრის აღთქმა ერთია და სიტყვებით გამოხატვა ძნელი, მაგრამ შევეცდები გადმოგცეთ ჩემი განცდები.

უაღრესად დიდი ბედნიერება, სიხარული, სიყვარული მომანიჭა ამ შეხვედრამ. გავიხსენე ყოველი წვრილმანი, ყოველი ამ კედლებში გატარებული წუთები.

პატივცემულო, ყველასათვის ძვირფასო ქეთო მასწავლებელო, თინა მასწავლებელო, ანიკო, ნინა, ანიკო, ქეთო, ოლია მასწავლებლებო გმადლობთ იმ მშობლიური ამაგისათვის, რომელიც თქვენ ჩვენდამი გაწიეთ. შვილი მშობლის ამაგს ვერასოდეს გადაიხდის , მაგრამ ჩვენ შეგვეძლოს და კიდევაც უნდა შევძლოთ თქვენი ამაგის ღირსეული დაფასება, რათა თქვენ

დაგვიბრუნეთ სითბო, სიტკბო, ოჯახური სიამტკბილობა, რაც აუცილებლად მოგვაკლდებოდა თითეულ აქ აღზრდილს, რომ აქ არ მოვხვედრილიყავით.

გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ!

მარადჟამს ბედნიერი და ჯანმრთელი გვეხილოთ!

თქვენი აღზრდილი შვილი

**ვერიკო ლობჟანიძე.**
თბილისი-380065,
რუსთავის გზატკეცილი 7 კ. ( 267 ) I სად. ბინა N 218.

* * *

სულით და გულით მივესალმები ამგვარ ღონისძიებებს. ვისურვებდი ამგვარი შეხვედრები მოწყობილიყოს 5-10 წელიწადში ერთხელ.

დამერწმუნებით, რომ ამ შეხვედრით ყველა გახარებულნი ვართ.

რაოდენ სიხარულია, როცა შენთან გაზრდილ „ბავშვებს“ და აღმზრდელ პედაგოგებს ხედავ თვალებმღიმარეს, სიხარულით თვალში რომ ცრემლის წვეთები აქვთ. აი, სწორედ ამ ცრემლიან თვალებს ვენაცვალე და ყველას გენაცვალეთ ჩემო მეგობრებო და ჩვენო აღმზრდელებო... ვიყავი ჩემი მეუღლით.

საბავშვო სახლში აღზრდილი
**ავთანდილ მელიტონის ძე კუსრაშვილი.**
გორი, ცხინვალის გზატკეცილი 11-ა, ოთახი 60.

* * *

შეხვედრა - დაცილება - ამ ბოლო სიტყვის მაგივრად ჯობია იყვეს სიტყვა „შეხვედრა“ გულით, სულით, მთელი ჩემი ოჯახობით - ჟორა და ციცინო კუსრაშვილები.

იყო ამაღელვებელი,
იყო გულის ამაჩუყებელი,
იყო სასიამოვნო,

იყო მეგობრული,
იყო საინტერესო,
იყო გემრიელი,
შ ე გ ვ ე რ გ ო ს !!!

1976 წლის 18 სექტემბრამდე.

* * *

კვლავ ჩემს მშობლიურ კერაში ვარ აღმზრდელებთან, უფროს და უმცროს მეგობრებთან ერთად. დიდი სურვილი მაქვს, ასეთი შეხვედრები ყოფილიყოს ხშირი, მეც, ჩემო მეგობრებო, ყოველთვის მოგევლინებით მოსკოვიდან.

**გურამი (გოშა)**

მოსკოვი მ-409, „მოსკვორეჩიე“, სახლი 103, ბინა 17

**გურამი მინდელი.**

* * *

ჩვენი ძვირფასი ბიჭიკო მაჭავარიანი, რომელსაც უმცროსი და- ძმანი დიდი სიყვარულით შევყურებთ დღეს ძალიან დაკავებულია, გვიღებს სურათებს „ნა პამიატ“. იმედია თავის ლამაზი ხელით ჩაგვიწერს პირველი პლეადის წარმომადგენელი თავის მისამართს და სურვილს:

მე ვუსურვებდი ჩემს აღმზრდელებს ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ლამაზ სიცოცხლეს , თავიანთ ფასდაუდებელ შრომით კიდევ ბევრი ახალგაზრდა აღეზარდოთ სამშობლოს გასახარებლად.

**ბიჭიკო მაჭავარიანი.**

თბილისი 380013, ნავთლუღის ქ.N 6, ბინა 27

* * *

1976 წლის 18 იანვარია. სიხარულს ვერ იტევს გული. მინდა დღე გაგრძელდეს, თუმცა ვინ იცის, რა დრო დასჭირდება იმ სურვილების დაკმაყოფილებას, რაც მე და ყველა ჩვენთაგანს გვსურს. რაც შეიძლება, ადამიანმა სიზმრად იხილოს , მე ცხადლივ ვხედავ და არა მჯერა. არა მჯერა , რომ ოცი წლის შემდეგ ვხვდები იმ ხალხს, რომლებთანაც მაკავშირებს მთელი ჩემი სიცოცხლე. დიდი გრძნობით და სიყვარულით მივესალმები ასეთ შეხვედრას და სურვილი მაქვს მომავალ წელს კიდევ შევხვდეთ ერთიმეორეს.

**ლენა ციცქიშვილი**

გორი, სოხუმის ქუჩა ბინა 1-24

18/ I – 1976 წ.

* * *

დღეს ჩვენს საბავშვო სახლში დიდი ზეიმია. 20 წლის შემდეგ კვლავ ერთმანეთს ვხვდებით ბავშვობის მეგობრები. რამდენი ტკბილი და თბილი მოგონება გაგვახსენდა. რაოდენ სასიხარულოა ჩვენი საყვარელი აღმზრდელების ხილვით დატკბობა.

განა შეიძლება, რომელიმე ჩვენთაგანს დაავიწყდეს საბავშვო სახლში გატარებული დღეები.

და დღეს, კიდევ ერთხელ, ვიხსენებთ ჩვენს ბავშვობას, ვცეკვავთ, ვმღერით. ისევ ბავშვური აღტაცებით ვამბობთ ბავშვობის დროინდელ ლექსებს.

ეს დღე კიდევ დიდხანს გვემახსოვრება. მადლობა საყვარელ აღმზრდელებს, ჩვენს ტოლ-მეგობრებს ამ თბილი შეხვედრისათვის. კიდევ მრავალ შეხვედრამდე.

თქვენი **ეთერ ოსკანოვი.**

ხაშური, ბორჯომის ქუჩა N 4-ა

**ეთერი კაკაბაძე**

18/ I -76 წ.

* * *

1976 წლის 18 იანვარი, რა ბედნიერი წელია, რა ბედნიერი რიცხვი. ჩვენ აქ შემოგვხვდა მრავალი ბედნიერ თვალთა სხივი, ტირილი, ხვევნა, გრძნობების ძლიერი მოზღვავება.

მარად დაუვიწყარი იქნება ეს დღე ამ კედლებში აღზრდილ მოქალაქეთათვის, დავაჟკაცებულ ბავშვებისათვის. რამდენი რამ ვიგრძენით ამ დღეს, ჩვენი გულები განუზომელი სიყვარულით ყოფილა აღსავსე და ჩვენ ამას შეხვედრამდე ვერა ვგრძნობდით. ძვირფასო აღმზრდელებო, ვიცი მრავალ გაჭირვებულს აღუვსეთ გული იმედით, გამოიყვანეთ ცხოვრების ფართო ასპარეზზე, აქციეთ ადამიანად. სწორედ ამისათვის იცოცხლეთ, იხარეთ, იდღეგრძელეთ ჩვენს საიმედოდ, ჩვენს მტკიცე ხიდად, რათა ამ დიადი ოჯახის შვილებმა არასოდეს დავკარგოთ ერთმანეთი.

მარად თქვენი სიყვარულით გამთბარი,

**მზია თათარაშვილი.**
1976 წლის 18 იანვარი.

## ძვირფასო ამხანაგებო !
## საყვარელო ბავშვებო !

თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები საბავშვო სახლის ბავშვების ჯანმრთელობისათვის ზრუნვას მოხმარდა. დღეს შემისრულდა 31 წელი, რაც თქვენთან ვმუშაობ.

1944 წლის სუსხიანი დეკემბერია, იქ, ფრონტზე იღუპებიან მამები და დაქვრივებულ დედებს მოჰყავთ ბავშვები ახლადგახსნილ ხაშურის საბავშვო სახლში. პირველ დღეებიდანვე ვარ მოწმე ამ ბავშვების გულისტკივილის, დედებს გულს ეჭვი უღრნით, უჭირთ შვილების მიტოვება, მაგრამ გამოსავალი არ აქვთ.

ბავშვებს მაშინ საცხოვრებელი ბინა ჰქონდათ № 4 საშუალო სკოლის ძველ პატარა შენობაში. ეკავათ მხოლდ 4 ოთახი. ეს იყო მათი საძინებელიც და სამეცადინო ოთახიც. დავიწყეთ ბავშვების მიღება- აი მოიყვანეს გოგატიშვილი, ხაჩიძე გაყვითლებული,

ფეხშიშველი, ჩამოძონძილი ტანსაცმელით. არ მინდა ყველას გვარების ჩამოთვლა, რადგან მათ შეიძლება, მიყუჩებული ჭრილობა გავუხსნა. ადამიანს მკერდში ქვა გული უნდა ედოს, რომ ამ ბავშვების კეთილდღეობისათვის არ იზრუნოს. ბევრის საწოლთან გამითენებია ღამეები, რათა გამოჯანმრთელებულიყვნენ... გავიდა წლები, შეიცვალა საერთო მდგომარეობა, შეიცვალა მდგომარეობა ჩვენთანაც ქეთევან დავითაშვილის დაუღალავი შრომით, რომელსაც მხარში ვუდექით ჩვენც, მთელი კოლექტივი.

ბავშვების პირობები გაუმჯობესდა უკანასკნელ წლებში. ბავშვებს აღარ სჭირდებათ ღამეების თენება, რადგან არცერთი ბავშვი მძიმე დაავადებით ავად არ გვყოლია. ბავშვთა ჯანმრთელობას ხელი შეეუწყო იმან, რომ საძინებელი ოთახები მოთავსებულია მეორე სართულზე, სძინავთ სუფთა ჰაერზე, დაცული არის დღის რეჟიმი, იღებენ კალორიებით მდიდარ ხარისხიან საკვებს, ვარჯიშით და შრომით იკაჟებენ სხეულს და, რაც მთავარია, ყოველწლიურად იცვლიან ორ აგარაკს, ისვენებენ მთაში და შემდეგ ზღვაზე.

საბავშვო სახლის ექთანი **ნატალია სერგოს ასული რაზმაძე.**
ხაშური, რკ. გზის ბინა № 38., ტელ. 3-84

## დაუვიწყარი დღე

იმ დღეს განსაკუთრებული დღე იყო რკინიგზის საბავშვო სახლში. სხვადასხვა დროს აქ აღზრდილი და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მომუშავე ადამიანები უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ხელმეორედ ხვდებოდნენ ერთმანეთს, გულთბილად, აღელვებით ესალმებოდნენ ისინი ერთი მეორეს და თავიანთ გრძნობებს ხან შეძახილებით, ხან უთქმელად, ცრემლით გამოხატავდნენ.

ორმოცზე მეტი აღზრდილი ესტუმრა ბავშვთა სახლს. ისინი ჩამოვიდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. ვაჟა ჩობანიანი რუსთავიდან ესტუმრა მეგობრებს. არჩილ ნოზაძე, ეთერ ლობჟანიძე, იზოლდა გოგოლაძე, ფატი სკანაძე, ვიქტორ სკანაძე,

ეთერ სკანაძე, ვასილ ღვინიაშვილი, ილია ტუხიაშვილი, იზოლდა ნოზაძე, უშანგი თოთლაძე - თბილისიდან, ნათელა მარჯანიძე, გივი ტუხიაშვილი- კასპიდან, მერაბ ლურსმანაშვილი, მაკა ქიმერიძე, ჟენია ხომასურიძე, ვოვა ლიხოპჩენკო- ბორჯომიდან, მზია თათარაშვილი, გიორგი კუსრაშვილი, ციცინო შერმადინი, ციალა ნოზაძე - გორიდან, ვალენტინა ბაკლაგინა - ახალი ათონიდან, ლიანა ნოზაძე - გარდაბნიდან.

მათ გულწრფელი შეხვედრა მოუწყეს ხაშურელმა მეგობრებმა: ტრისტან გელაშვილმა, ჯემალ ლაცაბიძემ, ომარ ბარბაქაძემ, ნათელა ხარატიშვილმა, ამალია წერეთელმა, ბეჟან ნასყიდაშვილმა, ნელი ფედოროვამ, ზურაბ გელაშვილმა, გიორგი ხაჩიძემ, ნაზი ხაჩიძემ, ეთერ ოსკანაშვილმა, ვალია ზემლიანიკოვამ, ეველინა ოსკანაშვილმა, ჟენია ოსკანაშვილმა.

ამჯერად მეგობრების სანახავად ჩამოვიდნენ მეუღლეებთან, შვილებთან ერთად, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა შეხვედრას.

შეხვედრაზე მოვიდნენ აგრეთვე რკინიგზის მეოთხე და მეხუთე საშუალო სკოლების პედაგოგები, სადაც მეტწილად იზრდებოდნენ ბავშვთა სახლის აღსაზრდელები.

**გაზ. „ გამარჯვების გზით“,**
28/ IX- 1976 წ. სამშაბათი.

## შთამომავლები ქეთევან დავითაშვილის შესახებ

### ნუნუ სახელაშვილი-ფირცხალავა - სულმნათი ადამიანი

ძალზედ ძნელია მოგონების დაწერა უახლოეს საყვარელ ადამიანზე, ათმაგად უმძიმესია, როდესაც წერ საკუთარ დედაზე. მაგრამ, რადგანაც დედა იყო უაღრესად კეთილშობილი, მზრუნველი, მოყვარული, სითბოს და სიყვარულის უხვად გამცემი, გულთბილი, თავის საქმეზე უანგაროდ შეყვარებული და

თავდადებული, თუ საჭირო იყო, მკაცრიც, მაშინ მისი გახსენება სასიამოვნო და საამაყოა.

თუ როგორ ძლიერ მიყვარს დედა, ამის მტკიცება ზედმეტია, რადგან არ მეგულება ადამიანი, რომელიც იცნობდა ქეთევან დავითაშვილს, სიყვარულით და მადლიერებით არ მოეხსენებინა იგი.

წლების მანძილზე სკოლის მასწავლებლობიდან საბავშვო სახლში მუშაობისას იმდენი სითბო, ალერსი და სიყვარული გასცა, რომ დღესაც, მისი გარდაცვალებიდან 32 წლისთავზე ყველა მისი ნაცნობი, მოსწავლე თუ აღზრდილი სიყვარულით გვხვდება, რადგან ახსოვს მისი მუხლჩაუხრელი შრომა და ზრუნვა საბავშვო სახლის ბავშვების აღზრდაზე. იგი ასწავლიდა მხატვრულ კითხვას, აყვარებდა პოეზიას, დაჰყავდა ექსკურსიებზე საქართველოს ღირსშესანიშნაობების გასაცნობად. საკუთარი მაგალითით ასწავლიდა ხეების დარგვას და ყვავილების მოვლას. საბავშვო სახლის სასულე ორკესტრზე და ქორეოგრაფიულ ანსამბლზე არაკები დადიოდა ხაშურში. საბაშვო სახლის აღსაზრდელები სკოლაში გამოირჩეოდნენ კარგი სწავლით, ჩაცმულობით, სისუფთავით, წესრიგით. სწორედ ამიტომ არის, რომ საბავშვო სახლის კურსდამთავრებულები სამაგალითო სპეციალისტები, მამა, დედა და მოქალაქეები არიან.. არცერთი მათგანი პატიოსან გზას არ ასცდენია. საბავშვო სახლის ბავშვების აღზრდის ფერხულში მთელი თავისი ოჯახი, სანათესაო და ახლობლები ჰყავდა ჩაბმული. მომრავლდა ქეთევანები, მის პატივსაცემად თავიანთ შვილებს ქეთევანი დაარქვეს ყოფილმა აღსაზრდელებმა. (რა თქმა უნდა, ჩემმა შვილმა, ლელამაც). ჩემს შვილიშვილს ქეთის, სახელთან ერთად მისი კარგი თვისებებიც გადმოეცა). თითქოს შეჯიბრი გამოაცხადეს ბავშვთა სახლში აღზრდილებმა, ვინ უფრო მეტად ღირსეულად გაგვიმასპინძლდებოდა და გაგვაცნობდა თავის ახლადშექმნილ ოჯახს. აფხაზეთში ვესტუმრეთ ვალია ბაკლაგანის და იური ნოზაძეს, გორში - ჟორა კუსრაშვილს, რუსთავში - უშანგი და არჩილ ნოზაძეებს, ვაჟა ჩობანიანს, ბორჯომში - უმანკო ქიმერიძეს და ნარი ხვედელიძეს. ყველას თბილი და ტკბილი ოჯახი შეუქმნია. გამოჩნდა, რომ არა მარტო აღსაზრდელები, არამედ მთელი მათი ოჯახის წევრები დიდ სიყვარულს და პატივისცემას გამოხატავდნენ ქეთევან დავითაშვილის მიმართ.

პროტოპრესვიტერმა, სასულიერო აკადემიის დასემინარიის რექტორმა, მამა გიორგიმ (ზვიადაძე) კი პატივისცემა ასე დააგვირგვინა: ლელას შვილი - ჩემი შვილიშვილი, მონათლა და დავნათესავდით.

აღსანიშნავია ისიც, რომ დედასთან ატარებდნენ კუთვნილ შვებულებას ვლადიმერ (ვოვა) სტრელცოვი მოსკოვიდან და ვიტია ზოლონენკო პეტერბურგიდან. ვოვა სტრელცოვი მოსკოვში დაუახლოვდა დედას ბიძაშვილს - ქრისტინე დავითაშვილს, როგორც ნათესავს.

მინდა, გავიხსენო ჩემი მეუღლის გია ფირცხალავას ნაამბობი, რომელიც დედას - ქეთევან დავითაშვილს სხვა კუთხით დაგვანახვებს. ერთხელ სოფელ კინდღიდან (სადაც ზაფხულის ორი თვე ისვენებდნენ საბავშვო სახლის აღსაზრდელები) დაბრუნებისას მატარებლის საბარგო ვაგონის დასატვირთავად დედას დასახმარებლად გაჰყვნენ სიძეები, გურამ ცინცაძე და გია ფირცხალავა. „საოცარი რამ ვნახე, ეს ნაზი ქალი თავისი აღნაგობით და ხასიათით როგორ კომპეტენტურად, სწრაფად და მოხერხებულად აწობდა საგნებს, ლეიბებს, სამზარეულოს მოწყობილობებს-ჭურჭლიანად, რომ ვინმეს ეთქვა ვერ დავიჯერებდი. ჩვენ რომ მარტო ვყოფილიყავით, ამდენ ბარგს სამ ვაგონში ვერ ჩავტევდითო“... უნიკალური პიროვნება იყო. მისი მსგავსი არც მამაკაცი და არც ქალი არ შემხვედრიაო“, - ხშირად იმეორებდა გია.

ჩემმა დამ, მერციამ, დედას შესახებ, საბავშვო სახლზე იმდენი რამ გაიხსენა, რომ მე ისღა დამრჩენია დიდი მადლობა გადავუხადო მზრუნველ დედას და ბებიას, საბავშვო სახლის აღსაზრდელების მოამაგეს, თავისი საქმიანობით და ცხოვრების წესით ქრისტიანს - ქეთევან დავითაშვილს. ყველა საბავშვო სახლში აღზრდილს, ვინც თავისი აზრი დააფიქსირა, განსაკუთრებით მადლიერი ვარ ომარ ბარბაქაძის, რომელმაც 2017 წლის 11 სექტემბერს „ ხაშურის მოამბე“-ში თავისი წერილით „ ხაშურის ბავშვთა სახლი, რომელმაც დიდი კვალი დატოვა ჩვენს ქალაქზე“ სათავე დაუდო ქეთევან დავითაშვილის ღვაწლის გახსენებას.

განსაკუთრებით კი უღრმესი მადლობა ბატონ თამაზ ლაცაბიძეს მის მიერ გაწეული დიდი შრომისათვის.

მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო დედაჩემის - ქეთევან დავითაშვილის სახელის უკვდავებაში.

## ნანა გიორგის ასული სახელაშვილი - გამორჩეული ადამიანი

ქეთევან დავითაშვილი ჩემი უსაყვარლესი ბიცოლა იყო, მაგრამ ვიხსენებ არა როგორც მაზლიშვილი, არამედ როგორც ხაშურელი მოსწავლე. 7 კლასი ხაშურში ვსწავლობდი. მესამე კლასში ჩემი მასწავლებელი იყო. ყველას გამორჩეულად გვიყვარდა, ვაფასებდით. ჩვენ კლასში საბავშვო სახლის აღსაზრდელებიც სწავლობდნენ. მათთან ვმეგობრობდი, ვიცოდი მათი საბავშვო სახლში ცხოვრების ყველა წვრილმანი. ცალ-ცალკე ჰქონდათ საძინებელი და საკლასო ოთახები კლასის მიხედვით. გაკვეთილებს ამზადებდნენ აღმზრდელ მასწავლებლის დახმარებით. შენობის გარეთ, სხვა შენობაში, იყო დარბაზი - „პიონერთა ოთახი“, მაშინ ასე ეძახდნენ. ამ დარბაზში მიმდინარეობდა ცეკვის გაკვეთილები, სასულე ორკესტრის მეცადინეობა. დიდი ფანჯრებიანი დარბაზი ლამაზად იყო მორთული. ზოგიერთი ბავშვი მუსიკალურ სკოლაში დადიოდა. დარბაზის მეორე მხარე სასადილოს და სამზარეულოს ეკავა . მათი კარგი კვების მოწმე ყველა ამხანაგი ვიყავით. სუფთად და ლამაზად იყვნენ ჩაცმულები.

ხშირად დედაჩემი მივლინებაში მიდიოდა და მე ბიცოლასთან ვრჩებოდი სახლში. ჩვენი (მერცია და ნუნუ) მომვლელი ბიცოლას და - სათნო, მზრუნველი საყვარელი დეიდა თამარი იყო, რადგან ბიცოლა დილით ადრე გადიოდა სახლიდან (ჩვენ გვეძინა), ხოლო როდესაც მოდიოდა გვიან, მაშინაც უკვე გვეძინა. მის ნახვას მხოლოდ მაშინ ვახერხებდი, როდესაც ამხანაგებთან მივდიოდი ბავშვთა სახლში. ჩვენთვის ვერ იცლიდა, სამაგიეროდ ბავშვთა სახლის ბავშვებს უვლიდა, როგორც საკუთარ შვილებს.

ჩემს კლასელს ამირან ბარბაქაძეს ხაშურში ყველა იცნობდა, როგორც ცეკვა „ქართულის„ უბადლო შემსრულებელს. ყოველ ღონისძიებაზე ბავშვთა სახლის ორკესტრი უკრავდა. ოლიმპიადაზე კი გამარჯვება მათი ხვედრი იყო.

ბავშვობის წლებში არ მიმიქცევია ყურადღება, მაგრამ ახლა ვაცნობიერებ, რომ ამხელა საბავშვო სახლის დირექტორს თავისი საკუთარი სამუშაო კაბინეტიც კი არ ჰქონდა. მის ოთახში ისხდნენ ბუღალტერი და მომმარაგებელი. თბილისში სწავლის დროს ჩემს ჯგუფში თბილისის საბავშვო სახლიდან იყვნენ ამხანაგები. როდესაც მე ვუამბობდი ხაშურის საბავშვო სახლზე, მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან მსგავსი რამ მათ არ უნახავთ, არ განუცდიათ.

ჩემი დროის ყველა მოსწავლეს, მათ შორის მეც, უსაზღვრო სიყვარული გვქონდა ქეთევან დავითაშვილის, ახლაც კი, როდესაც ვხვდები ხაშურელ ახლობლებს დიდი სითბოთი და პატივისცემით ვიხსენებთ მას. ვამაყობ ბიცოლაჩემით.

უამრავი მოგონება მაქვს, მაგრამ, ობიექტური მიზეზების გამო, ამით დავკმაყოფილდი.

## ლელა ფირცხალავა - ქეთო ბებია - ქეთევან დავითაშვილი

ასეთი საამაყო ადამიანისათვის ჩვენ, მის შვილიშვილებს შეგვეძლო, ასე უბრალოდ მიგვემართა მისთვის, ბებაია ქეთო და რამდენ რამეს იტევდა ეს მიმართვა: იმედი, ერთგულება, სიკეთე, ღირებულებები, თავდადება, მოქალაქეობრივი მოვალეობა, უბრალოება, თავმდაბლობა, სიბრძნე, სიყვარული.როგორც მამა ამბობდა: ასეთი პიროვნება არც ქალი და არც კაცი არ შემხვედრიაო და მართლაც, ბებია ქეთო, თვითონ ადრე დაქვრივებული, რატომღაც თვლიდა მოვალედ, ვალდებულად თავს, ყველასთვის მიეხედა, და არასდროს არავისგან არანაირ დახმარებას არ ელოდა და არც იკადრებდა. მხოლოდ უიშვიათეს პიროვნებებს შეუძლიათ, აკეთონ საქმე, ემსახურონ სამშობლოს, თავის ხალხს და არასდროს არ დაიკვნესონ, არასდროს მოითხოვონ სანაცვლოდ რაიმე. არასდროს გაგვიგია, დავიღალე, მომხედეთ... არა, მხოლოდ უიშვიათეს პიროვნებებს შეუძლიათ ასეთი თავგანწირვა და ჩვენ, მისი შვილიშვილები ასე უბრალოდ მივმართავდით ამ გენიალურ პიროვნებას - ქეთო ბებია.

მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემს პირველ ქალიშვილს, ნათიას, მოესწრო ქეთო ბებია, მასზეც კი ამაგი აქვს მიუხედავად იმისა, რომ ცოტა შეუძლოდ იყო, თუმცა ამას არასდროს შეიმჩნევდა. ნათიაზე ამაგი კი შეიძლებამ, ითქვას დაფასდა - დღეს ის ფოფოდიაა, ბებია ქეთო ხომ მორწმუნე, მღვდლის ოჯახიდან იყო. ალბათ, სწორედ ეს არის ის ძირითადი თვისება, რითაც ასე განასხვავებდა ბებიას სხვებისგან. ჩემს მეორე ქალიშვილში ვხედავ ბებია ქეთოს გარკვეულ თვისებებს, გარეგნობითაც ხომ ჰგავს და მაგიტომაც დავარქვი ქეთევანი, ისიც რთულ ბავშვებთან მუშაობს თავდადებით, ალბათ, ეს თვისებაა, რაც ასე მაგონებს ბებია ქეთოს. ხშირად ვსაუბრობთ ქეთო ბებიას გმირულ საქმიანობის შესახებ და ერთხელ ის აზრიც კი მომივიდა , რომ ბებია ქეთოს სახელობის ბავშვთა დახმარების ცენტრი გაიხსნას, სადაც ისე ერთგულებით მიხედავენ ბავშვებს, როგორც ამას ასე უსიტყვოდ და ასეთი სიყვარულით აკეთებდა ბებია ქეთო. მშობლების გარეშე დატოვებულ ბავშვებს ისეთ გარემოში ზრდიდა, რომ ბევრი მშობელი ვერც კი ვახერხებთ ჩვენი საკუთარი შვილებისთვისაც, რომ იგივე ვაკეთოთ. უნერგავდა მათ ისეთ ღირებულებების სიყვარულს, რასაც დღეს ცოტა მშობელი თუ ახერხებს, კითხვის სიყვარულს, მუსიკის, სპორტის, ხელოვნების, შრომის, სამშობლოსადმი, მეგობრებისადმი ერთგულებას და ამის მაგალითს ხომ ჯერ თვითონ გვაძლევდა ყველას. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მისი აღზრდილი იხსენებს ბებია ქეთოს, როგორც უნიკალურ პიროვნებას და რაც დრო გადის კი არ ივიწყებს, არამედ აღფრთოვანებაში მოდის მისი პიროვნული ღირებულებებით. ბედნიერი ვარ , რომ ჩემი მესამე შვილი, გია, ისმენს დღეს მისი დიდი ბებიის შესახებ ისტორიას, უშუალოდ მისი აღზრდილისგან, ბატონი ომარისგან. იმედია, გააგრძელებს გია იმ თვისებებს და ღირებულებებს, რაც დაგვიტოვა და რითაც ვამაყობთ დღეს მისი შთამომავლები, სწორედ ბებია ქეთოს ღვაწლის გამო. აქვე მინდა, ავღნიშნო, რომ ჩემი ერთადერთი ვაჟის ნათლია არის სწორედ ბებია ქეთოს აღზრდილი, პროტოპრესვიტერი მამა გიორგი, ეს ფაქტიც ხომ ბევრ რამეზე მეტყველებს...

ჩვენ კი, ამ არაჩვეულებრივ პიროვნებას, მისი შვილიშვილები ასე უბრალოდ მივმართავდით ბებია ქეთო და არ ვიცოდით, რომ

ასეთ უნიკალურ პიროვნებასთან გვქონდა საქმე, ღირსეულ ქართველ ქალთან, ქართველ დედასთან, ნამდვილ მოქალაქესთან. მადლობა, ბებია ქეთო ყველაფრისათვის, თითოეული შენთან გატარებული წუთისთვის, იმ ზრუნვისთვის, რომელსაც ამდენ ადამიანს უნაწილებდი, არასდროს არავინ დაგრჩენია უყურადღებოდ და არასდროს არაფერი მიგიღია სანაცვლოდ და არც არასდროს ელოდი რაიმეს ადამიანებისგან.

ბებია ქეთო - ძალიან მინდა, რომ შენც იამაყო ჩვენით, შენი შვილიშვილებით და შვილთაშვილიშვილებით.

**შენი ლელა.**

## წერილი შვილებისადმი

### ჩემო ძვირფასო მერცია და ნუნუ !

ცალ-ცალკე არ გწერთ, ორივეს ჯავრი ერთნაირად მაქვს, თქვენ კი, ალბათ, ჩემი და ბავშვების ჯავრი გაქვთ. ბავშვები ძალიან კარგად არიან. მთავარი ის არის, კარგად იკვებებიან და ისვენებენ. თქვენ კი სიცხეში იწვით და შრომაში. მე ორივესთვის მკვდარი ვარ, ვერავითარ დახმარებას ვერ გიწევთ. პირიქით, ჩემი სამსახურით ორივეს გაწუხებთ. მინდოდა, კიდევ მეთხოვა, ხაშურიდან დამერეკა, რომ იქნებ, ფიზკულტურის ხელმძღვანელი ვინმე მოგეძებნათ კარგი. ხელფასი 100 მანეთია, მართალია, ცალკე ოთახი არ არის, მაგრამ მაინც კარგი ბინებია, ე.ი. ოთახები ბავშვებთან. ვერ დაგიკავშირდით. ის, ვინც ნუნუმ მითხრა, არ წამოვიდა. თურმე ბებია გარდაცვლია და დავრჩი ისე. აქ ავიყვანე დროებით, მაგრამ არ ვარგა. თუ მოხერხდება და კიდევ დარჩენილია ვინმე თბილისში, მიეშველეთ. ნუნუკი ის ქალები ავიყვანე, მეორე წყებაზე მოდიან უკან, მერცი, არც ის მზარეული ჩერდება, ბევრი საქმე არისო. თუ ვინმე იყოს, სამი ქალი ძალიან მჭირდება. გელით და როდის მოხვალთ, არ ვიცი. წერილის წერა არც თქვენ გიყვართ და ვიცი, დროც არ გაქვთ.

მერცი, პიონერთა ხელმძღვანელები ნუნუმ რომ გამომიგზავნა, ძალიან-ძალიან კარგები არიან. ის უფროსი

პიონერთა ხელმძღვანელი კი არ ვიცი, რა არის, აბსოლიტურად არაფერი იცის. თავის დღეში პიონერთა ბანაკიც არ უნახავს. ვეცდები, ვინმე ვიშოვო ან მანდ თუ გეგულებოდეთ. დავალება დავალებაზეა.

ბავშვებს გვიან ვკითხულობ, როგორც ყოველთვის ჯერ სამუშაო, მერე ოჯახი. ასე გავატარე ჩემი ოხერი ცხოვრება. თქვენც ბევრი შეწუხება გაქვთ ჩემგან. ვენაცვალე მაგათ . ბესიკო ალბათ, კიკეთშია, ლალიკო კი- სახლში. არ ვიცი ფიქრები მაწუხებს დღე და ღამე. სულ ის მაწუხებს როგორ ხართ, რომ ვერ ვიგებ. მანდ რომ ვიყავი, ტელეფონით მაინც ვიგებდი რამეს. აქაურ ამბებს ნიკო გეტყვით, ეჩქარება. ახლა მო-ვედით სოხუმიდან. ერთი სიტყვით, თუ მოდიხართ, შემატყობინეთ. ოთახი ჯერ არ მიქირავია, ვინაიდან ტყუილად ხომ არ ვიხდი ფულს. შემატყობინეთ თქვენი ამბავი და გეგმები. გკოცნით, გკოცნით ბევრს, ბევრს.

ვიცი, გულში ჯავრობთ ორივენი, აქ თამარი არის ერთ ამბავში. ერთი სიტყვით, ყველას გაწუხებთ და შემაწუხარი ვარ.

**დედა. 10/VI-74წ.**

მერცი! გენაცვალე, იქნებ მერი ჯოჯიშვილს დაურეკო, წამოვიდეს აქ, თუნდაც 15 რიცხვში, ის მინდა უფროს პიონერხელმძღვანელად.

# ქეთევან დავითაშვილი

რაიონის ღვაწლმოსილ პედაგოგთა რიგს გამოაკლდა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენების კავალერი **ქეთევან ალექსანდრეს ასული დავითაშვილი.** მთელმა მისმა ცხოვრებამ ჩვენს ქალაქში განვლო.

დაიბადა 1909 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ , 1927 წელს მან მუშაობა დაიწყო რკინიგზის № 10 საშუალო სკოლის მასწავლებლად. ამავე დროს დაუსწრებლად განაგრძო სწავლა სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1938 წელს დაამთავრა. წლამდე, ვიდრე დამსახურებულ პენსიაზე გავიდოდა, ენერგიულად უძღვებოდა უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმეს. დედობრივ მზრუნველობას იჩენდა იგი ყველა აღსაზრდელის მიმართ. უნერგავდა მათ სამშობლოს სიყვარულს, უღვივებდა მეგობრობისა და საუკეთესო ადამიანურ გრძნობებს. ბევრი მისი აღზრდილი დადგა ცხოვრების დიდ ასპარეზზე და გულითადი გრძნობით იხსენებს საყვარელ პედაგოგს. ნახევარ საუკუნეზე მეტი იღვაწა ამაგდარმა პედაგოგმა. ღირსეულადაც დააფასა პარტიამ და მთავრობამ მისი ხანგრძლივი შრომა. გარდა ზემოაღნიშნულისა, იგი დაჯილდოებული იყო სხვადასხვა სახის მედლებით, სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით, რომელიც კარგ მემკვიდრეობად დარჩება მის შთამომავლობას.

დამსახურებული პედაგოგის, კარგი აღმზრდელის, მეოჯახისა და მეგობრის, ქეთევან დავითაშვილის ხსოვნა მარად იცოცხლებს მისი აღზრდილების, ახლობლებელ-ნათესავთა და თანამშრომელთა გულებში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

გაზ. „ გამარჯვების გზა“ , 14/ V- 1987 წელი.

# ქეთევან დავითაშვილის მეუღლე

## იოსებ სოლომონის ძე სახელაშვილი (1907- 1940)

მან თავის ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე შეძლო ქ. ხაშურში აეშენებინა:

1. რკინიგზის კლუბი;
2. „ ელექტროფიკაციის ქუჩაზე“- რამდენიმე საცხოვრებელი ბინა;
3. აბანო;
4. სურამში კირის ქარხანა 1930 წ.;
5. სურამში ე.წ. „ უდოსის სანატორიუმი „ ;
6. ბორჯომის რაიონში - ლიბანის სანატორიუმში ახალი ორსართულიანი ე.წ. მე-2 კორპუსი. 1938-39 წწ.
7. ამავე დროს 1929-30 წლებში ჩამოაყალიბა ხაშურის ახალგაზრდა მომღერალთა გუნდი.

# მკვლელობა წრომში

1918 წელს, ხაშურის რაიონის სოფელ წრომში, რომელიც საქვეყნოდაა ცნობილი VII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლით - სოფელი წრომის მაცხოვრის ამაღლების სახელობის სახელობის ტაძრით, მოხდა საშინელი მკვლელობა. ბოროტმოქმედმა ჯგუფმა მოკლა სოფლის ეკლესიის წინამძღვარი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე დავითაშვილი. ცნობა ბარბაროსული მკვლელობის შესახებ უმალ გავრცელდა რუსეთის ვეება იმპერიაში. შევეცდებით, ნათელი მოვფინოთ ამ მკვლელობის ისტორიას. ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოწაფე გახლდით, როცა ხაშურში, ჩემი მეგობრის ალიკო დავითაშვილის ოჯახში მისი მამის - ძველი ინტელიგენტის გიორგი დავითაშვილისაგან, რომელიც მამა ალექსანდრეს ვაჟიშვილი გახლდათ, მოვისმინე ამ ტრაგედიის შესახებ. ახლაც კარგად მახსოვს ხაშურში დავითაშვილების მყუდრო კომუნალურ ბინაში, სადაც სტუმართმოყვარე მასპინძლები ძველებურად ,,სამოვარის“ ჩაით გვიმასპინძლდებოდნენ, მღვდელ ალექსანდრე დავითაშვილის გადიდებული პორტრეტი. მასიური ჩარჩოდან იცქირებოდა საოცრად სათნო, სიკეთით სავსე ადამიანის სახე. მამა ალექსანდრეს მკვლელობაზე საინტერესოდ მოგვითხრობდა აგრეთვე ხაშურელი ჟურნალისტი ილია ფთაძე. მეც გამიჩნდა სურვილი შემეტანა ჩემი წვლილი ამ მკვლელობის ისტორიაში სიცხადის შესატანად. მას შემდეგ ათეულმა წლებმა განვლო. საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდებზე მუშაობის დროს შემთხვევით წავაწყდი საქმეს მღვდელ ალექსანდრე დავითაშვილის მკვლელობის თაობაზე. გამოვიწერე საქმე და შევუდექი მის გაცნობას. პირველი დოკუმენტი გახლავთ გორის მაზრის უფროსის თავად ვახვახოვის (ვახვახიშვილის. გ.შ.) დეპეშა თბილისის გუბერნატორის სახელზე, რომელიც გაეგზავნა ადრესატს 1918 წელს 11 მარტს. მასში ვკითხულობთ: ,,გუშინ საღამოს, სოფელ წრომში, 12 კაცისგან შემდგარმა ყაჩაღთა ბრბომ მოკლა მღვდელი დავიდოვი (დავითაშვილი) მივემგზავრები რაზმის თანხლებით. დასახმარებლად მოვლინებულნი არიან სურამის, გომის, ბორჯომის ბოქაულები. თავადი ვახვახოვი“ (სცსსა,

ფურც.94) აღწ. 1, ს. 333, ფურც. 64). მკვლელობის გარემოებათა შესწავლის შემდეგ მიღებული შედეგების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ახალციხის, ახალქალაქისა და გორის მაზრებში თბილისის ჟანდარმათა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწის მოხსენება, რომელიც დაწერილია 1918 წლის 16 მარტს. მოხსენებაში ვკითხულობთ: ,,...ამა წლის 12 მარტს, 4 საათზე, გომში ჩამოსვლისთანავე მე შემხვდა გორის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი თავადი ვახვახოვი. მასთან ერთად დაუყოვნებლივ შევუდექი მკვლელობის გარემოებათა გამოძიებას. მღვდელ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე დავიდოვის მკვლელობის გარემოებათა გაცნობისა და ბოროტ მოქმედთა ვინაობის დადგენის მიზნით დილის 5 საათზე თავად ვახვახოვთან ერთად, აგრეთვე ჩემს განკარგულებაში მყოფ პოლიციის წარმომადგენელთა თანხლებით გავემართე სოფელ წრომში. ჩავედი სოფელში და დავათვალიერე მღვდელი დავიდოვის მკვლელობის ადგილი. აღმოჩნდა, რომ მას ეკავა ბინა თავად ციციანოვის (ციციშვილის-გ.შ) სახლში, რომელიც სოფლის განაპირას მდებარეობდა. მღვდელი დავიდოვი 10 მარტს დაახლოებით საღამოს 7 საათზე შეიპყრეს ბოროტმოქმედებმა საკუთარ სახლში, გაიყვანეს ძალით ეზოში, ორჯერ ესროლეს ტყვია თავში და მოკლეს. მკვლელობა მოხდა შემდეგ პირობებში: 10 მარტს დაახლოებით საღამოს 7 საათზე მღვდელი ალექსანდრე დავიდოვის ეზოში. შევიდა 8 კაცი, რომელთანაც ყველა გარდა ერთისა, შეიარაღებული იყვნენ თოფებითა და რევოლვერებით. პირველად ისინი შევიდნენ საჯინიბოებში, შეიპყრეს მღვდლის მსახური 16 წლის გერმანე შუბითიძე და გაემართნენ მღვდლის ბინისაკენ. მღვდელი ამ დროს იწვა საწოლზე და ეთამაშებოდა უმცროს ქალიშვილს. ამავე ოთახში იმყოფებოდნენ მღვდლის ცოლი და მისი 16 წლის ქალიშვილი თამარი. შევიდნენ ოთახში და შეეკითხნენ: ,,ეს შენ ხარ საშო", ,,დიახ" იყო პასუხი. მაშინ ბოროტმოქმედებმა მოსთხოვეს მას ფული და იარაღი, რაზეც მან უპასუხა, რომ არ გააჩნდა ფული და არც იარაღი და თავის უარის დასადასტურებლად სთხოვა, გაეჩხრიკათ ბინა. მღვდლის ცოლმა და ქალიშვილმა შეიარაღებული პირების დანახვაზე ატეხეს ყვირილი და შეეცადნენ, გაქცეულიყვნენ ოთახიდან, მაგრამ ყაჩაღებმა არ გაუშვეს. ხმაურის გაგებაზე კნეინები ნადეჟდა ილიას

ასული და ქეთევან სვიმონის ასული ციციანოვები (ციციშვილები გ.შ.) შემოვიდნენ მღვდლის ბინაში, სადაც ისინი შეუშვეს, მაგრამ უკან აღარ გაუშვეს, სახლის პატრონი თავადი ლევან ამირინდოს ძე ციციანოვი, ავადმყოფი კაცი იმყოფებოდა თავის ოთახში. მაშინ ყაჩაღებმა შესთავაზეს მღვდელს მათთან ერთად ეზოში გასვლა მოსალაპარაკებლად. მღვდელმა დროის გაყვანის მიზნით დაიწყო აუჩქარებლად ჩაცმა, მაგრამ იგი ძალით, საცვლების ამარა გამოიყვანეს გარეთ. მღვდლის მეუღლე გაჰყვა ყაჩაღებს, მაგრამ ორმა მათგანმა სცემეს იგი კორდახებით. ამ დროს გაისმა ორი გასროლა, რის შემდეგაც ყაჩაღები სწრაფად გაუჩინარდნენ. ატყდა განგაში, შეგროვდა ხალხი, მაგრამ ვერავინ გაბედა ყაჩაღების დადევნება. როგორც მღვდლის ცოლისა და ქალიშვილის ჩვენებიდან ჩანს, მათ შეძლეს ზოგიერთის სახეების ამოცნობა. ოლღა სვიმონის ასულ დავიდოვას განცხადებით თავდამსხმელთაგან ორი ყაჩაღი 1905 წლის ბოლოს მისულა მათთან იარაღის მიცემის მოთხოვნით. თუ ვინ იყვნენ ეს ყაჩაღები, ვერავინ ვერ გამოიცნო. მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთა გამოკითხვის შედეგად, მე დავრწმუნდი, რომ ყაჩაღები და ასევე ბოროტმოქმედების მოტივები კარგადაა ცნობილი მცხოვრებთათვის, მაგრამ შიშის გამო დუმდნენ. ყაჩაღთა კვალზე გაშვებული პოლიციის ძაღლი მიადგა მებორნეების ჯიხურს მდინარე მტკვართან. ორგზის დაკითხული მებორნეები სოფელ ახალშენში, მცხოვრები გლეხი ანდრია ნიკოლოზის ძე დონაძე და წრომელი გლეხი ტატე პავლეს ძე ჩუტკერაშვილი აღნიშნავდნენ, რომ შეიარაღებული პირები 10 მარტს საღამოს მათ არ გადაუყვანიათ, რაც, ჩემი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგანაც მამასახლის თქმით, მღვდლით მკვლელთა კვალი მიდის ბორნამდე. ამიტომ მებორნეები ანდრია დონაძე და ტატე ჩუტკერაშვილი დავაკავე. მოკვლეული ცნობით აღმოჩნდა, რომ რევოლუციური მოძრაობის დროს მღვდელი დავიდოვი მიეკუთვნებოდა სოციალურ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და ეწეოდა მავნე პროგაგანდას სოფელ წრომის გლეხობაში, რისთვისაც, როგორც გორისა და დუშეთის მაზრების დროებითი გენერალ-გუბერნატორის 1906 წლის 3 თებერვლის მიმართვიდან ჩანს, გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან და გადაასახლეს უფის

გუბერნიაში საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე. ექვსი თვის შემდეგ მღვდელი დავიდოვი დაბრუნდა და აღადგინეს თავის უფლებაში. უკანასკნელ ხანებში მღვდელი დავიდოვი საგრძნობლად გამემარჯვენდა, საუბრის დროს გმობდა შანტაჟისტთა დანაშაულებრივ ბოროტმოქმედებას, რის გამოც, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთა უკმაყოფილება დაიმსახურა და შიშით იმის გამო, რომ იგი მათ გასცემდა, უნდა აიხსნას მისი მკვლელობის მოტივები“. (იქვე, ფურც.70-80). ჩვენ ვერ გავიზიარებთ ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VI ტომში (იხ.გვ.340) გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მღვდელი ალექსანდრე დავითაშვილი მოკლეს გლეხებმა, იმის გამო, რომ იგი ეწეოდა პროპაგანდას რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. აქვე აღნიშნულია, რომ იგი ადრე გადაახალისეს გლეხობაში პროპაგანდისტული საქმიანობის, ხოლო გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მოქმედებდა რევოლუციური, მოძრაობის წინააღმდეგ და ა. შ. სამწუხაროდ, დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელნი თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედების გამართლების მიზნით ჩადენილ დანაშაულს ზოგჯერ რევოლუციურ აქტად ასაღებენ. ხომ ცნობილია, რომ ახლო წარსულში არც თუ იშვიათად ზოგადად ყაჩაღსა და ტერორისტ რევოლუციონერად ,,ნათლავდნენ“ ჩვენი ვარაუდით, სწორედ მსგავსი ,,რევოლუციონერების“, ფაქტობრივად მძარცველ ტერორისტთა მსხვერპლი გახდა მამა ალექსანდრე დავითაშვილი. ვფიქრობთ, მისი მკვლელობა დაკავშირებული იყო ორ გარემოებასთან, სახელდობრ, ფულისა და იარაღის გამოძალვასთან და მისი მხრივ ბანდიტების მხილების შიშთან, რაც შემოთავაზებული დოკუმენტიდანაც ნათლად ჩანს.

ამრიგად, მღვდელი ალექსანდრე დავითაშვილი მოკლეს არ გლეხებმა, ვითომდა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ პროპაგანდის გამო, არამედ რევოლუციონერთა მანტიაში გახვეულმა ტერორისტებმა.

**წერილის ავტორი: გურამ შენგელია**
**ისტორიკოსი, პროფესორი**
**ხაშურის მკვიდრი**

# დავითაშვილების საგვარეულოს წარმომადგენლები

დავითაშვილების საგვარეულოს არაერთ წარმომადგენელი იდგა ღვთის სამსახურში. ისინი არამარტო ღვთის სამსახურს ერთგულობდნენ, არამედ ქვეყნის სამსახურშიც იდგნენ და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ თავიანთი მოღვაწეობის არეალში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში.

1. გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი დომენტი (დავითაშვილი-ბაგრატიონი) + 1815 წლის 3 აპრილი.
2. ქვათახევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების მონასტრის მღვდელ-მონაზონი სვიმონი (დავითაშვილი) + 1871 წელი.
3. თბილისის მაზრის III ოლქის მთავარხუცესი და საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი ნიკოლოზ დავითაშვილი (ქეთევან დავითაშვილის დიდი ბაბუა).
4. წრომის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მღვდელი ნიკოლოზ დავითაშვილი (ქეთევან დავითაშვილის ბაბუა).
5. წრომის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე დავითაშვილი + 1910 წლის 26 მარტი (ქეთევან დავითაშვილის მამა).
6. ხეითის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის დეკანოზი ალექსი დავითაშვილი.
7. ატენის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მღვდელი დიმიტრი დავითაშვილი.
8. ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელი მიხეილ იოსების ძე დავითაშვილი + 1891 წლის 11 ნოემბერი.
9. ზემო ნიქოზის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის მღვდელი იოანე დავითაშვილი + 1914 წლის 13 ნოემბერი.

10. დეკანოზი გრიგოლ დავითაშვილი + 1888 წლის 27 ნოემბერი.
11. დგვრისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელი იოანე ალექსის ძე
12. დავითაშვილი + 1920 წლის 20 დეკემბერი.
13. თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის დიაკონი იოსებ მიხეილის ძე და - ვითაშვილი + 1913 წლის 2 მაისი.
14. ოსეთის სასულიერო კომისიის მღვდელი გრიგოლ დავითაშვილი + 1830 წლ. 28 აგვისტო.
15. ბაქოს რკინიგზის ეკლესიის მღვდელი სერგი ალექსის ძე დავითაშვილი + 1904 წლის 25 სექტემბერი.
16. ძეგვის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის მღვდელი ალექსი დავიშვილი.
17. ერთაწმინდის წმინდა ევსტატის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი პეტრე ნიკოლოზის ძე დავითაშვილი , ბოლოს იხსენიება 1924 წელს, (მერე აღარ ჩანს).
18. ხიდისთავის ეკლესიის მღვდელი ზაქარია დავითაშვილი , მსახურობს 1920-იანი წლების დასაწყისში, (მერე აღარ ჩანს).
19. ვაყისა და გომის ეკლესიების მღვდელი გიორგი დავითაშვილი ბოლოს იხსენიება 1928 წელს, (მერე აღარ ჩანს).
20. ქვედა სალუთის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მღვდელი სპირიდონ დავითაშვილი (ყარსი-მხარე) , იხსენიება 1892-1903 წლებში.
21. სართიჭალის წმინდა ლაზარეს სახელობის ეკლესიის მღვდელი იოანე დავითაშვილი, (ბოლოს ჩანს 1917 წელს).
22. „ნახალოვკის“ ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე დავითაშვილი, დაინიშნა 1917 წელს.

# სარჩევი


**სხვათა დედა ..... 5**

**ქეთევან ალექსანდრეს ასული დავითაშვილი-დამსახურებული მასწავლებელი ..... 7**

**კვალი განათლებული ..... 10**

ღვაწლმოსილი ..... 13
მერცია სახელაშვილი - „ის რაც მახსოვს, მინახავს და გამიგონია...“ ..... 16
ქ. ისაკაძე - მშობელივით ახლობელი ..... 19
გ. მახარაძე - შენ ობოლი აღარა ხარ ..... 21
ივანე მჭედლიშვილი - ობოლთა დედა ..... 26
ივანე მჭედლიშვილი - დანიშნულება ცხოვრებაში ..... 27
ი. ინოველი - სახლი მაღლობზე ..... 29
ივანე მჭედლიშვილი - საგზური ცხოვრებაში ..... 34
ივანე მჭედლიშვილი - ომის შვილები ..... 36
ივანე მჭედლიშვილი - ქეთევან დავითაშვილის შვილები ..... 38
ივანე მჭედლიშვილი - მეორე დედა ..... 39
ივანე მჭედლიშვილი - ძმური, ინტერნაციონალური ოჯახი ..... 40
მ. შათირიშვილი - სხივი სიკეთისა ..... 41
მურად მთვარელიძე - მადლმოსილი ადამიანი ..... 43

**იგონებენ აღზრდილები ..... 45**

ომარ ბარბაქაძე - ხაშურის ბავშვთა სახლი, რომელმაც დიდი კვალი დატოვა ჩვენს ქალაქში ..... 45
ვასილ ხაჩიძე - ყოფილი აღსაზრდელის მოგონება ..... 48
იზოლდა ნოზაძე - ჩემი მოგონებები ..... 49
ამალია ლევანის ასულ წერეთლის განცხადება ..... 53
ხაშურის რკ. გზის №1 საბავშვო სახლის დირექტორს ..... 53

**ლექსებში გაცხადებული სიყვარული ..... 54**

იასონ როინიშვილი - ხაშურის ბავშვთა სახლს ..... 54
იზოლდა ნოზაძე - ძვირფას აღმზრდელებს! ..... 55
იზოლდა ნოზაძე - პატივცემულ ქეთო მასწავლებელს! ..... 56

ლალი ხუციშვილი - პატივცემულო ქეთევან მასწავლებელო!!! . 56
მერცია სახელაშვილი - დიდედა ქეთევანი ..... 57
ჟ. ჯაიანი - ჩემო ძვირფასო მასწავლებელო! ..... 58

**სიყვარულით გამთბარი ბარათები ..... 59**

ნაზი ჭანკოტაძე - სალამი პატივცემულ ქეთო დავითაშვილს!.... 59
ნაზი ჭანკოტაძე - სალამი პატივცემულ ქეთო მასწავლებელს! ... 59
ნაზი ჭანკოტაძე - სალამი პატივცემულ ქეთო მასწავლებელს! ... 60
ნაზი ჭანკოტაძე - სალამი პატივცემულ ქეთო მასწავლებელს! ... 61
თინა ჭანკოტაძე - მეორე დედას !..... 62
თინა ჭანკოტაძე - საყვარელო ქეთო მასწავლებელო! ..... 63
თინა ჭანკოტაძე - სალამი ქეთო მასწავლებელო !..... 63
თინა ჭანკოტაძე - ქეთო მასწავლებელო!..... 64
თინა ჭანკოტაძე - ქეთო მასწავლებელო!..... 65
თინა ჭანკოტაძე - ქეთო მასწავლებელო!..... 66
თქვენი უმანკო (ქიმარიძე) - სალამი პატივცემულ ქეთო მასწავლებელს!..... 67
თქვენი უმანკო (ქიმერიძე) - სალამი ძვირფასს დედას!..... 68
ლენა ციცქიშვილი - სალამი დეიდა თამარის და ქეთო მასწავლებელს ! ..... 69
ფატიმა - სალამი ქეთო მასწავლებელს ფატიმასაგან! ..... 70
თქვენი შვილობილი - სალამი პატივცემულ ქეთო მასწავლებელს! ..... 71
ლილი ღონღაძე - სალამი საყვარელ დირექტორს ..... 72
ეთერი - სალამი ჩემ საყვარელ აღმზრდელს! ..... 73
მერი ბაქრაძე - ჩემო ქეთო მასწავლებელო!..... 74
გამარჯობათ, ქეთევან ალექსანდროვნა! ..... 75
სალამი ლიტვიდან !..... 76

**დეპეშები, სარვამარტო და საახალწლო მისალოცები ..... 77**

**ხაშურის საბავშვო სახლის აღზრდილთა შეხვედრა..... 80**

**შთამომავლები ქეთევან დავითაშვილის შესახებ ..... 87**

ნუნუ სახელაშვილი-ფირცხალავა - სულმნათი ადამიანი..... 87
ნანა გიორგის ასული სახელაშვილი - გამორჩეული ადამიანი ... 90
ლელა ფირცხალავა - ქეთო ბებია - ქეთევან დავითაშვილი..... 91

**წერილი შვილებისადმი ..... 93**

**ქეთევან დავითაშვილის მეუღლე ..... 96**

**მკვლელობა წრომში ..... 97**

**დავითაშვილების საგვარეულოს წარმომადგენლები ..... 101**

**სარჩევი ..... 103**

**სურათები ..... 106**

# სურათები

ქეთევან ალექსანდრეს ასული დავითაშვილი (1909 - 1987)

ქეთევან დავითაშვილის მამა ალექსანდრე დავითაშვილი - მარცხნიდან პირველი

ქეთევან დავითაშვილი და მისი მეუღლე - იოსებ სახელაშვილი

მერი დავითშვილი - საქართველოს სახალხო არტისტი

ფოტოზე წარწერა: ჩემ საყვარელ ორეულს ერთგულ ქეთოს მერისგან 13-IV -54 წ.

ხაშურის ახალგაზრდა მომღერალთა გუნდი

ქეთევან დავითაშვილი ხაშურის N1 რკინიგზის სკოლის პედაგოგებთან

ქეთევან დავითაშვილი (ცენტრში) ბავშვთა სახლების დირექტორების კონფერენციაზე მოსკოვში

ქეთევან დავითაშვილი სკოლის დამთავრების 40 წლისთავზე თანაკლასელებთან

N1 საბავშვო სახლის კოლექტივი

ქეთევან დავითაშვილი საბავშვო სახლის აღმზრდელებთან.
მარცხნიდან მარჯვნივ, დგანან: ნატალია რაზმაძე, ციცინო სანთელაძე, ქეთევან გიორგაძე, მერცია სახელაშვილი. სხედან: ქსენია ინასარიძე, ოლია ძიზიგური, ქეთევან ბერაია, ქეთევან დავითაშვილი, იასონ როინიშვილი, თინა გიორგაძე.

ქეთევან დავითაშვილი აღსაზრდელებთან (საბავშვო სახლის პირველი მობინადრეები)

ქეთევან დავითაშვილი აღზრდილებთან და აღსაზრდელებთან

ქეთევან დავითაშვილი აღზრდილებთან და აღსაზრდელებთან ერთად, სოფელ დაბაში, შეხვედრა პოეტ იოსებ გრიშაშვილი და მისი მეუღლე. 1954წ.

ქეთევან დავითაშვილი აღზრდილებთან და აღსაზრდელებთან ერთად, სოფელი დაბა. შეხვედრა მწერალ ილია სიხარულიძესთან და მერი დავითაშვილთან. 1954 წ.

ექსკურსიაზე გელათში

გელათში, დავითის საფლავთან

საბავშვო სახლის აღსაზრდელები ახალ ათონში 1969 წ.

საბავშვო სახლის აღსაზრდელები და აღზრდილები შრომის დროს

საბავშვო სახლის აღსაზრდელები კედლის გაზეთის ახალ ნომერზე მუშაობენ

საბავშვო სახლის აღსაზრდელები აბრეშუმის ჭიის ,,მოსავალს'' წონიან

აღსაზრდელები საბავშვო სახლის ნაკვეთში მუშაობენ

აღსაზრდელები ზამთრისთვის შეშას ამზადებენ

სასულე ორკესტრის წევრები

ბავშვთა სახლის სასულე ორკესტრი, ხელ-ელი მიხეილ ზედელაშვილი

საბავშვო სახლის სასულე ორკესტრი

საბავშვო სახლის აღზრდილი ამირან ბარბაქაძე ამხანაგებთან ერთად

საბავშვო სახლის აღზრდილები და ძმა ბაკლაგინები

ქეთევან დავითაშვილი საბავშვო სახლის აღზრდილთან (ჟ. გოგალაძე) ოჯახში

საბავშვო სახლის მომღერალთა გუნდი (ხელმძღვანელი იასონ როინიშვილი)

საბავშვო სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი

საბავშვო სახლის მოცეკვავეთა ანსამბლი

საბავშვო სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი

რკინიგზის ხაშურის კულტურის სახლში

ქ. ხაშურის რკინიგზის N 1 ბავშვთა სახლის შენობა 2023 წელი.